შაბათი მიყვარს. როგორღაც ისე ვართ. შეგვეძლო ალექსანდრე თამუნასთან დაგვეტყუებინა და ჩვენ სადღე უფრო ისე წავსულიყავით, მაგრამ აღარ მინდა ხოლმე ასე. ხათუნაც არაფერს ამბობს. არ მინდა თამუნასთან დაგვეტყუებინა. განა რამე. პირიქით, მაგრამ თამუნას ვინც ყავს დატოვებული, იმის ყალბი თამაშები და ლაზრობი ჩემს შვილს არ სჭირდება. არ მინდა და მორჩა. ეგ არავინ არ არის ჩემთვის და მაინც ჩემთან ცხოვრობს. ცოტა კი დაიარცხინა, მაგრამ რა შეცვლის? შემიძლება მათხოვარი რამემ შევცვალოს? მოვიკოცქვებოდა გაღაბული ძალღივით. თამუნას წამოყვანა კი შემიძლებოდა, მაგრამ თამუნას სურნობა არ უყვარს და თან იმასთან ყოფნა ურჩენია. უტრიალებს აქეთ-იქიდან. ღორის მოჭრელ თავს რომ უტრიალებენ ხოლმე ბაზარში ბიჭოლები. ხედავ რა გამახსენა? სად წამიყვანა? რამდენი ხანია ასეთი რამე არ მინახავს და აი, როგორ ამოცოცდა. ახლა რომ თბილისში ვცხოვრობდეთ, ძალიან ცუდი არ იქნებოდა. საერთოდ, უკეთესი იქნებოდა რაღაც-რაღაცებში. ვთქვით, საშობაო მისალოცე-

ბის დაწერა არ მოგვიხდებოდა ალექსანდრეს ყველა კლასელისთვის. ეს რამხელა სისულელეა? ას წელიწადს არ აინტერესებ იმის მშობლებს და შენც ას წელიწადს არ გაინტერესებს. ბავშვები ისედაც ყოველდღე ერთად არიან. რა მილოცვა უნდათ? საერთოდ, აქ ყველაფერზე გილოცავენ. ისე, გულის გარეთ. ამდენი მისალოცი რომ ჰქონდეს ადამიანს, ბედნიერი იქნებოდა. გვეითებინა, როგორ ხარო და არ აინტერესებთ, როგორ ხარ. აქ ორასი წელიწადია მოგვარებულია ყველაფერი.  
არა, განა მე რამე პრობლემა მაქვს? არაფერი. უბრალოდ, სხვანაირად გავიზარდე და ასე, კაცი რომ ფეხებზე გვიკიდა, თან გზას უთმოძ, თან მადლობას გუუხებება და თან რომ ხედავ, რომ მისთვის არ არსებობს, ცოტა ძნელია. მეტი არაფერი. მე ინგლისელი ვერ გავხდები. მოტლანდიელი ხომ საერთოდ და თუ ირლანდიელი გავხდი, მხოლოდ სამი პროცენტით. ეს სამი პროცენტიც იმიტომ, რომ ტიმ შერდანის ფილმები მომწონს. ირლანდიური სილატაკე და ბრაზი მომწონს. უბრალო კაცის ბრაზი და უპრინციპობა, ძალიან ირლანდიურ წინგებში რომაა აღბეჭდილი. არარსებული სიამაყე, რომელიც

ჯიბები ჩაისვამს. თამუნა მოკვდება. აი, შობას გაცლი, ვუუხებები. ავე რამდენი საბნაო კანტორია. სამ კვირას კიდევ გავიძლებ და მერე დავაი, იქირავე სადაც გინდა-მეთქი. თუ გინდა, მთლად ბრიქსტონში და მთლად ისტში მეთქი. და აღარ დავაყცადე. სამი თვის ფულს მე გადავიხდი, მეთქი, ოლონდ სთუდოსი\*\* (\*\*ჩვენებურად ერთობათიანი.) იქირავე-მეთქი. თუ სთუდიოს არა და ვანბედრუმი\*\*\* (\*\*\*) ოროთახიანი.) გინდა, ბეისმენტს არ ამოსცდები და არც ის მაინტერესებს, მარტო გა-

ვიცები ჩაისვამს. თამუნა მოკვდება. აი, შობას გაცლი, ვუუხებები. ავე რამდენი საბნაო კანტორია. სამ კვირას კიდევ გავიძლებ და მერე დავაი, იქირავე სადაც გინდა-მეთქი. თუ გინდა, მთლად ბრიქსტონში და მთლად ისტში მეთქი. და აღარ დავაყცადე. სამი თვის ფულს მე გადავიხდი, მეთქი, ოლონდ სთუდოსი\*\* (\*\*ჩვენებურად ერთობათიანი.) იქირავე-მეთქი. თუ სთუდიოს არა და ვანბედრუმი\*\*\* (\*\*\*) ოროთახიანი.) გინდა, ბეისმენტს არ ამოსცდები და არც ის მაინტერესებს, მარტო გა-

დახვალ თუ ეს დევილი თამუნა წამოგყვება-მეთქი.  
ავლევ კი წამოვედი. დავტოვე იქ.

თამუნაც წაყვას, თუ უნდა. მერე მოგტრიალდი და გოგოებმა არ გაიგონ, რო გელაპარაკე, თორე ინგლისში კი არა, სომალიაში არ ჩავიშვებენ-მეთქი.  
ვერე.  
ძნელია, მაგრამ ვერეა. მე არ უნდა ვარკვევდ მაგათ ცხოვრებას. მე არ უნდა ვფიქრობდე, როცა შხაქცევმ დგას, რო ვილავ გოგოსთან იყო და ჩემ შხაპში იმორება. მოუხდებათ ორონკანიანი აბაზანა. ჩანწვენ და ვარკვევ.

აი, ვითმინე ამდენი ხანი და ვეღარ მოვითმინე.  
ახლა კიდევ, ხათუნა გადაირევა. გადაირიოს.  
სამაგიეროდ, გაირკვევა. მე აქ ფაბლიკ რილითმენის კანტორია კი არა მაქ. ფსიქოთერაპევტი კი არა ვარ.

- აი, ნახე ალექს, როგორ შეაცურეს ნაუბი. ახლა, ხიდქვემ გაძებრებინა. ეს ყველაზე ლამაზი ხილია. მწვანე არა, მწვანე კი არა, ტყისფერი. აი, როგორცცარქმია.  
- არ გაცივდეს ეს ბავში, - ამბობს ხათუნა - მოიცა, ქუდი მაქვს ჩანთაში.  
- არ უნდა ქუდი. არ უნდა ეგ ქარი თული რამეები. დედიკო და ვაიმე დედიკო. მალე წავიყვანთ სიტობში. ხათუნამ არ იცის.

- სიტობში. ლისაბონში. ოცდარვაში ლისაბონში წავალთ. მე, შენ და ესა. რვა დღით.  
ხათუნას უხარია.  
- რატომ არ იცი ხოლმე თქმა?  
- აი, ხო ვითხარი, ბლეთები სახლში მაქვს. ყველაფერი, რაც ტურის სჭირდება.  
- იმიტომ გეცინებოდა გუშინ, რეკლამებს რო ვკითხულობდი?  
აი, ეგეც თქვენი ქრისტმას ქეროლი, თუ ქრისტმას თელი. საშობაო ზღაპარი, მოკლედ...

**XXIII**  
... ჩვენს სახლში ამბავია. ჩვენს სახლში ამბავია, როგორც შექსპირის პიესებში. სიტყვები იმ გაქანების ვერაა, მაგრამ ამბავია, როგორც ფორსაიტების საგაბი. აი, ასეთი ამბავია.

თამუნა და ლოქო გადადინა. თამუნა ძალიან გახარებულია. ლოქომ უთხრა, რომ ასე გადანყვითა და რომ თავიდან, რამდენიმე თვეს დათო დაეწვარებოდა. სთუდიოს ქირაობენ. სხვათა შორის, არცთუ შორს ჩვენგან. თამუნა ცეკვას ტელეფონით ხელში და თბილისში რეკავს წარამარა. დღემი ერთი ფოუნქსირდი უნდა. უხარია. დათოს ახტება კისერზე და კოცნის. გინახავთ ასეთი თამუნა? არ გინახავთ. რამდენ დღეს ეყოფა, არ ვიცი.

დამიჯდა და მეღაპარაკება, რა ჭკვიანია და რა სწორად მოიქცა, როცა იმ მეორე თამუნასთან ერთად ვილავ საზოზლარს ზაზა შეამინებინა. თურმე, იმის მერე მოგვარდა ყველაფერი, ზაზამ ორგანე გაიარა ინტერვიო და ერთგან მაინც მიიღებენ და ასე შემდეგ, კიდევ ორიათას შეიადოთ მთხოვრებთმთქმელი სისულელე. მე ხომ არ ვეტყვი, რომ ძამმ სახლიდან გაავლდე? დათო მოვიდა, გადაყცადე. სამი თვის ფულს მე გადავიხდი, მეთქი, ოლონდ სთუდოსი\*\* (\*\*ჩვენებურად ერთობათიანი.) იქირავე-მეთქი. თუ სთუდიოს არა და ვანბედრუმი\*\*\* (\*\*\*) ოროთახიანი.) გინდა, ბეისმენტს არ ამოსცდები და არც ის მაინტერესებს, მარტო გა-

ახლა მე ნუროფენი. მეც ამტკივდა თავი.

სიე, ლოქოს ვერე მოუხდება, მაგრამ ეს რომ წაყვებოდა, ამას რომ გაეხარებოდა, ეს რომ ჭკუას დაკარგავდა, ამას რომ ყველაფერი დააინყვებოდა, საკითხავი ხომ არ არის? თურმე, ვილაცამ ზაზა შეამინა, ზაზა კი შემინდა და გადაწვევდა, თამუნას ერთგული იყო. საერთოდ, სულელებს და ბრძებს ნაკლებად ერთგულბენ.

და მე ხომ ვიცი, რომ ვილაც შემეშინებელი, ბაკულას ღორების ძველი ბიჭი ამ საქმეს ვერ უშვებდდა? საერთოდ, თურმე ასეა, რომ წამდელი ეგეთი ვილაცები ქალის და კაცის საქმეში არ ერევიან. ეს დათომ მითხრა რატომღაც. რატომ, არ ვიცი. კუდიანი რო და რაღაცებს რომ ტანით გრძნობს, ალბათ იმიტომ, ისე თქვა, უცხად. ეტყოფა რაღაც იფიქრა ამათი შემთხვევის გამო.

მაგრამ ეგ არაფერი.  
უარესი წინაა და დათოს ვერ ვეუბნები.  
იმ დღეს, რეკავენ ქვემოდან. ამ ლოქოს ზარია. რაღაცნაირად რეკავს ხოლმე და თამუნაც გამოვიზოზლად. გავლედ, მაგრამ ბინის კარის წინდწნი არასოდეს ვლედ. არ ვაღელავ მაორნა. კარის მეზობელი თუ მოაკუუნებს ხოლმე შინ დაბრუნებისას და კონვერტებს გამომინდწის: "მი გგონი, თქვენია, ჩემო კარგო". კარგი კაცია, ძველი ტექსისტი. ტექსისტი კი ლონდონში ერთი დიდი ვინმეა.

იმის ზარი კი იყო, მაგრამ ამ დროს არასოდეს მოსულა. თორემ წინ ნახვითი იყო და სკოლაში წასასვლლად ვეშხადებოდი, მოკლედ აღე ჰქონდათ. ამ კვირაში სწავლა აღარც ჰქონიათ. ზევ ხომ ითხოვეენ ქრისმასზე და წინა დღეს წარმოდგენაც ჰქონდათ, იქით, ბაბტისტების ეკლესიაში გაითამაშეს, ბეთლემის ამბავი, ქაროლებიც იმღერეს და მოკლედ, როგორც არის. დააკაუნა. კაკუნიც მისი იყო. გავლედ. დგანან, ისა და კიდევ ერთი, შეხვდავ, სუფთა ქართველია, სუპერმათხოვარი. ტყავის კურტაკზე ღილი აკლია. გამომხვდა წარმოუდგენლად მე და ჩემი ნახვდი, ფეხსაცმელი დემისუნისის უქულოდ, შეცემული.  
- აი, ხათუნა - ეუბნება ეს - მე რო გეუბნებოდი, იმის ცოლი. ჩემი ცოლისძმის...

- მობრძანდით, - ვამბობ და სასადილო ოთახში ვატარებ.  
- გამარჯობა, ქალბატონო. ამ ოჯახში ჩემი ფეხი იყოს ბედნიერი, - ხმა უნიჭო, უაზრო, ღატაკი.  
- ხათუნა, ეს გიცა. გია ჯამბურიძე, თბილისიდან. თამუნა სად არის? თამო... თამო...

**გაბრიელაზა შიხიდაზ ნოზიძი**



მანას ძაბთლაძე, დოქტორი სკოლაში

ქალაქური კოეზი

დათო მაღრაძე

მხატვრის სახელოსნო

კრთება რიჟრაჟი ლურჯი და სველი, თითქოს, მოვიდნენ ჩვენები, ისე... სიცხიან შუბლზე გამზრდელის ხელის ხმელი მტვევანის შეხებას ვისმენ.

და ვხედავ მის ხმას... მილურსმულ სიძეს, ხავერდის ტემბრში თამბაქოს ეკალს, ძველი სამრეკლო დაკეტილ სივრცეს სახის ბზარების ზარებით რეკავს.

დღეს ამ ქალაქში ყველა ოცნება ღვინით გავსებულ ჭურჭელში ყვინთავს, თუ ვინმე გულით დაილოცება, მერე გულისთქმას აბარებს მიმტანს.

მამის ტაძარში ვაჭრებს აქვთ დახლი, და დგას იესო მესხნილ საბელით, ევროკედლები და მამის სახლის სარკმლიდან სტუმრებს უხმობს აბელი.

ეშინაურა ქალაქის ნებით მეგობრის სხეულს მორგის კაფელი, ფიცხელი სისხლით მოჭრილი გზები, მენამული მზის სხივით ნაფერი.

სად დამეკარგა სივრცე კამარის, გაკრული ხელით ვკანრავდი ფიქალს და ოცნებისთვის გაჭრილ სამარეს - ჩავყურებ უკვე გამოცლილ ჭიქას.

ღვინის სარდაფი... თოვლში მეტადრე... სადაც ბელისსკის ქუჩის შვიდია, დღის თორმეტიდან დღის თორმეტამდე დაყრილი ფრთების პანაშვიდია.

მომდევნო ბოთლზე მარხილი მიქრის, თოვლზე იშლება დიბა და ფარჩა, მოვდივარ... მაგრამ მაბრუნებს ფიქრი, რომ უკვე ის ვარ, რაც ჩემგან დარჩა.

შენ ვისაც ეტრფი, ის თუ არა ვარ, არამი იყოს რასაც ველოდი, ნავეყები წეროს განვდილ ქარავანს, დაგვიანებულ სადღეგრძელოთი.

ანგელოზისგან გამოწვდილ ვექსილს მაინც ვანაღდებ ტრფობის დამჭერი,

გაინასკვება წამნამზე ლექსი, - ნატვრის ხის რტოზე ჭრელი ნაჭერი.

მანდილოსანის ჰყვავის ოსანა, ნედლი სურნელით მწვანე ბაოსი... ბოთლით ავკინძეთ კრიალოსანი სადღეგრძელოთა სასაფლაოსი.

ტილოზეც გიკას ბოთლების რიგი - კარდიოგრამა მხატვრის ქაოსის... ქალის სილუეტს სტრიქონებს იქით წვიმას შევახებ გვაღვით დაოსილს.

დაენაფება ნაქცეულ ბადაგს, - ვნებას დილიდან მღვრიედ გაღვიძილს, და გამობმულმა ცალი ფრთით ადათს თუ აიტანა ტანი ღამეში

მაშინ გაკრთება რიჟრაჟი სველი, თითქოს, ჩვენები მოსულან, ისე, სიცხიან შუბლზე გამზრდელის ხელის მკრთალი მტვევანის შეხებას ვისმენ.

“ამარკორდი” ფიქრის ბორაზა ანუ სალაში ყვალს და ტონინო ბუარას

უცვლელად, ხელი არ ახლეს სცენარის წვრილმანს უდიდესს, - ანიშნებს გრაფის სასახლეს, კესონურ ჭერზე უთითებს.

ჭერის ლაქები ნაქები ბოთლის შადრევნის ქაფია, მახსოვს გრაფების ნაგები სასახლის ბიოგრაფია.

... თბილისის ფერისცვალება რა პინას ავანონინო, მისკენ ყელგანვდილ ქალების განცდით ნათქვამი: - ტონინო...

მიტოვებული ნაპირის პროვინციული ამბავი, და გემის კვალის რაპირის ჭრილობა დაუსტამბავი...

მომინევს, მუზის მსახური როცა გასცურავს ტონინო, ნაპირის სევდა კახურის ტანინით გავატანინო.

არაული ღამე

ზღვამ გამოიყა შლამზე ცხედარი და შეიცხადა პანსიონატმა. ამ ზაფხულს უკვე მესამედ არი, წყალზე დაირწა მწუხრის სონატა.

მზისკენ გასცლოდა ცხედარს მხედარი, შუქი გასვლოდა ტალღის მონატანს, როგორც ტურისტის წყალთან შემდგარის ზურგისშექცევით ნასროლ მონეტას.

ზღვამ დაიტოვა იამბიკონი, ბედის ფურცლები ქარმა გარეკა, ჩამავალი მზე კრეფდა სტრიქონებს და შემოეხა ხალხი გარეკანს.

ტალღაზე გატყდა აღდგომის კვერცხი, ნაჭუჭს შეუდგეს მხარი ორიგად, ჰორიზონტს ნაჰყვა ოქროც და ვერცხლიც ცხედარი შლამზე ზღვამ გამოიყა.

ყავის ნალექში ჩატეხილ მზერას და მარჩიელის გარიდულ თვალებს ძლივს იხსენებდა ასული ქერა და ივინყებდა სულ უფრო მაღე.

ასე დავარდა სტეპში აქლემი და გაირინდა ქარვაში მწერი, მზე დაწურული სტრიქონაკრეფილ მენამულისფერ სიმღერას მღერის.

სარკმელზე ტყდება გალობის ექო, ღონემიხდილი მოწვეთავს ბგერა, გამოთხოვება რადგანაც მერგო, გადარჩენილი კიდობნის მჯერა.

ვიდრე დაიდგამს მოძღვარი მიტრას, ვიდრე წაახდენს ხელს იაგანი და გაიშლება გემბანზე სიტყვა, როგორც ანდრძი და იალქანი

ვილოცავ, მამავ, ძვე, ცისა ტრედო... თოვლიანი მთის თეთრო ირემო, შენს სიყვარულში მე წილი მედო, ჩამომეცალეთ, მონადირენო.

ჩემი სამრეკლო მინდა ვუჩვენო, თუნდ ხრინიანი ზარი გაისმას, და თუ სიცოცხლეს შეძლებს უჩემოდ. უჩემოდ სიკვდილს მაინც არ იზამს.

პირველთოვლს უკვე მიეცა ძალა, მოულოდნელად მოვიდა თოვლი. ჭორს ანთებენ და მურავენ ქალაქს საკვამურიდან დაძრული ბოლით.

რას არ იტყვიან ამ თოვლზე ახლა... ადრე გათოვდა რადგან ძალიან, რაც არის შორი, მზერაზე მაღლა, მისი სიშორე უკვე ბრალია.

რაც ძვირფასია - არ წყალობს ქუჩა, რადგან იყვირა ქუჩამ sale-ი, ვიტრინებს თეთრი მუხლები უჩანს, ათასი მზერით შემოსეული.

რადგან იყვირა ქუჩამ sale-ი, მაღალქუსლიან ქოთნის ყვავილზე, ჭრილობა, - როგორც დანაშაული საკვამურების ხდება სამიზნე.

რას დასნამებენ ამ ქალის ბისერს, რომელიც გვიან მოვიდა ბაფთით, ვერ ეწყობიან ვერაფერს ისეთს, მიუწვდომელი რაც რჩება მათთვის.

... ხელის მტვევებით მიჭირავს წყალი, რომ აირეკლოს პირველი თოვლი... და თითებშუა გაქცეულ ღამეს უყეფს ქალაქზე დამდგარი ბოლი.

უბანში კადელზა მისანარი ღამე

დილიდან წვიმდა, წვიმდა ძალიან, ქალაქზე წყრომა მოდგა ღმერთების, საბაბს ვმიზეზობ, რაც მართალია... თორემ ჟუჟუნა იდგა წვეთების.

ბიჭები ხის ქვეშ, სადაც მშრალია, - ვქნათ რამე, თორემ აქაც ვსველდებით, რა გავაგრძელო, გულის გალია გაილო ბოთლის ტუჩთან შეხებით.

დათომ დღეს ერთი მაგრა დალია და მოიკითხა ზოგიერთების...

პარსონაჟები რომანისტვის



ბახანაზალი ფოტო

შეყვარებულთან გაგზავნილი წერილის სურნელს გამოსცემს მინა წვიმის შემდეგ დაბადებული.

იუნკერებმა გაატანეს გულისთქმა ფოსტას. ერთიც შეხედეს ობიექტივს და... აქ შევჩერდეთ.

ვინაიდან შეჩერდა წამი, ვნებით, სიმართლით, სინრფობით, ღირსებით სავსე, - მიმორხეული ნაწვიმარი მინის სურნელით.

დათო მაღრაძე





ერთი სახლის ისტორია

რიხალსკის სახლი



ანა კორძაია-სამადავილი


1913 წლის 7 მარტს თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში განცხადება შეიტანა ეკატერინა ფიოდორის ასულმა რიხალსკაიამ. ის თხოვნი მამართლად სამშენებლო განყოფილებას...

მოვიხილო ვენტილაციის კვალს ბინაშიც მივხვდებით. პატარა, ჩუქურთმიანი ლითონის კართი იღება, უბრალოდ ერთ-ერთ აგურთა ჩამოვარდნილი და ძვრა ვერ ვუხვავი...



სახლ-კარი გასაწუნად, და არც წვერიან კაცებზე ვგვიფიქრობ. ლეგენდები კი ასეთია: სახლი, ახლა რომ ბარნოვის ქუჩის 64 ჰქვია, მის პირდაპირ მდგომ მთავარი აგურის სახლითან ერთად...

მისერინ, მაგრამ რა ექნა, ქვას ხომ არ ვესვრი. ძალიან მამწარებს ხოლმე, სიამოვნებით ვესროდი "კარნონი" ვერვლას, მაგრამ თუ გავარტყი, ხომ მოკვდება...



ბაიუს აპოლონიუსის ფიგურა

ვათ, ქვევით კი, სადაც ახლა მე ვარ, მოსამსახურებელი ცხოვრობდნენ. ეს ზღა სართულების ქვების სიბაღალესაც ეტყობა, დიდებულ ლეშმენებსაც, მაღალ ფანჯარებსაც...

ვიძახო, მაინც ძალიან სქელი კედლებია და მეზობლები არ ფრთხილდებიან. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში "ფული არ ფულითა", ბებიანები მეგობრობდა მეფის ნაცვლის ყოფილ სუფე-ქსთან...

ყოველთვის ვიცი, რომ ბარნოვზე სახლი მქონდა. ბავშვობაში ნაყოფიც ვიყავი, მაშინ რაღაც ჯურღმულად მეჩვენება, კედლებზე კბილებდაჭრილი ციყვის ფიტულე ეკიდა...

რამდენიმე წლის წინათ, როცა ფული შემომხვალა, დავინტერესდი, რა იყო ხი ბარნოვის სახლი - ვიფიქრე, გავიციდი თქო. როცა გავარკვიე, რაც იყო, აღარ გაიფიქრე და არც აღარასოდეს გავიციე...

რაც ამ ბინაში ფეხი შევედი, ცრურმეგობრივ, ლეგენდები და ნაირ-ნაირი რიტუალები სულ თან დამდექს. ქანი ივანოვა იქით იყო და, დანამდვილებით ვიცი...

ერთადერთი წინე, სადაც რიხალსკის სახლის შესახებ რაღაცა წერია, უფრო სწორად, რომელშიც ამ სახლითა მოხსენიებულია, ჯაბა იოსელიანის "ლიბონათის ქვეყანა"...

ახლა კი სხვა ამბავსაც ვიამბობი, კვლავ ნახევრად ლეგენდას, ამჯერად ოჯახურს - როგორ მერგო მე, არც რაკოვინს და არც რიხალსკაიას, "ბარნოვის სახლის" ქვედა სართული...

ქალბატონი დანილოვა ბოლომდე არ ებუქებდა თავის ცხოვრებას. შიდა, მაგრამ ვერცხლის კოვზით ჭამდა, ჩიოის კაბას როგორ ჩიცვამდა...

ბროტაუარხო, ნარკოთ თქვენი მხეპარაზი

პუშკინ, ალექსანდრ სერბიერი

ბიო ახვალდინი ძველთა კი ვერ დადგამდი ქართველის ძეგლს. ერთი სასაფლაოზე და მორჩა, იმასაც იმდენი დრო დასჭირდა, სანამ იმისა ქვეყნის საფლავზე იაკობ ნიკოლაძე მწუხარე საქართველოს დადგამდა...

ჩარჩობილი ჩემი თვალით ვხედავ, გადმოვდებით. ლენინის ძეგლი არ იყო ჯერ გადმოვდებული, გოგოლის კი უკვე გადმოვდებით და იმის მერე აღარ ვიცი, არის თუ არა, იქით კარგა ხანია აღარ ჩამვილია...



ილია ლომოვლის ფიგურა

რუსები რომ შემოვიდნენ და გარეთუბნის ათვისებას მიჰყვებ ხელი. იქ დაიწყეს ხალხათი სახლების აგება, ამით კი ქალაქს ვერა დაუახლოვეს. ეს მნიშვნელოვანი ადრეული სახლის აგება, ამით კი ქალაქს ვერა დაუახლოვეს...

ხევიო და რა აღარ ამოავსეს მერი. საბავიეროდ აქ იყო ზაზრა, ნუ შევიძინებდი და მთელს იმდელ რუსეთში განთქმული ყაყინითა და საქონლით...

გადმოვა კიდევ. ქარვასლა თამამშევსო და ოპერა ხალხსო. რაც იყო, იყო და დაიშინებდა და მთელს იმდელ რუსეთში განთქმული ყაყინითა და საქონლით...

ცნობს ფასდაუფლებელი გრიშაშვილი. იმ სკვერის კიდევ, ახუ ნანაზრალზე, ახუ იქ, სადაც რუსთაველის გამზირი უფრო დედა თავისუფლების მოედანს, იმე ახალი სალაყბო, დევანადლეურად კი ბორცვა, რომლის კვალი და ტრადიციაც...



“თხილგაზის”  
ავიჰა - ბზა  
მუნიციპალური  
საწარმოდან  
“ნიტრა-ჭორჭიაშვი” D2

“არააკონომიკური  
პოლიტიკა” და  
“აკონომიკის  
პოლიტიკასია” D4

როგორც ძვეყანა,  
ისეთია ვრასაც D5

მდია-კომპანია  
ისევ ცოდვილ  
მიწაზე აშვებია D7

“ალკატალი”  
შემცირებაზე  
მიდის D8

“მოტოროლას”  
გაგმება  
ინტერნეტში  
გაჟონა D8

“ქართული-  
ევროპული” D9

ვაჭრები და  
მხატვრები D11

საქართველო:  
სოციალიზმი თუ  
კავითალიზმი? D13

INTERNET-ში  
თაღლითობა  
ყვავის D13

მთელი  
მსოფლიო  
ჭიბები D14

ქართული WINDOWS  
მზად არის D15

APPLE იწყებს  
ორპროცესორიანი  
Power Mac G4-ის  
გაყიდვებს D15

INTEL-მა  
ოფიციალურად  
წარადგინა  
20 გიგაჰერციანი  
CELERON D15

რატომ იძვა  
“მაცუბიტა”  
ამერიკაში  
“პანასონიკად” D16



D9

“ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი.  
ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი...”  
დავით სარაჯიშვილი

# „თბილგაზის“ ეკოპეა - გზა მუნიციპალური სანარმოდან „იტერა-ჭორჭიამდე“

## მანია ურუპაძე

წლების მანძილზე დაბალი ტარიფით მუშაობამ, პერმანენტულმა უსახსრობამ, უყურადღებობამ და ქსელების ურემონტობამ „თბილგაზის“ ნგრევის პირას მიიყვანა. დღევანდელი მონაცემებით, „თბილგაზის“ მდგომარეობა იგივეა, რაც „ეი-ი-ესის“ შესვლამდე „თელასში“ იყო. მაშინ „ეი-ი-ესმა“ თბილისის ელექტრომომარაგების სისტემის რენაირება დიდძალი ინვესტიციებისა და მზარდი ტარიფის მოთხოვნის ხარჯზე მოახერხა. სწორი სატარიფო პოლიტიკისა და ქმედითი ფინანსური უკუგების მექანიზმის ამოქმედების წყალობით დღეს ქალაქის ელექტროქსელი საიმედოცაა და რენტაბელურიც. ამიტომ ელექტროენერჯის უწყვეტი მოწოდების შემთხვევაში „თელასს“ უპრობლემოდ შეუძლია მომხმარებლების დაკმაყოფილება.

ძნელი არ არის, დავინახოთ „თბილგაზის“ პრობლემათა ჯაჭვის მსგავსება „თელასში“ არსებულ მაშინდელ ვითარებასთან. მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი ქალაქის გაზომარაგების სისტემა პერმანენტულად საჭიროებს დოტაციას, ფინანსური უკუგების მექანიზმის მოუნესრიგებლობა კი დღემდე იმ უკონტროლო თანხების არსებობას განაპირობებს, რომლებიც იოლად ნაწილდება ჯიბიდან ჯიბეში.

ამ ორი წლის წინათ, როდესაც ამერიკულმა საკონსულტაციო ფირმამ „პი-აი კონსალტინგმა“ „თბილგაზის“ მდგომარეობა შეისწავლა და სექტორის რეორგანიზებას შეეცადა, ქალაქის გაზომარაგების სისტემის ხელმძღვანელებს ამერიკელთა რჩევების უგულვებლყოფაში „თბილგაზს“ თავისი კურატორი, ქალაქის მერია დაეხმარა და ტარიფის ზრდის წინააღმდეგ გაილაშქრა, რაც რეორგანიზაციის პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა. საქართველოს ხელისუფლებამ გამოსავალი „თბილგაზის“ უცხოელი ინვესტორისთვის „შეჩქვებში“ იპოვა და ქალაქის გაზის მეურნეობისთვის ტენდერი გამოაცხადა.

მოულოდნელი აღმოჩნდა ტენდერის შედეგები: „თბილგაზის“ ყიდვის სურვილი პირველ ეტაპზე მხოლოდ რუსულმა „იტერამ“ და „თელასის“ მფლობელმა „ეი-ი-ესმა“ გამოთქვეს. ორივე მათგანს ხელისუფლებამ უარი ერთი და იმავე მოტივით განუცხადა – მათთვის ქალაქის გაზამანაწილებელი ქსელის გადაცემა სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორის მონოპოლისტის ხელში აღმოჩენის საშიშროებას ქმნიდა. პირველ შემთხვევაში მონოპოლისტის ხელში თავს იყრიდა გაზის მონოდებისა და განაწილების, მეორე შემთხვევაში კი – ქალაქის ელექტრო- და გაზის მეურნეობის მთელი ბერკეტები.

აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ „იტერა“ საქართველოს ხელისუფლებას „თბილგაზის“ 75

პროცენტის გამოსასყიდად მილიონნახევარ დოლარს სთავაზობდა და სოლიდური ოდენობის ქართული ვალების გადახედვისთვისაც მზად იყო.

### „იტერა“

ამერიკულ კომპანიად რეგისტრირებული „იტერა“ არა მარტო გაზის ტრანზიტს, არამედ მის მოპოვებასაც აწარმოებს – მას საკუთარი საბადოები აქვს ციმბირსა და რუსეთის სხვა რეგიონებში, ასევე დსთ-ს სივრცეში (მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი საბადო იამალო-ნენცეთის ოლქში). ხელისუფლებისაგან მის მიმართ მზარდი უკმაყოფილების გამო „იტერა“ იძულებულია, საკუთარი გავლენის სფეროები დსთ-ს სივრცის ხარჯზე გააფართოოს. „იტერა“ ქართულ ბაზარზე მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც თურქმენეთმა საქართველოს გაზის პირდა-

პირი მონოდება შეუწყვიტა. ამ პერიოდში „ეი-ი-ესმა“ რუსეთის „ინვესტგაზსტროისთან“ („გაზპრომის“ ჯგუფი) გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თბილსრესს რუსული გაზი „იტერას“ მიერ დაწესებული 53\$-ის ნაცვლად 41\$-ად უნდა მიეღო. ვინაიდან „ინვესტგაზსტროის“ რუსეთის საზღვრებს გარეთ გაზის გატანის უფლება არ ჰქონდა, ეს ხელშეკრულება არაკანონიერი აღმოჩნდა, ხოლო ჩვენს მთავარ მომწოდებლად „იტერა“ დარჩა, რადგან საერთაშორისო ბაზარზე „გაზპრომის“ გაზი „იტერას“ გაზზე უფრო ძვირი ღირს.

მას შემდეგ, რაც „გაზპრომი“ თავისი გაზის გადაყიდველ კომპანიათა რიცხვის შემცირება განიზრახა, „იტერა“ „გაზპრომის“ მხრიდან გაზის მონოდების შემცირების რეალური საფრთხის წინაშე დადგა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ის სხვადასხვა

რეგიონში საკუთარი გაზგამანაწილებელი ქსელების მფლობელი იქნება, „გაზპრომს“ ძალაუფლებურად მოუწევს მასთან ურთიერთობის ძველი მასშტაბების შენარჩუნება.

■ ■ ■  
ცალკე საკითხია „იტერა“- „გაზპრომის“ შიდა რუსული ურთიერთობები. იმის გამო, რომ რუსეთში „იტერამ“ ვერ მოიპოვა „გაზპრომის“ ფულის სათეთრებელი მანქანის იმიჯი, „იტერას“ პერმანენტულად ეძაბება ურთიერთობა მოსკოვის ოფიციალურ მისკოვი უკმაყოფილოა, რომ რუსეთის გაზომარაგების სერიოზული ნაწილი „იტერას“ ხელშია.

■ ■ ■  
ამავე პერიოდში საქართველოს გაზის სექტორის მიმართ დაინტერესება გამოთქვა „გაზპრომმა“, რომლის ინტერესის საგანი უფრო მაგისტრალური გაზსადენები იყო და ქობულეთი-ხოვას მილსადენის ალდე-ნასაც აპირებდა, თუ საქართველო ქართულ-რუსული ელექტროენერჯეტიკული „საქროსენერგოს“ მსგავს „საქრუსგაზის“ შექმნაზე თანახმა იქნებოდა.

### „გაზპრომი“

„გაზპრომი“, მსოფლიოში გაზის უდიდესი მომპოვებელი და ექსპორტიორია. მის ხელშია გაზის მსოფლიო მოპოვების 23 პროცენტი, ხოლო რუსეთის გაზის მოპოვების 94 პროცენტი. „გაზპრომი“ რუსეთის ბიუჯეტის მეოთხედს ავსებს. მისი კუთვნილი მიწებით აწვდის გაზს თბილისს „იტერაც“.

საქართველოსთან „გაზპრომი“ ადრე „საქტრანსგაზმრენვის“ საშუალებით თანამშრომლობდა, თუმცა, ეს უკანასკნელი თურქმენეთიდან გაზის მონოდების შეწყვეტის შემდეგ გაკოტრდა. „გაზპრომმა“ კი გააძაბა, საქართველოსთან ერთობლივად შეექმნა საწარმო „საქრუსგაზმრენვი“, რომლის ფუნქციებშიც გაზსადენების ექსპლოატაცია, რუსული გაზის ქართველი მომხმარებლისთვის მონოდება და მესამე ქვეყნებში გაზის ტრანზიტის უნდა გახდეს. მთავრობამ „გაზპრომის“ პროექტი დაამტკიცა და „საქრუსგაზმრენვის“ შექმნის საკითხზე მუშაობას GIGC – საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია განაგრძობს.

„გაზპრომი“ ამჟამად რამდენიმე გრანდიოზულ პროექტს ახორციელებს. მათ შორის ერთი უმნიშვნელოვანესია „ბლუსტრიმის“ (ცისფერი ნაკადი) საერთაშორისო პროექტი, რომლის მიხედვითაც „გაზპრომის“ გაზსადენის ევროპული ნაწილი თურქეთთან უნდა დაკავშირდეს. დღემდე „გაზპრომი“ თურქეთის ბალკანეთის ქვეყნების გავლით აწვდის გაზს, ახლა კი „გაზპრომს“ მილსადენი ნოვოროსიისკიდან პირდაპირ შავ ზღვაში გაჰყავს თურქეთთან დასაკავშირებლად. ამ უდიდესმა პროექტმა საქართველოს გვერდი აუარა. არადა, ტრანზიტის პერსპექტივის გამო „გაზპრომი“ დაინტერესებული უნდა

ყოფილიყო საქართველოს გაზსადენის სისტემის აღდგენით. კერძოდ, უნდა აღედგინა მილსადენის „ქობულეთი-ხოვას“ მონაკვეთი.

„გაზპრომის“ სხვა პროექტებიდან მნიშვნელოვანია „სამხრეთ პარსის“ პროექტი, რომლის მიხედვითაც ის ირანის სამხრეთ საბადოებიდან აპირებს გაზის მოპოვებას. „ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის“ პროექტი „გაზპრომის“ გაზის ბალტიის ზღვის გავლით ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში გაზის მონოდებას ითვალისწინებს, პროექტი „დასავლეთ ციმბირი-ჩინეთი“ კი „გაზპრომს“ ჩინური ბაზრის ათვისების საშუალებას მისცემს.

■ ■ ■  
მოგვიანებით „თბილგაზით“ ებრაული „ტაჰალი“ დაინტერესდა, მაგრამ მოლაპარაკება აქაც არ შედგა.

ნიშანდობლივია, რომ ისრაელის „კარდან ლტდ“-ს შვილობილი კომპანია „ტაჰალი“ წყლის პრობლემებზე სპეციალიზდება და ის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა მათ შორის, ვისაც მსოფლიოში წყლის მეურნეობის მენეჯმენტის დიდი გამოცდილება გააჩნია. ცნობისათვის, „ტაჰალს“ უშუალოდ ენათესავება „თიბი-სი ჯგუფი“. „ტაჰალის“ „მამობილი“ „კარდანი“ საქართველოს საპენსიო ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია. „ტაჰალი“ თბილისის მომსახურების სფეროში სწორედ მაშინ დაინტერესდა, როცა ხელისუფლებაში „თბილწყალკანალის“ ფრანგული „ვივენდისათვის“ გადაცემაზე დაიწყო მსჯელობა. საბოლოოდ, მასთან ხელისუფლებამ მოლაპარაკება „თბილგაზთან“ დაკავშირებით წამოიწყო და, როგორც კი საქმე გაზის ტარიფის მატებაზე მიდგა, ცივი უარით გაისტუმრა.

### „ტაჰალი“

„ტაჰალი“ ისრაელის ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური კომპანიის „კარდან ლტდ“-ს 100 პროცენტით შვილობილი კომპანიაა. „კარდან ლტდ“ ისრაელისა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სოლიდური ინვესტორია. მისი შვილობილი „ტაჰალი“ 1950 წელს, ანუ ისრაელის სახელმწიფოს ფორმირების ადრეულ ეტაპზე, ქვეყნის ერთ-ერთი უმწვეველესი პრობლემის – წყლის დეფიციტის პრობლემის მოსაგვარებლად შეიქმნა და დღეს მისი სპეციალიზაციის სფეროში სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ნარჩენთა გადამუშავების, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ინდუსტრიული და ენერჯეტიკული პროექტების შედის.

„ტაჰალს“ უცხოელ კომპანიონებთან ერთობლივად რამდენიმე ფილიალი აქვს ისრაელში. ეს შვილობილი კომპანიები სხვადასხვა საკითხებზე მუშაობენ. მაგალითად, ფრანგებთან ერთობლივი „სიტაჰალი“ და გერმანელებთან ერთობლივი

გაზრდილობა 03 გვირდობა

### სახელმწიფო სანარმოები

N	ს/ს დასახელება	%	საერთო ღირებულება	სახელმწიფო წილის ღირებულება
1	მარნეულგაზი	9,8	348740\$	341756\$
2	ხარაგაულგაზი	97,7	150828\$	147372\$
3	გურიგაზი	96,3	192152\$	184952\$
4	დუშეთიგაზი	97,7	123731\$	120891\$
5	საჩხერეგაზი	96,8	110060\$	106496\$
6	ჭიათურაგაზი	95,4	245841\$	234537\$
7	ამბროლაურგაზი	94	53969\$	48785\$
8	დედოფლისწყაროგაზი	96,9	110693\$	107237\$
9	წყალტუბოგაზი	93,3	91228\$	85156\$
10	ლაგოდეხიგაზი	95,1	131112\$	124632\$
11	გურჯაანიგაზი	97	413187\$	400587\$
12	ახმეტაგაზი	100	193700\$	185000\$
13	ფოთიგაზი	97,5	439031 ლარი	428231 ლარი
14	ხაშურიგაზი	97,2	441676\$	429181\$
15	გარდაბანიგაზი	99,9	7 696 905\$	7 691 235\$
16	თერჯოლაგაზი	97,6	986 13\$	96237\$
17	ზესტაფონიგაზი	54,9	395044 ლარი	376549 ლარი
18	მცხეთაგაზი	98,3	115908 ლარი	113883 ლარი
19	„ცისფერი ალი“ ხონი	91	20900 ლარი	19028 ლარი
20	ყვარელიგაზი	90,8	74819 ლარი	67934 ლარი
21	ზუგდიდიგაზი	98,5	635941 ლარი	626191 ლარი
22	საგარეჯოგაზი	98	101327\$	99275\$
23	ყაზბეგიგაზი	92,8	89952 ლარი	83472 ლარი
24	ხობიგაზი	99,1	420436 ლარი	416836 ლარი
25	ბაღდათიგაზი	90	275642 ლარი	248090 ლარი
26	ქარელიგაზი	90	121792 ლარი	109613 ლარი
27	აბაშაგაზი	100	უცნობია	უცნობია
28	დმანისიგაზი	100	უცნობია	უცნობია
29	ახალგორიგაზი	100	უცნობია	უცნობია
30	თბილგაზი	97	4 659 752 ლარი	4 508 147 ლარი
31	შპს ხელვაჩაურიგაზი	100	90380 ლარი	90380 ლარი

### გაზის განაწილებული სანარმოები

N	დასახელება	საერთო ღირებულება
1	თელავგაზი	142902\$
2	ტყიბულგაზი	11760\$
3	ახალციხეგაზი	92703 ლარი
4	წალენჯიხეგაზი	36100 ლარი
5	აჭარაგაზი	643098 ლარი
6	ჩხოროწყუგაზი	26508 ლარი

02 ბავარდინა

H.P.C.-T.H.L Ltd. ნარჩენების გადამუშავების საკითხებზე ამუშავებენ, Tahal-Leitersdorf-Amit and Yosha Ltd. ურბანიზაციის საკითხებითა და მშენებლობების დაპროექტებით არის დაკავებული, Tahal-Man კი ფიჭური კავშირგაბმულობის სფეროებია და ინტერესებული.

“ტაჰალი” ისრაელში გაზის ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციასაც ეწევა ამდენად, “თბილგაზი” მისი ინტერესების სფეროში ახალი ხილი არ იყო. მიუხედავად ამისა, “თბილგაზის” პრობლემების შესასწავლად “ტაჰალმა” ჰოლანდიური ფირმა “გაზტეკი” მოიწვია.



“ტაჰალის” მხრიდან “თბილგაზის” მიმართ ინტერესის გამჟღავნებას “იტერას” დაუყოვნებელი რეაქცია მოყვა. თბილისის გაზომომარაგების სისტემის მიმართ მიძინებული რუსული ინტერესის გამოვლინებამ მომენტალურად გამოიწვია გაზის გადაკეტვა. “იტერამ” სასწრაფოდ გაიხსენა “თბილგაზის” ვალეები და ერთი თვით დედაქალაქი უგაზოდ დატოვა.

დროებით მივიწყებული დავალიანება “იტერამ” ზუსტად შერჩეულ დროს გაიხსენა. შედეგად, 90 მილიონ დოლარამდე დაგროვილი გაზის ვალეები იმ საფრთხივად იქცა, რომლის გამოც თბილისის გაზომომარაგების სისტემა უცხოელ ინვესტორთათვის არამომზიდველი აღმოჩნდა. დადა დრო, როცა “იტერას” მიეცა საშუალება, ერთ დროს თამამად ნათქვამი უარის გამო საკადრისი პასუხი მიეგო საქართველოს ხელისუფლებისთვის და ის სისტემა, რომელშიც მილიონნახევარი დოლარის გადახდას აპირებდა, პრაქტიკულად, უფასოდ ჩაედო ხელში.

როცა მთავრობამ გაზის დავალიანების გასასტუმრებლად ურიის ვალეები დაიდო, “იტერასთვის” “თბილგაზის” გადაცემა უკვე გადანყვებილი იყო. მიუხედავად შესაძლებელი მონდომებისა, დავალიანება მთლიანად მინც ვერ დაიფარა, გაზის ვალეების რესტრუქტურისა და სხვა სახით კი მოსკოვის სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა ეწვივნენ.

შემდეგი მოვლენების ქრონოლოგია: მოსკოვიდან დაბრუნებული ჯორბენაძე არაორაზროვან მინიშნებებს აკეთებს “თბილგაზში” გამეფებულ კორუფციასა და “ქართული სტრუქტურებისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ცოდვებთან” დაკავშირებით, რომელთა შესახებაც მას “იტერაში” აცნობეს. სახელმწიფო მინისტრის მოქმედი მათრახი მერიის ჩინოვნიკებსაც ხვდებოდა. მისი ეს სიტყვები ერთმნიშვნელოვნად მოასწავებს, რომ ხელისუფლებას “თბილგაზისთვის” “შესაფერისი” ადგილი უკვე გამონახული აქვს... რასაკვირველია, “იტერას” პრეზიდენტთან იგორ მაკაროვთან მათათბირების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ “იტერასთვის” ძლივს შეგროვილი მილიონნახევარი დოლარი მხოლოდ ერთი თვის გადასახადი იყო, ვალეების რესტრუქტურისა და დაწყებული

ლი საუბარი “იტერამ” თაროზე შემოღო. რაც მეტია ვალი, მით მეტია აქტივი. ქართული ვალეები “იტერას” არ გააკოტრებს. სამაგიეროდ, გაჯიუტებულ მთავრობას ამ ვალეებით, შეიძლება, ყელში წაუჭირო.

შედეგად არ დააყოვნა: მაკაროვმა საქართველოს ერთობლივი გაზგამანაწილებელი საწარმოს შექმნა და სააქციო საზოგადოება “აზოტის” პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემა მოითხოვა, რის საწარმოცოდ იმის საქართველოს მთავრობას 20 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანებას გაუქვითავდა.

“იტერასთან” ერთობლივ საწარმოს რუსეთი პოლიტიკური მიზნებისათვის არ გამოიყენებს, ჩვენ კი უახლოესი 3-4 წლის მანძილზე ალტერნატივა არ გვაქვს,” – აცხადებდა ამ დროს ავთანდილ ჯორბენაძე.

შედეგად, “იტერას” წარმომადგენლის მიხედვით პოტაპენკოს ვიზიტმა თბილისში სრული წარმატებით ჩაიარა. საქართველოს მთავრობასთან გამართულ წინასწარ მოლაპარაკებებზე მან პრეზიდენტის მხარდაჭერით, პრაქტიკულად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღო “იტერასთვის” “აზოტის” პირ-

ბით სერიოზული ალტერნატივა უნდა გამოუჩნდეს “გაზპრომის” “ბლუსტრუმის” (ცისფერი ნაკადი) პროექტის სახით. ამ პროექტის მიხედვით, რუსული გაზი, შავი ზღვის ფსკერზე გავლით უნდა მიენდოს თურქეთს, სადაც 2005 წლის ბოლოსთვის რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის გაზსადენი მოიყრის თავს. ამ პირობებში შაჰ-დენიზის გაზსადენის სავარაუდო დატვირთვის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელი ხდება.

შეერთებული შტატების პოზიცია თურქეთს შაჰ-დენიზის პროექტის ფორსირებისაკენ უბიძგებს. სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი კასპის რეგიონის ენერგეტიკული სტრატეგიის საკითხებში, სტივენ მანი მიიჩნევს, რომ თურქეთმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მხარი დაუჭიროს შაჰ-დენიზის პროექტს. მისი განცხადებით, შაჰ-დენიზიდან გაზის მოწოდების ფორსირება კავკასიის რეგიონში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნების საქმეში თურქეთის ინტერესებსაც ეთანხმება.

თუმცა, არ არის გამოცხადებული, რომ რუსული გაზი

და ჯერჯერობით ისიც კი არ არის გარკვეული, თუ ვინ დააფინანსებს პროექტს.

ზოგიერთი დეტალი მომავალი ხელშეკრულების შესახებ

“იტერას” გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტის სახით დღემდე არ ჩამოყალიბებულა. მიუხედავად ამისა, მომავალ ერთობლივ საწარმოში “იტერა-ჯორჯიაში” საქართველოს ხელისუფლებას ქართული წილის 50 პროცენტის მიღებაზე საუბარი მაკაროვმა დანებებისთანავე შეაწყვეტინა. მომავალი ერთობლივი საწარმო საქართველოს ყველა იმ გაზგამანაწილებელ საწარმოს მოიცავს, სადაც სახელმწიფოს ჯერ კიდევ აქვს დარჩენილი თავისი წილი. საწარმოში “იტერას” მხრიდან “საქგაზის” ქონება შევა. “იტერა-ჯორჯიას” პარიტეტული სამეთვალყურეო საბჭო ეყოლება. ის ვალდებულ იქნება ალტერნატიული გაზის “უფრო იაფი წყარო” გამოიყენოს. პარალელურად, “იტერა” ითხოვს ისეთი პირობების შექმნას, როგორცაა

იტერას ქონება

Table with 6 columns: N, დასახელება, ს/ს "საქგაზის" წილი %, სახელმწიფო წილი%, საერთო ღირებულება, სახელმწიფო წილის ღირებულება

დაპირი წესით მიყიდვის უფლება და “იტერა-ჯორჯიასთვის” აქციათა 51-პროცენტის საკონტროლო პაკეტის მიღების გარანტიები.

“თბილგაზის” “იტერასთვის” ზარ-ზეიმით გადასაცემად მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის შემზადება იყო დარჩენილი. ამიტომ ხელისუფლებამ “თბილგაზთან” დაკავშირებული “წინაწინადა” პროექტები ამოაშრეურა, რათა კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა მათი უფარვისობა, გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროების არარსებობაზე ალაპარაკდა და ერთი-ორჯერ ისიც გააჟღერა, რომ “იტერა-ჯორჯიაში”, შესაძლოა, მესამე პირად “ეი-ი-ესი” შემოსულიყო.

ალტერნატივა, რომელიც არ გვაქვს

ბუნებრივი აირის ერთპიროვნულ მომწოდებელზე ლული უფრო და უფრო მზარდი დამოკიდებულების შესუსტებას ხელისუფლება მომავალში შაჰ-დენიზის გაზის საშუალებით აპირებს. თუმცა, მსოფლიო გაზის სექტორში მოვლენათა განვითარების ტენდენცია იმისკენ მიდის, რომ დასავლეთისათვის შაჰ-დენიზს თავისი მნიშვნელო-

ვით სერიოზული ალტერნატივა უნდა გამოუჩნდეს “გაზპრომის” “ბლუსტრუმის” პროექტი ციმბირის გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, რომელიც შაჰ-დენიზის გაზზე უფრო მაღალი ენერგოემეცველობით გამოირჩევა. გარდა ამისა, შაჰ-დენიზის საბადო და იქ არსებული გაზის რაოდენობა ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის, “გაზპრომს” კი მსოფლიოში უდიდესი ქსელი და უშველებელი რეზერვები გააჩნია და შაჰ-დენიზის დასაბლოკად მას თურქეთისათვის გაზის შეღავათიანი ტარიფით მიწოდება დიდად არ აზარალებს.

წესისმიერ შემთხვევაში ამ კითხვებს პასუხი გაეცემა არა უადრეს 2005 წლისა. კიდევ უფრო გვიან გაეცემა პასუხი მეორე კითხვას: შესძლებს თუ არა საქართველო გაზის უწყვეტი მოწოდების უზრუნველყოფას. 510 მილიონი კუბური მეტრის ტევადობის მინისქვეშა გაზსაცავი, რომელიც სამგორის საბადოს სამხრეთით თაღში უნდა აშენდეს, და რომელიც 200 მილიონ დოლარამდე დაჯდება, ჯერ მხოლოდ პროექტის სახით არსებობს. მის ტექნიკურ დახასიათებას დანიური ფირმა “რამბოლი” ამუშავებს

ალმოსავლეთ ვეროპის ქვეყნებში, მაგალითად, შეღავათიან საბაჟო რეჟიმს.

“იტერას” მომხიბლავი გარანტიები იმის შესახებ, რომ გაზზე ტარიფი არსებულ ფარგლებში შენარჩუნდება, ცოტა არ იყოს ბუნდოვანია. საქმე ის არის, რომ ქართული “იტერა” “დამოკიდებული” იქნება რუსული “იტერას” მიერ მოწოდებული გაზის ღირებულებაზე. თუ რუსულმა “იტერამ” თავის ქართველ “სენიას” ეს ტარიფი გაუზარდა, ბუნებრივია, “იტერა-ჯორჯიასაც” მოუწევს ტარიფის გაზრდა.

თავის დროზე “ტაჰალმა” ქართულ მხარეს გაზის სამომხმარებლო ტარიფის თითქმის ორჯერ გაზრდა (ერთ კუბურ მეტრზე 27 თეთრიდან 50 თეთრამდე) მოსთხოვა, რითაც, პრინციპში, მოლაპარაკების პროცესი ჩაშალა. შეგახსენებთ, რომ მოგვიანებით ერთი დეტალი გახმაურდა: თურმე, “იტერასთან” მოლაპარაკება “ტაჰალთან” ხელშეკრულების პირობების შეთანხმების პარალელურად მიმდინარეობდა.

“იტერასთან” მოლაპარაკების პროცესში ყველაზე ბუნდოვანი მაინც წილობრივი გადანაწილების საკითხია. მიუხედავად

იმისა, რომ “იტერას” იდეალური სიზუსტით აქვს აღწერილი მისი კუთვნილი ქონება საქართველოში, ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ ვერ მოაბა თავი საკუთარი კაპიტალის დათვლას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უკვე ჟღერს ირონიული განცხადებები იმის შესახებ, რომ “იტერა-ჯორჯიაში” შესატანი ქართული წილები ჯერ კიდევ არ არის დათვლილი და ეს მაშინ, როცა წილობრივი გადანაწილება – 51 პროცენტი – “იტერას”, 49 პროცენტი კი – საქართველოს, უკვე გადანყვებილია. ბუნებრივია, საკამათო ერთი პროცენტი, რომელსაც ქართული მხარე ასე გულუხვად თმობს, “იტერას” ხელში საქართველოს გაზგამანაწილებელი ქსელით მანიპულირების მნიშვნელოვან ბერკეტად იქცევა. რაც შეეხება იმ მექანიზმებს, თუ რა გზებით შეუძლია “იტერას” მთლიანად საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემაზე კონტროლის მოპოვება, “საქროსენერგოს” მაგალითიც კმარა.

იმ შემთხვევაში, თუ “იტერა-ჯორჯიაში” შესატანი ქართული წილი “მოულოდნელად” “იტერას” წილზე ნაკლები აღმოჩნდა, საქართველო დანაკლისის შევსებას დაამტებით ქონების ხარჯზე აპირებს, - ამის შესახებ ლიად აცხადებს “იტერას” პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი თემურ გაჯიევი. იოლი დასაშვებია, “იტერამ” საწარმოო კაპიტალში გაზის ვალეების გაქვითვა მოითხოვოს. მით უმეტეს, რომ რუსეთის საქართველოსთან მიმართებაში ანალოგიური პრაქტიკა უკვე გააჩნია, “იტერას” მიმართ კი საქართველოს დიდი დავალიანება აქვს.



საქართველოს გაზის გამანაწილებელ სისტემაში “იტერას” შემოყვანას მედგარი წინააღმდეგობა ხვდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში. “თბილგაზის” რუსული კომპანიისთვის გადაცემის წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმაც გაილაშქრეს. ისინი დღემდე მიიჩნევენ, რომ “იტერასთვის” “თბილგაზის” ხელში ჩაგდება რუსეთისათვის მნიშვნელოვანი სოციალური ბერკეტების გადაცემას ნიშნავს.



მიუხედავად არასამთავრობოების მიერ ატეხილი განცხადებისა, “იტერა-ჯორჯიას” შესახებ მსჯელობა თავიდანვე ალტერნატიული გეზით გრძელდება. დოკუმენტი, რომელიც “იტერას” განზრახვებს გაამჟღავნებს, რამდენიმე პირად არსებობს და ყოველ მათგანში თანამშრომლობის მოვლენები მსჯელობა წარმოადგენილი. ისჯელობა იმის შესახებ, თუ რომელ მათგანს მიიღებს “იტერა”, ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იმ ვარიანტს, რომელსაც “იტერა” მიიღებს, საქართველოს მთავრობაც დაუყოვნებლივ მოაწერს ხელს.

და ბოლოს: საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ქართული მხარე “იტერასთან” საკუთარი ინტერესების დაცვას მოახერხებს. თუმცა, ის პირობები, რომლებიც ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით უკვე გახმაურდა, საკმაოდ რეალურ ეჭვს ტოვებს, რომ დასაცავი უკვე აღარაფერი დარჩება.

# "არაკონომიკური პოლიტიკა" და "ეკონომიკის პოლიტიზაცია"

პროფ. ვლადიმერ შაპავა  
საქართველოს სტრატეგიისა და  
საერთაშორისო ურთიერთობათა  
კვლევის ფონდი

ან. იენისში საქართველოს სა-  
ხელმწიფო მინისტრის ავთანდილ  
ჯორბენაძის მიერ საქართველოს  
პარლამენტში გაკეთებულმა გან-  
ცხადებამ იმის თაობაზე, რომ ბო-  
ლო წლებში ქვეყნის ეკონომიკის  
განვითარების უმთავრესი ხელშე-  
შეღელი ფაქტორი მისი ზედმეტი  
პოლიტიზაციაა, პარლამენტართა  
ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია.  
მათი ძირითადი არგუმენტები ის  
იყო, რომ პარლამენტი სწორედ პო-  
ლიტიკის განხილვისათვისაა მოწოდ-  
ებული, რომ ეკონომიკური პოლი-  
ტიკა სახელმწიფო პოლიტიკის შე-  
მადგენელი ნაწილია და ამდენად  
"ეკონომიკის პოლიტიზაცია" ცუდი  
და, ამდენად, აღსაკვეთი სულაც არ  
არის. ერთის შეხედვით, პარლამენ-  
ტართა არგუმენტების სამართლია-  
ნობაში ეჭვის შეტანა გამორიცხე-  
ლივ კი უნდა იყოს, მაგრამ საკმა-  
რისა საკითხის არსში ჩახედვა,  
რომ "ეკონომიკის პოლიტიზაციის"  
ქართული გამოცდილების საზიარო  
ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე  
ნათელი მოეფინება.

თანამედროვე ეკონომიკური  
თეორიის მაკმილანის ცნობილი  
ლექსიკონის თანახმად "ეკონომი-  
კური პოლიტიკა" ქვეყნის ეკონომი-  
კის მიმართ სახელმწიფოს ქცევას  
ნიშნავს. ეკონომიკური პოლიტიკის  
ხასიათი იცვლება სახელმწიფოს  
მხრიდან ეკონომიკაში აბსოლუტურ  
ჩაურევლობიდან (*Laissez-faire*),  
ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ  
მართვის უმკაცრეს ფორმამდე,  
რომელიც დამახასიათებელია კო-  
მუნისტური მოწყობის ეკონომიკი-  
სათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გა-  
დასვლის პროცესის არსი სწორედ  
მიწოდების უკიდურესი მდგომარეობი-  
დან პირველსაკენ მოძრაობაში გა-  
მოიხატება; სხვა სიტყვებით რომ  
ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკაზე გა-  
დასვლის ეკონომიკური პოლიტიკა  
ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს  
ისეთ ქცევას გულისხმობს, როცა  
ეკონომიკის მართვაში მისი ჩარევის  
მასშტაბები თანდათან მცირდება.

ამ დებულებათა ფონზე გავა-  
ნალიზოთ დამოუკიდებელ საქარ-  
თველოში ეკონომიკური პოლიტიკის  
ცვლილების დინამიკა, რამაც შე-  
საძლებლობა უნდა მოგვცეს გავ-  
ერკვეთ იმაში, თუ რას ნიშნავს  
"ეკონომიკის პოლიტიზაცია".

1990-91 წლებში საქართველოს  
ხელისუფლების მიერ გატარებული  
ეკონომიკური პოლიტიკა სახელმ-  
წიფოს მხრიდან ეკონომიკის მართ-  
ვის კომუნისტური ფორმების ლი-  
ბერალიზაციის მოკრძალებული  
მცდელობით გამოირჩეოდა. აქედან  
გამომდინარე, გასაკვირი არც უნდა  
იყოს, რომ იმდროინდელი მთავრობის  
განცხადებით საქართველოში  
სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი  
უნდა დამკვიდრებულიყო.

ეკონომიკის მართვაში სახელმ-  
წიფოს ჩარევის პრაქტიკაში რევი-  
ლუციური ხასიათის გარდატეხა  
ინებდა 1992 წელს, რაც უმთავრესად  
ფასების თითქმის საყოველ-  
თაო ლიბერალიზაციასა და სასოფ-  
ლო-სამეურნეო მიწების უსასყიდ-  
ლო დარიცხვაში გამოიხატა. ამავ-  
ეჭაზე, ეკონომიკის მიმართ სა-  
ხელმწიფოს ქცევაში ისეთი მომენ-  
ტები გამოიკვეთა, რაც, პრაქტიკუ-  
ლად შეუძლებელია, კვალიფიცი-  
რებულ იქნეს თუნდაც ცუდი (რო-  
გორც ეს 1990-91 წლებში იყო),  
მაგრამ მაინც "ეკონომიკური პო-  
ლიტიკის" სახელწოდებით; კერ-  
ძოდ, სრულ ლიბერალიზაციას და-



პროფესორი ვლადიმერ შაპავა

ბაშო ალავეილის ფოტო

ექვემდებარა ფულად-საკრედიტო  
სექტორი, რითაც საკრედიტო ემი-  
სიამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია,  
კომერციული ბანკების შექმნა მაქ-  
სიმალურად გაადვილებული იყო,  
ხოლო ეროვნული ბანკის მხრიდან  
მათ შემდგომ საქმიანობაზე ზედამ-  
ხედველობა, პრაქტიკულად, არ არ-  
სებობდა; არანაკლებ "შთამბეჭდა-  
ვი" იყო ბარტყრით თურქმენეთი-  
დან გაზის შექმნის საკლირინგო მე-  
ქანიზმის შემოღება, რამაც თურქ-  
მენეთთან 400 მილიონი აშშ დოლარის  
ვალი წარმოქმნა. საყურადღე-  
ბოა, რომ 2001 წლიდან თურქმენეთის  
ვალის გასტუმრების მიზნით  
აუდასხენებელი საკლირინგო მექა-  
ნიზმი კვლავ იქნა ამოქმედებული.

ეკონომიკის მიმართ სახელმწი-  
ფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური  
პოლიტიკა ვერანაირად ვერ დაერქ-  
მება, რამეთუ იგი არა მარტო ეკო-  
ნომიკურ თეორიასთან, არამედ უბ-  
რალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინა-  
აღმდეგობაში მოდის; მას, უფრო  
კორექტული იქნება, თუ "არაკო-  
ნომიკურ პოლიტიკას" ვუწოდებთ.

საქართველოში 1992-93 წლებ-  
ში გატარებული "არაკონომიკური  
პოლიტიკის" შედეგად პიპერინფ-  
ლაციას შეექმნა სოციალური ნიადაგი,  
რაც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა  
სახელმწიფოებრივ დამოუკიდებ-  
ლობას.

1994 წლიდან ხელისუფლების  
მიერ შემუშავებული ე.წ. "ანტიკრი-  
ზისული პროგრამის" საფუძველზე  
ინებდა თვისებრივად განახლებული  
ურთიერთობა საერთაშორისო სა-  
ფინანსო ინსტიტუტებთან (საერ-  
თაშორისო სავალუტო ფონდთან  
და მსოფლიო ბანკთან), რაც ქვეყ-  
ნაში საფინანსო წესრიგის დამყარე-  
ბისა და ეკონომიკის არსებითი ლი-  
ბერალიზაციის შესაძლებელი ეკონო-  
მიკური პოლიტიკის გატარების სა-  
წინდარი ხდება. შედეგად, 1994-97  
წლებში ინფლაცია "მოითვა", ხო-  
ლო ეკონომიკურმა ზრდამ 1996-97  
წლებში 10-პროცენტზე მეტს გა-  
დააჭარბა; 1997 წლის ბოლოსათვის

მცირე და საშუალო პრივატიზაცია  
პრაქტიკულად დასრულდა; 1995  
წელს წარმატებით განხორციელდა  
ფულის რეფორმა, ხოლო 1996  
წელს პურის ბაზრის სრული ლიბე-  
რალიზაციით ეკონომიკის კომუ-  
ნისტური მართვის უკანასკნელი  
"ბასტიონიც" დაინგრა. სამწუხ-  
როდ, 1994-97 წლები ის ხანმოკლე  
პერიოდი აღმოჩნდა, როცა საქარ-  
თველოს გააჩნდა რადიკალური დე-  
მოკრატიული რეფორმების შე-  
საძლებელი ეკონომიკური პოლიტიკა  
და რეფორმის გამტარებელ გუნდს  
ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლა-  
მენტის სრული მხარდაჭერა ჰქონ-  
და.

1997 წლის მეორე ნახევრიდან  
ხსენებული გუნდის ეტაპობრივი  
დაშლისა და საპარლამენტო უმ-  
რავლესობის მიერ საკვანძო სამ-  
თავრობო "პორტფელის" დაკავე-  
ბის კვალობაზე თანდათანობით  
ინებდა "ეკონომიკური პოლიტიკის"  
"არაკონომიკურ პოლიტიკად"  
ტრანსფორმაციის პროცესი, რო-  
მელმაც განსაკუთრებით მწვავედ  
თავი 1998 წლის ზაფხულში იჩინა,  
როცა ფინანსთა სამინისტროს "ნო-  
ვატორული" წინადადებით საგადა-  
სახადო დავალიანებათა ამნისტის  
გზით ეკონომიკური "გარღვევა"  
უნდა მიღწეულიყო. დიდი გამჭრია-  
ხობა სულაც არაა საჭირო იმის მი-  
სახვედრად, რომ საგადასახადო  
დავალიანებათა ამნისტის პროცე-  
დენტის დაშვება, საპრეზიდენტო  
თუ საპარლამენტო არჩევნების წინ  
ამომრჩეველთა ხმების "ყიდვის"  
მიზნით მისი მრავალჯერადი გამო-  
ყენების რეალურ სამომავლო  
ქმნის; ეს კი სახელმწიფოსათვის გა-  
დასახადის გადახდელთა არსებით  
შემცირებას და ისედაც სუსტი ქარ-  
თული სახელმწიფოს კიდევ უფრო  
დასუსტებას გამოიწვევს. ამასთან-  
ავე, ისიც ცნობილია, რომ რო-  
გორც საერთაშორისო სავალუტო  
ფონდი, ისე ნებისმიერი სხვა საერ-  
თაშორისო ორგანიზაცია საგადა-  
სახადო შეღავათებს პრინციპულად  
ენინაღმდეგება. იმის მიუხედავად,

რომ ქვეყნის ხელისუფლების უმაღ-  
ლესი პირები ამ პროვოკაციული ხა-  
სიათის მქონე ფსევდოპოლიტიკის  
პრინციპული მიუღებლობის შესა-  
ხებ გაფრთხილებულნი იყვნენ, ფი-  
ნანსთა სამინისტრო სახელმწიფო  
ბიუჯეტიდან მაინც დაფინანსდა  
შესაბამისი "პროგრამის" ("ეკონო-  
მიკური გარღვევის დოქტრინის")  
შესაქმნელად, რომლის შესათანხ-  
მებლადაც საერთაშორისო სავა-  
ლუტო ფონდთან სამთავრობო დე-  
ლეგაცია ვაშინგტონშიც გაიგზავნა.  
ეკონომისტებისათვის, და საერ-  
თოდ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე  
უადამიანისათვის გასაკვირი არ  
უნდა იყოს, რომ სწორედ ამის შემ-  
დეგ ინებდა საერთაშორისო სავა-  
ლუტო ფონდთან ურთიერთობის  
გაფუჭების არაერთნაირი პროცე-  
სი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ  
"არაკონომიკური პოლიტიკა"  
ფსევდოთეორიულ საბურველში  
შეიძლება იყოს გახვეული (რო-  
გორც ეს 1998 წელს მოხდა), ხანდა-  
ხან (არც ისე იშვიათად) ასეთი სა-  
ბურველიდან გამოშვებული ფორ-  
მის თვალსაჩინო და ამასთან შე-  
დარებით ახალ მაგალითს ფინანს-  
თა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო  
სექტორში გასაცემი მიმდინარე  
თვის ხელფასების გაცემის შემდეგ  
თვეში ხელფასურად გადატანა  
წარმოადგენს, რამაც საგადასახადო  
შემოსავლების სამინისტროს  
მიერ ამ გზით მიუღებელი სამე-  
საველო გადასახადით ბიუჯეტის  
თვის გეგმის შესრულებლობა გა-  
მოიწვია; ასეთმა "მარტივმა" ოპე-  
რაციამ პარლამენტში სახელმწიფო  
მინისტრის პასუხისმგებლობის სა-  
კითხის დაყენება გამოიწვია, რად-  
გაცემის მისი (პასუხისმგებლობა)  
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულე-  
ბასთან დაკავშირებით რამდენიმე  
თვით ადრე საკუთარ თავზე აიღო.

თუ გასული საუკუნის 1990-  
იანი წლების პირველ ნახევარში  
განხორციელებულ "არაკონომი-  
კური პოლიტიკას" საფუძველად ძირ-  
ითადად უეცრობა და სისხარბე  
ედო, 90-იანი წლების მეორე ნახე-  
ვიდან მათ დაემატა, უფრო სწო-  
რედ კი ისინი პოლიტიკური ინტე-  
რესებით "შეიშალა", როცა ხელი-  
სუფლებში მყოფ პოლიტიკოსთა  
რამოდენიმე ჯგუფმა და მათთან  
ალიანსში კავშირში მყოფმა პირე-  
მა პოლიტიკური ძალაუფლების გა-  
სამტკიცებლად სახელმწიფოს  
ხელთ არსებული ეკონომიკური  
ბერკეტების გამოყენებით ერთდ-  
როულად დაიწყეს მოქმედება. სწო-  
რედ ეს არის "ეკონომიკის პოლი-  
ტიკის" "ავთვისებიანი სენის"  
საფუძველი.

საზგასანმელია, რომ "ეკონომი-  
კის პოლიტიკა", თუნდაც ცუ-  
დი, მაგრამ მაინც "ეკონომიკური  
პოლიტიკის" პირობებში იმდენად  
საშიში არ არის, რამდენადაც  
სახიფათოა "არაკონომიკური პო-  
ლიტიკის" დროს.

გასული საუკუნის 90-იანი წლე-  
ბის მეორე ნახევრისა და XXI საუკუ-  
ნის დასაწყისის "არაკონომიკური  
პოლიტიკისა" და "ეკონომიკის პო-  
ლიტიკის" ყველაზე უფრო  
თვალსაჩინო მაგალითს ფინანსთა  
სამინისტროს დამლა-აღდგენა  
წარმოადგენს, როცა როგორც მის  
დაშლას, ისე მის აღდგენას საფუძ-  
ველად არა ეკონომიკური მიზანშეწო-  
ნობაა, არამედ მინისტრებისათ-  
ვის თანამდებობის შენარჩუნება და  
თანამდებობიდან გაშვება ედო. ბუ-  
ნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში  
"არაკონომიკური პოლიტიკის" გე-  
ნერაციის ფუნქცია ფინანსთა სა-  
მინისტროსა და მის "უდღეურ ნაში-  
ერს" - საგადასახადო შემოსავლე-

ბის სამინისტროს დაეკისრა. თუმ-  
ცა, სამართლიანობა მოითხოვს  
აღინიშნოს რომ გასული საუკუნის  
90-ანი წლების მეორე ნახევარში და  
2000-2001 წლებში მათ ამ ფუნქცი-  
ის შესრულებაში, შესაბამისად  
სოფლის მეურნეობისა და სურსა-  
თის და ეკონომიკის, მრეწველობისა  
და ვაჭრობის სამინისტროები გაე-  
ჯიბრა და თანაც არაერთ "წარმა-  
ტებასაც" მიაღწიეს. ამ კონტექსტში  
არც პრეზიდენტის ცალკეულ  
რწმუნებულთა დავიწყება იქნება  
გამართლებული, რომელმაც ფი-  
ნანსთა სამინისტროს აქტიური  
მხარდაჭერით (რომ არაფერი  
ვთქვათ სოფლის მეურნეობისა და  
სურსათის სამინისტროზე) "გაყი-  
ნული" პენსიებისა და ხელფასების  
ნაცვლად ფქვილისა და სხვა სამ-  
რეწველო პროდუქტების დარიგე-  
ბის სქემები აამოქმედეს.

ლოგიკურად იბადება ორი ურ-  
თიერთდაკავშირებული კითხვა  
იმის შესახებ, თუ რამდენად ვართ  
დაცული დღეს და უახლოეს მომავ-  
ალში "არაკონომიკური პოლიტი-  
კისაგან", და მთავრობაში "ეკონო-  
მიკის პოლიტიკის" მასშტაბე-  
ბის შემცირების ობიექტური პირო-  
ბები რამდენად არის შექმნილი.

"არაკონომიკური პოლიტიკი-  
საგან" დაცვის გარანტია პირობი-  
თად ორ ნაწილად შეიძლება დაე-  
ყოთ; პირველი სამთავრობო გუნ-  
დის პროფესიონალიზმია, ხოლო  
მეორე ამის საფუძველზე საერთა-  
შორისო საფინანსო ინსტიტუტებ-  
თან მჭიდრო თანამშრომლობაა.

პირველ ნაწილში რეალური  
იმედის მომცემი მოქმედი სახელმ-  
წიფო მინისტრის უშუალო რეფორ-  
მატორული გამოცდილება და მის  
მიერ მთავრობის საქმიანობის  
მეცადირე კოორდინაციის უნარია  
(რაც განსაკუთრებით რელიეფუ-  
რად მისი უსახური წინამორბედის  
ფონზე გამოიკვეთა); არანაკლებ  
მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის  
ხელმძღვანელობის პროფესიონა-  
ლიზმი, რაც მათ მიერ გატარებულ  
ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში  
გამოვლინდა.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, აქ,  
სამწუხაროდ, გარკვეული სირთუ-  
ლებები გამორიცხული არ არის. მარ-  
თალია, სახელმწიფო მინისტრს სა-  
ერთაშორისო საფინანსო ინსტიტუ-  
ტებთან წარმატებული თანამშრო-  
ლობის არაერთნაირი გამოცდი-  
ლება გააჩნია, მაგრამ ამ სფეროში  
კულუარულ დაპირისპირებათა და  
მთავრობის ზოგიერთ წევრთა მიერ  
ხსენებულ ინსტიტუტებთან საქმი-  
ანი თანამშრომლობის წარმართვის  
უუნარობის ფონზე, მათთან (ამ ინ-  
სტიტუტებთან) ურთიერთობის  
გართულება, სამწუხაროდ, სულაც  
არ არის ნაკლებ სავარაუდო.

საყურადღებოა, რომ მთავრო-  
ბაში "ეკონომიკის პოლიტიკის"  
მასშტაბების შემცირების ობიექ-  
ტური პირობების შექმნის მხრივაც  
ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური  
სიტუაცია, სამწუხაროდ, ჩამოყა-  
ლიბებული არ არის. კერძოდ, სა-  
ხელმწიფო მინისტრისა და ზოგი-  
ერთი მისი კოლეგის ბოლო პერიო-  
დის პარტიულმა ნაბიჯებმა საქარ-  
თველოს ჯერ მხოლოდ ცალკეულ  
რეგორების გატარებულ ღონისძი-  
ებათა "საეჭვო უფლებების"  
სამთავრობო თუ პარტიული პატ-  
რონის ვინაობა ერთობ ბუნდოვანი  
გახდა. ასეთ პირობებში "ეკონომი-  
კის პოლიტიკის" ცდუნების სა-  
შემოწებოდა ძალზე დიდია. ამდენად,  
მთავრობის შესაბამის წევრებს დი-  
დი ძალისხმევა დასჭირდებათ, რა-  
თა კონკრეტული სიტუაციებში, სა-  
ხელმწიფო ინტერესებიდან გამომ-  
დინარე, უშუალო პარტიულ ინტე-  
რესებზე მაღლა დადგინდ.



# როგორც ქვეყანა, ისეთია პრესაც

## ბადრი კოკლაძე

მედია-ბიზნესი საქართველოში თავის სათავეს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან იღებს. თუმცა, მიუხედავად მისი თითქმის თხუთმეტწლიანი არსებობისა, ჯერჯერობით, საკმაოდ ძნელია იმ ტენდენციებზე და თავისებურებებზე საუბარი, რომელიც ქართულ ბაზარს ახასიათებს. ამის უპირველესი მიზეზი ისევე და ისევე ქვეყანაში შექმნილი სიტუაციაა. არ არსებობს ოფიციალური და, რაც მთავარია, ზუსტი სტატისტიკა არც დასაქმებულთა რაოდენობის, არც მათი ანაზღაურების, არც შემოსავლების, არც რეკლამების მოცულობის, არც ტირაჟების შესახებ. განსხვავებული ვითარება განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მედია-კომპანიების მონაცემების საჯაროობა თვითონ კომპანიების ინტერესია, რადგანაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ მათი აქციების ფასის ცვალებადობას. უცხოური მედია-ბაზრის შესწავლა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ მოხდეს ქართული ბაზრის განვითარების პროგნოზირება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამჯერად, ყოველდღიური გაზეთების ბაზარზე შევხერხდებით. თავიდან შევნიშნავთ, რომ საგაზეთო ბაზარი დიდ ცვლილებებს განიცდის ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული გზების განვითარებასთან ერთად. თუ ტელევიზია უკვე დიდი ხანია თანაარსებობს პრესასთან, ინტერნეტმა საერთო საინფორ-

მაციო სივრცეში საკმაოდ დიდი ცვლილებები შეიტანა. სამწუხაროდ, საქართველოში ინტერნეტის ინფრასტრუქტურა ჯერჯერობით საკმაოდ სუსტია ამიტომაც, საქართველოსთან მიმართებაში პრაქტიკული თვალსაზრისით უპრიანია დასავლური გამოცდილების გაანალიზება იმ პერიოდამდე, სანამ ინტერნეტი ასეთ ფართო მასშტაბებს მიიღება (90-იანი წლების მიწურულისთვის).

სტატისტიკური მონაცემები: UNESCO Yearbook 1999, World Bank statistical data, United Nations Economic Commission For Europe, the Newspaper Association of America (NAA) resources.

### ძირითადი ტენდენციები

ყოველდღიური გაზეთების ბაზარზე სიტუაცია საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ევროპის ბევრ ქვეყანაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაზეთების საერთო ტირაჟები კლებას განიცდის. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ნელ-ნელა მცირდება მკითხველთა რაოდენობაც, 1000 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით. თუმცა, ევროპაში არის რამდენიმე ქვეყანა, სადაც ამ პარამეტრების მიხედვით 1990-იან წლებში მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნეოდა (იხ. ცხრილი 1).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სწორედ იმ წლებში, როდესაც გაზეთების ტირაჟები მცირდებოდა, განსხვავებული სიტუაცია იყო ტელე-

ვიზიასთან მიმართებაში. ტელევიზიის მაყურებელთა რიცხვი განუზრებლად იზრდებოდა აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში. როგორც ჩანს, გაზეთების ბაზარზე ეს ფაქტორიც მოქმედებდა.

შეიმჩნევა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და, ცოტა არ იყოს, უცნაური კანონზომიერება - მკითხველთა რაოდენობის ხილული კავშირი ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობასთან. თუ შესაბამის მონაცემებს (ცხრილი 2) დავაკვირდებით (პოსტსაბჭოთა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების გამოკლებით), დავინახავთ, რომ მკითხველთა რაოდენობის შემცირება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ხდება - ყველაზე მეტად გაზეთები ნორვეგიაში იზიდავთ, ყველაზე ნაკლებად პორტუგალიაში.

სიტუაცია მსგავსი იყო წინა წლებშიც. ამის ახსნა, როგორც ჩანს, ცხოვრების წესთა შორის არსებულ სხვაობაში უნდა ვეძიოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს კლიმატური პირობებიც. ჩრდილოეთის ქვეყნებში დღე ბევრად მოკლეა, ვიდრე სამხრეთში. ამიტომაც შედარებით ნაკლებ ტემპერატურაზე ჩრდილოელები, როგორც ჩანს, საღამოობით უფრო მეტ დროს გაზეთების კითხვაში ატარებენ, ვიდრე სხვა ტიპის გართობაში (სხვათაშორის, სამხრეთელები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან ტელევიზიის ყურებისადმი და არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი).

საქართველოსთვის, როგორც სამხრეთული ქვეყნისათვის, ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა, თვითონ სამხრეთულ ქვეყნებს შორისაც საკმაოდ დიდი განსხ-

ვებაა - მაგალითად, საბერძნეთში მკითხველების რაოდენობა თითქმის 50 პროცენტით აღემატება ესპანეთის, პორტუგალიის, იტალიის მაჩვენებლებს. სამხრეთული ქვეყნებისათვის მკითხველთა საშუალო რაოდენობა 107 ადამიანს შეადგენს 1000 სულ მოსახლეზე. საქართველოში, თუ არაოფიციალურ მაჩვენებლებს დავეყრდნობით, ეს რიცხვი მთლიანად ქვეყნის მასშტაბით 15 და 25 ადამიანს შორის უნდა მერყეობდეს. თუ თბილისით შემოვიფარგლებით, მაჩვენებელი საკმაოდ იზრდება და 30-40-ის ფარგლებშია. ეს სხვადასხვაობა, ბუნებრივია, მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება.

### ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა

სტაბილური შიდა პოლიტიკური სიტუაციის შემდეგ განმსაზღვრელ მნიშვნელობას ეკონომიკური ინიციატორები იძენს. ამ მხრივ, ყველაზე კარგად სიტუაცია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (შემდეგ ტექსტში მოხერხებულობისთვის მხოლოდ მშპ-ს გამოვიყენებთ) მოცულობასთან მიმართებაში ჩანს. თუ შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს გავანალიზებთ, შეიძლება საკმაო სიზუსტით ქვეყნების ოთხი ჯგუფი გამოიკვეთოს, რომლებშიც საგაზეთო ბაზარი განსხვავებულად რეაგირებს ეკონომიკურ ფაქტორებზე.

წელი	გამოცემების რაოდენობა	ჯამური ტირაჟი (000)	მკითხველთა რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე	სტაბილურობის ინდექსი
1990	70	8000	776	1
1991	88	9000	873	1
1992	55	6000	582	2
1994	23	2259	219	3
1995	23	2950	286	3

ცხრილი 1

წელი	გამოცემების რაოდენობა	ჯამური ტირაჟი (1000)	მკითხველთა რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე
1990	9	232	51
1991	8	73	16
1992	9	75	17
1993	9	150	33
1994	9	495	110
1995	9	480	107
1996	10	515	115

ცხრილი 2

# როგორც ქვეყანა, ისეთია პრესაც

## DS ბავარდობა

როდესაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 15000 დოლარზე მეტია, მისი ზრდა ინვესტორებისთვის მუდმივად და პირიქით.

როდესაც მშპ 6000-15000 ფარგლებშია, ამ პარამეტრის ზრდა მკითხველთა რაოდენობას ზრდის.

როდესაც ქვეყანაში მშპ 1500 დოლარს გადააჭარბებს და 5000 დოლარსკენ მიისწრაფვის, მკითხველთა რაოდენობა შემცირებას იწყებს.

ქვეყნებში, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1500 დოლარზე ნაკლებია, მშპ-ს ზრდასთან ერთად, მკითხველთა რაოდენობაც იზრდება.

პირველ ჯგუფში, ბუნებრივია, ევროპის ყველაზე ძლიერი ქვეყნები ხვდებიან. მათი ეკონომიკა ნელ-ნელა, სტაბილურად კიდევ უფრო უმჯობესდება, რაც მშპ-ს შესაბამის მახასიათებლებში აისახება კიდევ. პარალელურად, ამ ქვეყნებში დაახლოებით იგივე ტემპებით ხდება მკითხველთა რაოდენობის შემცირება. ეკონომიკური თეორიით ამის ახსნა არც თუ ისე რთულია. კეთილდღეობის გარკვეული დონის შემდეგ დამატებით მიღებული შემოსავალს ადამიანები, უმეტეს შემთხვევებში, განსხვავებული სახის მომსახურებაზე ან საქონელზე ხარჯავენ. ჩვენს შემთხვევაში მათთვის სულ უფრო ნაკლებ ინტერესს იწვევს ინფორმაციაში ფულის გადახდა, რადგანაც დარწმუნებულნი არიან ეკონომიკური სიტუაციის მდგრადობაში. ამიტომაც მათ შეიძლება უყურონ ტელევიზორს, რათა საქმის კურსში იყვნენ მიმდინარე მოვლენების, მაგრამ ამაში ფულის დახარჯვა მათთვის უკვე არამომგებიანია. ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება ამ ქვეყნებში კი, პირიქით, საგაზეთო ბაზარზე დადებითად მოქმედებს.

სხვაგვარია სიტუაცია მეორე ჯგუფში, რომელშიც ისეთი ტიპის ქვეყნები შედიან როგორცაა პორტუგალია, საბერძნეთი და ა.შ. ეკონომიკური მდგომარეობა ამ ქვეყნებში საკმაოდ კარგია. თუმცა, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაჩვენებლები დაბალია. მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მათ მკაფიოდ გამოკვეთილი მოტივაცია აქვთ. აქედან უნდა გამომდინარეობდეს ინტერესი ინფორმაციისადმი. ამიტომაც, ასეთი ტიპის ქვეყნებში ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა მკითხველთა რაოდენობის ზრდასაც იწვევს. უნდა ვივარაუდოთ რომ, თუ ამ ჯგუფიდან რომელიმე ქვეყანა თავისი მაჩვენებლებით პირველ ჯგუფში მოხვდება, მაშინ მედია-ბაზარზე უკვე იმ ჯგუფის დამახასიათებელი ქვეყნის სხვა წესები ამოქმედდება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მესამე ჯგუფი, რომელშიც ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაც მოხვდა. ამ ქვეყნებში საკმაოდ რთული გზა გაიარეს - პოლიტიკური არეულობები, ეკონომიკური ფორმაციის ცვლა, მმართველობის დემოკრატიულ სტილზე გადასვლა. თუმცა, უკვე 90-იანი წლების

შუა პერიოდის იქ ეკონომიკური სიტუაცია განუხრელად უმჯობესდება, რაც, ბუნებრივია, აისახა კიდევ მოსახლეობის შემოსავლებზე. ამან, როგორც ჩანს, ადამიანებზე საკმაოდ იმოქმედა, მათში პერსპექტივის რწმენა ნელ-ნელა მტკიცდება, რასაც ინფორმაციისადმი ყურადღების შენელება მოჰყვა. ამას ემატება ისიც, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეებს დღეს ფულის დახარჯვის ბევრი, აქამდე მიუწვდომელი, საშუალება აქვთ. ამიტომაც, არ არის გასაკვირი მკითხველთა რაოდენობის თანდათანობრივი შემცირება.

და ბოლო ჯგუფი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოც, სადაც ოფიციალური მონაცემებით მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 500 დოლარს შეადგენს. ეს ქვეყნები მხოლოდ ახლა ცდილობენ განვითარების გზას დაადგინონ. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, ამიტომაც მოსახლეობის ინტერესი ინფორმაციისადმი საკმაოდ დაბალია, ადამიანები მზად არიან, თავისი არც თუ ისე დიდი შემოსავლებიდან გარკვეული თანხა გაზეთების შეძენაზე გამოყოფონ. ეკონომიკური ზრდა ამ ქვეყნებში გაზეთებზე მოთხოვნის გაზრდას იწვევს.

თუ ზემოთ თქმულს მოკლედ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედია-ბაზარი სხვადასხვა პარამეტრების პირობებში განსხვავებულად მუშაობს და ამ პროცესს გარკვეულწილად "ციკლური" ბუნება აქვს - 1-3 და 2-4 ჯგუფებში მედია-ბაზარი ერთნაირად რეაგირებს ეკონომიკური სიტუაციის ცვალებადობაზე.

სხვათაშორის, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა 90-იანი წლების დასაწყისში ბოლომოდან უკვე მიეკუთვნებოდა, მაგრამ შემდეგ მოახერხა სიტუაციის გამოსწორება და მესამე ჯგუფში გადაინაცვლა. ამ ქვეყნებში მედია-ბაზარზე სიტუაცია ზემოთ მოყვანილ ქვეყნის წესებს დაეკვებებოდა.

თუმცა, როდესაც ტირაჟების ზრდაზე და შემცირებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს გაზეთების ჯამური ტირაჟებია. თვითონ ბაზრის შიგნით გადანაწილება კი მედია-მენეჯერების მუშაობაზე დამოკიდებული - რამდენად სწორად განსაზღვრავენ მოსახლეობის ინტერესს ქვეყნის განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე.

საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, მკითხველთა რაოდენობა საშუალო სამხრეთ ევროპულ მაჩვენებელს ძალზე ჩამორჩება. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით მეოთხე ევროპულ ჯგუფში ხვდება. ამ ორი ფაქტორის შეჯერება კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულ ეტაპამდე დადებითად იმოქმედებს გაზეთების საერთო გაყიდვებზე ანუ საგაზეთო ბაზარს დღეისათვის განვითარების რესურსის საკმაოდ მეტი აქვს. დროში როგორ გაინელება ეს პროცესი, დამოკიდებულია იმაზე, როდის

მოახერხებს ქვეყანა განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლას.

ბუნებრივია, გაზეთების საერთო გაყიდვებზე გარდა მთლიანი შიდა პროდუქტისა კიდევ ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას - ინფლაცია, უმუშევრობის დონე, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება და ა.შ. ამ პარამეტრების მიხედვით, სიტუაცია ისეთი მკაფიო არ არის, როგორც მშპ-სთან მიმართებაში. მაგალითად, უნგრეთში 1992-1995 წლებში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების პერიოდში გაზეთების საერთო გაყიდვები გაიზარდა, ანალოგიური სიტუაცია იყო საბერძნეთში 1993-1995 წლებში თუმცა, მაგალითად, ლიტვაში 1992-1993 წლებში ლიტის მნიშვნელოვან გაუფასურებას გაზეთების ტირაჟების დაახლოებით 40-პროცენტით შემცირება მოჰყვა. ეს მაჩვენებელი სპეციფიკური გამოირჩევა, ბევრი რამ არის დამოკიდებული მისი ცვლილების სიდიდეზე. ამიტომაც, მის მიხედვით ქვეყნების დაჯგუფება საკმაოდ რთულია.

## პოლიტიკური არასტაბილურობა

ეს პრობლემა ევროპული ქვეყნებისათვის 90-იანი წლების დასაწყისისთვის იყო აქტუალური, მაგრამ მაშინდელი სიტუაციის ანალიზი არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ იმას, თუ რა სახეს იღებდა პოლიტიკური არასტაბილურობა - შემოიფარგლებოდა ეს მხოლოდ მიტინგებით და მსგავსი აქციებით, თუ საქმე იარაღამდე და ომამდე მიდიოდა. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჩეხეთის და

ხორვატიის მაგალითი.

## ჩეხეთი

მედია-ბაზრის შესახებ უფრო ზუსტი შთაბეჭდილების შესაქმნელად, სხვა პარამეტრებს პოლიტიკური სტაბილურობის ხუთბალიანი ინდექსი დავამატოთ (1 - ყველაზე დაბალი, 5 - უმაღლესი).

ჩეხეთში დაძაბულობამ პიკს 1989-1990-1991 წლებში მიაღწია. "ხავერდოვან" რეგულაციას მოჰყვა თავისუფალი პრესის დამკვიდრება და დემოკრატიული არჩევნები, რის შედეგადაც დისიდენტი ვაცლავ ჰაველი ქვეყნის პრეზიდენტი ხდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში კვლავ მძიმე სიტუაცია იყო შექმნილი, რადგანაც ჰაველის პრეზიდენტობა სულაც არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ დაწყებული პროცესები შეუქცევადი გახდებოდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამ წლებში მკითხველთა რაოდენობა სარეკორდოდ მაღალი იყო. გარდამტეხი აღმოჩნდა 1992 წელი, როდესაც კლემამ 33 პროცენტი შეადგინა. 1993 წლიდან კი, როდესაც სიტუაცია უკვე შედარებით ნორმალურ კალაპოტში გადავიდა, მკითხველთა რაოდენობა უკვე თითქმის 63 პროცენტით შემცირდა. სტატისტიკურად კორელაციის კოეფიციენტი ჩეხეთისთვის იმ პერიოდში -0,987 იყო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად სულ უფრო მცირდებოდა მკითხველთა რაოდენობაც. როდესაც ქვეყანა უკვე მდგრადი განვითარების კალაპოტში გადავიდა, ამოქმედდა ეკონომიკური ფაქტორები და ის წესები, რომლებიც ზევით განვიხილეთ.

## ხორვატია

ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მიიღო, რის შემდეგაც 1991 წელს რამდენიმე წლიან ომში ჩაერთო.

ომის პერიოდში, განსაკუთრებით კი, პირველ წლებში გაზეთებზე მოთხოვნა შესამჩნევად შემცირდა, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ მოსახლეობა მისთვის საჭირო ინფორმაციას სხვა უფრო ოპერატიული არხებიდან იღებდა. ომის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე ვიზუალურ ინფორმაციას. იუგოსლავიაში მიმდინარე ომის დროს ტელევიზიის საშუალებით მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს სარაევოს დაბომბვას, დუბროვნიკში დატრიალებულ ტრაგედიას და ა.შ. ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ იგივე ხორვატიაში მოსახლეობა იმ წლებში უფრო ტელევიზიაზე იყო ორიენტირებული. თუმცა, დაძაბულობის შენელებასთან ერთად გაზეთებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდამავალი ტიპის ქვეყნებში მედია-ბაზრის განხილვისას აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს არასტაბილურობის და სტაბილურობის პერიოდები, რადგანაც ამ დროს ბაზარი განსხვავებული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. თავის მხრივ ეს ეტაპები რამდენიმე ქვენტაპად იყოფა. საქართველოს ამ მხრივ ისე როგორც ბევრ სფეროში, ველოსიპედის გამოგონება არ სჭირდება. მთავარია, ყურადღებით შევისწავლოთ ის პროცესები, რომლებიც სხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა და დასკვნებიც აქედან გამომდინარე გამოვიტანოთ.

ქვეყანა	საერთო ტირაჟების ცვლილება (%)	მკითხველთა რაოდენობის ცვლილება (%)
აშშ	-7	-7
ავსტრია	-12	-16
ბელგია	-10	-11
ბულგარეთი	+57	+61
ჩეხეთი	-71	-71
დანია	-6	-7
ესტონეთი	-17	-12
ფინეთი	-16	-18
საფრანგეთი	+8	+6
გერმანია	-4	-6
საბერძნეთი	+23	+21
უნგრეთი	-18	-17
ისლანდია	+9	+4
ირლანდია	-14	-17
იტალია	-1	-1
ლატვია	+180	+200
ლიტვა	-59	-58
პოლანდია	+4	+1
ნორვეგია	-1	-3
პოლონეთი	-18	-18
პორტუგალია	+45	+44
რუმინეთი	+5	+6
რუსეთი	-73	-73
სლოვაკეთი	-30	-31
სლოვენია	+29	+26
ესპანეთი	-2	-3
შვედეთი	-12	-14
შვეიცარია	-27	-30
დიდი ბრიტანეთი	-13	-15

ცხრილი 3

ქვეყანა	მკითხველთა რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე (1997 წ)
ნორვეგია	590
ისლანდია	535
ფინეთი	455
შვედეთი	445
დიდი ბრიტანეთი	332
შვეიცარია	331
დანია	311
გერმანია	311
პოლანდია	306
რუმინეთი	298
ავსტრია	296
ბელგია	261
ჩეხეთი	254
ბულგარეთი	254
საფრანგეთი	218
უნგრეთი	186
საბერძნეთი	153
ირლანდია	149
პოლონეთი	113
იტალია	104
ესპანეთი	99
პორტუგალია	75

ცხრილი 4

# მედია-კომპანიები ისევ ცოდვილ მიწაზე ეშვებიან

## თორნიკა პარაშინიძე

კორპორაციული სკანდალებისა და გაკოტრებების ბოლოდროინდელ კასკადში მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უჭირავთ მედია-იმპერიებს. "კირის" გაკოტრებამ, "ამერიკა ონლაინ" თაიმ უორნერის" მიერ ნანახმა უზარმაზარმა ზარალმა, "ვივენდისა" და "ბერტელსმანის" შეფების გადადგომამ ყველას დაანახა, რომ მედიის სამყაროში რალაც ხდება და რომ იქ გამეფებულ კრიზისს რალაც განსაკუთრებული მიზეზები განაპირობებს.

მიზეზები, შეიძლება, არც ისე ორიგინალურად მოგვეჩვენოს, თუკი გავიხსენებთ, რას ნიშნავს მედია-კომპანია (რომ იგი დაკავებულია ისეთი სფეროებით, როგორცაა პრესა, ტელევიზია, კინო, მუსიკა და ა. შ.) და თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ხანს მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური კრიზისი სუფევს. ასეთ დროს კი მომხმარებელი უფრო პირველადი მოხმარების საგნებზე ფიქრობს და მხოლოდ ამის შემდეგ ახსენდება გაზეთისა და საკაბელო ტელევიზიის გამოწერა. მომხმარებელთა რიცხვის დაცემის გარდა, მედია-კომპანიებზე მეტად მტკივნეულად მოქმედებს რეკლამაზე მოთხოვნილების შემცირება, რაც ეკონომიკურ კრიზისს ყოველთვის ახლავს ხოლმე – კომპანიები ამ დროს წაგებებს ნახულობენ და რეკლამისათვის საჭირო სახსრები, უზარალოდ, არ რჩებათ.

აი, ეს არის ძირითადი და ზოგადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მედია-იმპერიების ასეთი უპრეცედენტო ჩავარდნა. თუმცა, ზოგადი მიზეზების გარდა, ზემოთ დასახელებულ კომპანიათა წარუმატებლობაში თავისი წვლილი შეიტანა ინდივიდუალურმა შეცდომებმა, რომლებსაც ყველა ამ კომპანიისათვის განცალკევებულად განვიხილავთ.

### უდიდესი მედია-იმპერია წესით უნდა გადარჩეს

"ამერიკა ონლაინ" თაიმ უორნერის" იმპერია, ალბათ, მსოფლიოს ყველა კუთხეს სწვდება. საკმარისია, ვახსენოთ, რომ ამ კომპანიას ეკუთვნის არხები "სი-ენ-ენი," "ქართუნ ნეთუოტ-ქი," "ტი-სი-ემი;" ფურნალები "ტაიმი," "ფორჩუნი," "ფიფლი;" სტუდია "უორნერ ბრაზერზი;" საქვეყნოდ ცნობილი ინტერნეტ პროვაიდერი "ამერიკა ონლაინი," "ნეთსქეიფი," "აი-სი-ქიუ" და ვინ მოთვლის.

ასეთ იმპერიას, თითქოსდა, რა უნდა დამუქრებოდა, მაგრამ, თავი რომ დავანებოთ ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად პრობლემებს, კომპანიას ერთი სუსტი ადგილი ჰქონდა. იგი "ამერიკა ონლაინისა" და "თაიმ უორნერის" გაერთიანების შედეგად შეიქმნა და შეიქმნა მაშინ, როცა



არნოლდ შვარცენეგერი "ამერიკა ონლაინ ტაიმ უორნერის" მიღებაზე.

REUTERS

საქმიან სამყაროში საინტერნეტო ბუმი სუფევდა და როცა "ამერიკა ონლაინის" აქციები არაბუნებრივად იყო გაძვირებული. ეს ის პერიოდი იყო, როცა ფული, პრაქტიკულად, არაფრისგან კეთდებოდა. საკმარისი იყო მცირედენი კაპიტალი, რათა დაგეარსებინა საინტერნეტო კომპანია და შემდეგ გამოშვებული აქციებიდან მილიონებს აიღებდი. როგორც საქმეში კარგად ჩახედული ხალხი (მათ შორის, აშშ-ის ფედერალური რეზერვების თავმჯდომარე ალან გრინსპენი) წინასწარმეტყველებდა, ბუმმა დიდხანს არ გასტანა და ერთ მშვენიერ დღეს საინტერნეტო კომპანიათა აქციები კატასტროფულად დაეცა. ამან უმძიმეს დღეში ჩააგდო "ამერიკა ონლაინ" თაიმ უორნერი" და, რომ არა "თაიმ უორნერის" "ნაცადი" ბიზნესი (კინო, ტელევიზია,

პრესა და ა. შ.), კომპანიას ალბათ გაცილებით უარესი ელოდა, ვიდრე მოხდა. თუმცა, უარესის წარმოდგენა ცოტათი ძნელია – მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მედია-იმპერიამ 54 მილიარდი დოლარი იზარალა, რაც მსოფლიო რეკორდია. საქმეს ვერ უშველა "უორნერ ბრაზერზის" მიერ გადაღებული ბლოკბასტერმა "ჰარი პოტერმა," რომელმაც ერთი მილიარდი დოლარი მოიტანა.

ყოველივე ამან კომპანიის ხელმძღვანელობა აიძულა, სერიოზულად გადაეხედა სტრატეგიისათვის. "ამერიკა ონლაინიდან" მოსული საინტერნეტო (ანუ, ერთ დროს ნამყვანი დარგის) ბიზნესის შეფი და მედია-იმპერიის მთავარი საოპერაციო ოფიცერი რობერტ პიტმანი გადაყენებულ იქნა. კომპანიამ აქცენტი "ნაცად" ბიზნესზე გადაიტანა და ხელმძღვანელობაში

"თაიმ უორნერისეული" შედარებით კონსერვატიული მეთოდები დაინერგა. სპეციალისტთა აზრით, პირველ კვარტალში ნანახი არნახული ზარალის მიუხედავად, კომპანიამ წესით უნდა დააღწიოს თავი კრიზისს. საამისოდ ყველა მონაცემი არსებობს – "თაიმი" კვლავაც ყველაზე პოპულარული ჟურნალია მსოფლიოში, "სი-ენ-ენსაც" ძალიან ცოტა თუ გაუწევს კონკურენციას, "უორნერ ბრაზერზი" ბლოკბასტერებს იღებს, "ამერიკა ონლაინის" ხელმძღვანელობა რიცხვი იზრდება.

### "ვივენდი" ფრანგული ეფემერა

"ვივენდის" სპეციფიკურ პრობლემებს მის ყოფილ მმართველს, ჟან-მარი მესიეს უკავშირებენ. ამ პიროვნების უდიდეს ღვაწლს კომპანიის წინსვ-

ლაში ვერავინ უარყოფს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ "ვივენდი" – ერთ დროს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპანია, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ნაგვის გატანით დაიწყო – უდიდეს მედია-იმპერიად იქცა "ამერიკა ონლაინ" თაიმ უორნერის" შემდეგ. 1996 წლის შემდეგ მესიეს თაოსნობით კომპანია წარმოუდგენელ სიმაღლეებზე ავიდა. მან შეიყიდა ცნობილი ფრანგული სატელევიზიო არხი "კანალპლიუსი," საინტერნეტო მუსიკალური ფორმა "ემპი.კომი," გამოიმცემლობა "ჰიუტონ მიფლინი," მსოფლიოში უდიდეს მობილურ კავშირგაბმულობის კომპანია "ვოდაფონთან" ერთად დააარსა ფორმა "ვიზავი" და სხვა. გარდა ამისა, მესიეს იმპერია იმ დროს უკვე აკონტროლებდა საფრანგეთის სიდიდით მეორე კავშირგაბმულობის კომპანია "სიფეტელს." 1999 წელს კი "ვივენდიმ" ჰოლივუდშიც შეაბიჯა, რაც იქამდე არაამერიკული კომპანიებიდან მხოლოდ "სონის" გაებდა (იაპონური გიგანტი ფლობს "კოლუმბია პიქჩერსსა" და "ტრანსსარზს," რომლებიც გააერთიანა კიდევ) – მან შეისყიდა კანადური მედია-ჯგუფი "სიგრემი," რომელიც აერთიანებდა სტუდია "უნივერსალ ფიქჩერსსა" და მსოფლიოში უდიდეს ხმის ჩამწერ ფორმა "უნივერსალ მიუზიქს."

"სიგრემის" შესყიდვა ისტორიული გარიგება იყო არა მხოლოდ "ვივენდის," არამედ ფრანგული კორპორაციული სამყაროსათვის. მაგრამ ამ შენაძინის მონელება კომპანიისათვის ერთობ რთული აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში, როცა "ვივენდის" ათასგვარი ფინანსური პრობლემები გამოუჩნდა, აშკარა გახდა, რომ მესიემ დიდი შეცდომა დაუშვა და ვერ გათვალა ძაღები. აშკარა გახდა, რომ მენეჯმენტის მისეული (უფრო ამერიკული, ვიდრე ევროპული, სწრაფ წარმატებასა და აგრესიულ გაფართოებაზე გათვლილი) სტილი ბოლომდე ვერ მოერგო კომპანიას, ამონურა ამ უკანასკნელის რესურსები და იგი ლამის დაღუპვამდე მიიყვანა. მესიეთი უკმაყოფილებამ ლამის ეროვნულ მასშტაბებს მიაღწია, როცა მან თანამდებობიდან გადააყენა "კანალპლიუსის" პოპულარული შეფი პიერ ლესკური. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ინტერვიუში საქვეყნოდ ისაუბრა მესიეს მმართველობაზე და ყველასათვის აშკარა გახდა, რომ "ვივენდის" თავკაცს თავბრუ დაახვია წარმატებებმა, რომ იგი მონყდა რეალობას, სალად ვეღარ აფასებდა გარემოს და კომპანიას ისე მართავდა, როგორც საკუთარ მამულს. თუმცა, ამ ინტერვიუდან კიდევ რამდენიმე თვე გავიდა, სანამ მესიეს პოსტს დაატოვებინებდნენ. ლეგენდარულმა მენეჯერმა კომპანია სავალალო დღეში დატოვა – დიდძალი ვალები (დაახლოებით 20 მილიარდი დოლარი), გარდა ამისა, 1999 წლის მონაცემებთან შედარებით, ხუთჯერ გაუფასურებული აქციები

ბაზრძალვა DB გვარძვა



ვივენდი-ს აღზევებისა და კრახის მიზეზი - ჟან-მარი მესიე.

### „ალკატელი“ შემსწრეობაზე მიდის

კავშირგაბმულობის ალტურ-ვილობის ფრანგული გიგანტი „ალკატელი“ 10 ათასი თანამშრომლის დათხოვნას გეგმავს. ეს შემცირება მომავალ წელს განხორციელდება, რის შედეგადაც კომპანიის თანამშრომელთა რიცხვი 60 ათასზე ჩამოვა, მაშინ როცა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი 83 ათასი იყო. მაგრამ სერიოზულმა ნაგებობმა „ალკატელი“ აიძულა, ხარჯშემცირებებზე წასულიყო, რაც ცხადია, სამუშაო ადგილების შემცირებაში გამოიხატა და ივნისში 13 ათასი ადამიანი იქნა დათხოვნილი. ეს ამბავი მაშინ სენსაციად იქცა, რადგან „ალკატელი“ ერთობ წარმატებულ კომპანიად ითვლება, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებას სწორედ ბოლო წლებში მიიღწია და მობილური ტელეფონების ბაზარზე თვით „ერიქსონი“ კი დაჩაგრა. მაგრამ როგორც ვხედავთ, ხარჯშემცირებები კიდევაც საჭირო.

კომპანია ყოველივე ამაზე წასვლას კავშირგაბმულობის სფეროში გამეფებული კრიზისის აიძულებს. მართალია, როგორც უკვე ვთქვით, მობილურების გაყიდვის მიხედვით „ალკატელი“ ერთ-ერთი პირველია (იგი მხოლოდ „ნოკიასა“ და „მოტოროლას“ ჩამოუვარდება), მაგრამ სამაგიეროდ კატასტროფულად იკლო მოთხოვნილებამ კავშირგაბმულობის ახალ ქსელებზე. ეს, თავის მხრივ, გასაკვირი არ არაა, თუკი გავითვალისწინებთ, რა კრიზისს განიცდიან კავშირგაბმულობის ისეთი კომპანიები, როგორებიცაა „ფრანს ტელეკომი“ თუ „დოიჩე ტელეკომი“. ბევრმა კომპანიამ გააუქმა, ან გადადო მესამე თაობის მობილურების შემოღება, რისიც ასე ეიმედებოდით „ალკატელსა“ და „ერიქსონს“. ასე რომ, სანამ კავშირგაბმულობის კომპანიები ფეხზე არ დადგება და ახალ ქსელებსა და აპარატურაზე შეკვეთები არ წამოვა, ფრანგული გიგანტი სასიკეთოს არაფერს არ უნდა ელოდოს.

### „მოტოროლას“ გაბეზება ინტერნეტში გაქონა

არნახული სიურპრიზი მიიღეს „მოტოროლას“ თავკაცებმა. მათ ინტერნეტში იხილეს საიდუმლო ინფორმაცია მათივე კომპანიის გეგმებზე, რომელიც 2003 წლისათვის დაგეგმილ მობილურ ტელეფონებს ეხება. საიდან გაუონა ცნობებმა, ჯერჯერობით არავინ უწყის, მაგრამ ახალი მობილურებით დაინტერესებულმა პირებმა, ალბათ ძალიან ისიამოვნეს, როცა „მოტოროლას“ გეგმებს გაეცნენ.

გაუონილი ინფორმაციის მიხედვით მომავალ წელს გამოვა „პარაგონ 2“-ის მოდელი. იგი ალტურვილი იქნება „სიმბიანის“ საოპერაციო სისტემით, მასშივე ჩამონტაჟებული ციფრული ფოტოკამერით, ფერადი ეკრანითა და ა.შ. გარდა ამისა, აპარატი განახორციელებს ორმხრივი ვიდეო-კონფერენციულ კავშირს.

ყოველივე ეს უბრალო მომხმარებლისათვის უდაოდ საინტერესოა, სპეციალისტები კი უფრო იმან დაინტრიგა, რომ „მოტოროლა“ „სიმბიანის“ პროგრამას იყენებს. აქამდე ამ ორ კომპანიას შორის გარიგების დადება არ ხერხდებოდა, ჩანს, ახლახან ყველაფერი მოგვარდა.

## მედია-კომპანიები ისევ ცოდვილ მინაზე ეშვებიან

07 გვირგვინი

და ვინ მოთვლის. შარშან „ვივენდიმ“ 13 მილიარდი დოლარი იზარალა, რაც ფრანგულ კორპორაციულ ისტორიაში რეკორდია; საქმეს დიდად ვერ უშველა „კანალიზაციის“ მიერ გადაღებულმა ცნობილმა ფილმმა „ამელი“. „ვივენდის“ ახალი ხელმძღვანელობა გადაჭრულ ზომებზე მიდის კრიზისიდან თავის დასაღწევად. ეს ზომები მოიცავს ნაგვის გატანისა და წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვას. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის კომპანია იქამდე მივიდეს, რომ აქციების ნაწილი ბრონფმანების ოჯახმა შეისყიდოს („სივრემის“ მთავარმა მენეჯერმა), ანუ „ვივენდი“ გაამერიკულდეს. მესიეს ლამაზი ლეგენდაც ამით ასრულდება.

### გერმანელთა გასაჭირი

ყველაზე მძიმედ მედია-კომპანიების კრიზისმა, ალბათ, მაინც გერმანიას გადაურა. აქ საერთოდ გაკოტრდა „ლეო კირხი“, რაც შოკად იქცა არა მხოლოდ ბიზნესმენთა, არამედ სპორტის მოყვარულთათვისაც. „კირხის“ ერთ-ერთი შტო „კირხსპორტი“ ფლობდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირების უფლებას, იგი ფლობდა აგრეთვე გერმანიის ბუნდესლიგისა და ფორმულა 1-ის ტრანსლირების უფლებებს. „კირხის“ იმპერიამ შედიოდა „პროზიზენზათ 1“ (არხები „პროზიზენი“, „ზათ 1.“ „კაბელ 1“); სპორტული არხი „დიეს-ეფი“; კინო-ტელე სტუდია „ტაურუს პროდუქშენი; საგამომცემლო სახლი „ტაურუს ლიცენცი“ და სხვ.

„კირხის“ ჩაფლავების ისტორია ყველაზე მეტად „ვივენდისას“ მოგვაგონებს. კომპანიამ დიდძალი ფული დახარჯა გაფართოებაზე, რაც წვილივფხა

კონკურენტთა პირდაპირ შესყიდვაში გამოიხატებოდა. უდიდესი თანხები დაიხარჯა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებათა ტრანსლაციის უფლებებზეც. ის კი არა, საფუძვლიანი ეჭვიც არსებობს, რომ ფიფა-ს პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა „სოლიდური გასამრჯელო“ აიღო „კირხისგან“, რათა მსოფლიო ჩემპიონატი ამ უკანასკნელისათვის ჩაებარებინა. ამ დაეჭვების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სხვა კომპანიები ბლატერს მეტს სთავაზობდნენ.


ჯერჯერობით „კირხის“ ბედი არ გაუზიარებია გერმანელთა კიდევ ერთ სიამაყეს, მსოფლიოში სიდიდით მესამე მედია-კომპანია „ბერტელსმანს“. ეს უკანასკნელი აკონტროლებს ევროპულ ტელეარხების ფორმა „ერ-ტე-ელს“, ამერიკულ საგამომცემლო სახლ „რენდომ ჰაუსს“, ჟურნალ-გაზეთების გერმანულ „გრუნერ პლიუს იარს“, ხმის ჩამწერ ფორმა „ბი-ემ-ჯის“, მუხტაფ და საგამომცემლო ფორმა „არვატოს“, სამეცნიერო გამომცემელ „შპრინგერს“, საინტერნეტო მუსიკალურ სერვისს, ყველასათვის ცნობილ „ნაპსტერსა“ და ა.შ.

მაგრამ საგანგაშო ზარმა ამ კომპანიისთვისაც ჩამოკრა, რაც საბოლოოდ მისი მთავარი აღმასრულებლის, თომას მიდუჰოფის გადაყენებაში გამოიხატა. მიდუჰოფის მმართველობისას „ბერტელსმანმა“ რამდენიმე სერიოზულ წარმატებას მიიღწია. კერძოდ, შეისყიდა „ნაპსტერი“, ხელში ჩაიგდო ხმის ჩამწერი მარკა „ზომბა რეკორდი“, რამაც კომპანიის კლიენტებს ბრიტნი სპირსი და „ბექსტორით ბოიზი“ შემატა. თუმცა, ამავე დროს არ მოხერხდა ცნობილი ბრიტანული ხმის ჩამწერი კომპანიის „ი-ემ-აის“ შესყიდვა. მოკლედ, მიდუჰოფი ნამდვილად არ იყო ურიგო მენეჯერი, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის ხელში

კომპანიამ ლამის „თაიმ უორნერის“ შეცდომა გაიმეორა – დიდძალი ფული იქნა გაღებული საინტერნეტო ბიზნესზე (ეს უკანასკნელი კი რას წარმოადგენს, ამაზე უკვე ვისაუბრეთ). შენაძენებმა „ბერტელსმანს“ გვარიანი ნაგება მოუტანა და კომპანიამ სერიოზულად გადახედა თავის სტრატეგიას. გადაწყვეტილება ზოგიერთ საინტერნეტო კომპანიაში ინტერესების გაყიდვა და ძველ, „ნაცად“ საქმეზე გადართვა – ძირითადად საგამომცემლო საქმიანობაზე. არ გა-

მოირიცხება ბრიტანულ „ჩანელ 5“-ში წილის გაყიდვაც.

„ბერტელსმანის“ ახალი (უფრო სწორად კი, ახლა გახსენებული ძველი) სტრატეგია მშვენივრად გამოხატავს იმ ტენდენციას, რომელიც მედია-კომპანიების სამყაროში შეიმჩნევა. ბუმბუბა ჩაიარა, კრიზისის დროს ყველანი ისევ მინაზე ეშვებიან და კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ სასწაულები ბიზნესში არ ხდება და ფული არაფრისგან არ მოდის.



ლო კირხი REUTERS



ფაინენშლ თაიმს დოიჩლანდი ბერტელსმანის წარმატებული პროექტია. REUTERS

# „ქართველი-ევროპელი“

ნარკვევები ქართული კომერციის ისტორიიდან

“დავითი რომ წმინდა ქართველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად გაანიავებდა – მისი შეძლებისგან აღარაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპიელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. შეაერთეთ ქართველი გულკეთილობა და პურმარული ევროპიულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა. დავით სარაჯიშვილი ქართველი-ევროპელი იყო”, - ეს სიტყვები 1911 წელს ჟურნალში “კოოპერაცია” საქართველოში კონიაკის წარმოების ერთ-ერთ ფუძემდებელს, ცნობილ ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, დავით სარაჯიშვილს მიუძღვნა. სარაჯიშვილი ქართველ მენარმეთა იმ თანაგარსკვლავედს მიეკუთვნება, რომლებმაც ნიადაგი შეუმზადეს საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს. დავით სარაჯიშვილის ნათესავი და ბიოგრაფი ალექსანდრე სარაჯიშვილი ასე გადმოგვცემს ქართველი მენარმის მოსაზრებას საქართველოში ეკონომიკის განვითარების აუცილებლობის თაობაზე: “დავითის აზრით, ჩვენი ძალი და ღონე ყოვლის პირველად ჩვენს ეკონომიკურს წარმატებას უნდა მოვახმაროთ, რადგან უიმისოდ იმ მცირე რასმე სულიერ კულტურასაც, რომელიც წარსულ საუკუნეებში შევიძინეთ, მკვიდრი საფუძველი არ ექნება და ისიც ჩაინთქმის და გაქრება ჩვენს ნივთიერს და სულიერს სილატაკეში, და ჩვენც, ეკონომიურად სუსტნი, დავმარცხდებით არსებობის ბრძოლაში... თუმცა ეკონომიურს წარმატებას ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავითის თვალში, მაგრამ მის მისაღწევს ღონისძიებად ქველმოქმედება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ შრომა და საქმიანობა. ”კომერციულს საქმეს კომერციული ნიადაგი უნდა ჰქონდესო”, იტყოდა ხოლმე დავითი, როდესაც ერთს რასმე ფანტასტიურს პროექტს გადუმოდიდნენ და შემწეობას სთხოვდნენ”.

დავით სარაჯიშვილის უანგარო ქველმოქმედებას ლექსი მიუძღვნა აკაკი წერეთელმაც: *შენ იმას აძლევ ამ ჩვენს*

*ქვეყანას, რასაც არ ამბობ და არც ჰპირდები.*

*საქმე კეთილი რომ გამოიშლავდეს, შენ ერიდები – ეკრძალვი ქებას.*

## ქართული კონიაკის წარმოების სათავეებთან

სასმელ “კონიაკის” სახელწოდება საფრანგეთის შარანტის დეპარტამენტში შემავალი ქალაქიდან კონიაკიდან მოდის. ამ მხარის ღვინოები ხასიათდებოდნენ დაბალი სიმკვრივითა და ტრანსპორტირების ნაკლები ამტანობით. ამის გამო, ღვინოთ მოვაჭრეებმა მისი სპირტად გამოხდა და პროდუქტის ამ სახით ტრანსპორტირება არჩიეს. ღვინის პროდუქტები მდინარე შარანტით სავაჭრო ნავსადგურის ლა-როშელის საშუალებით ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებსა და საზღვარგარეთ გადაჰქონდათ. იმ დროს საფრანგეთის ღვინოების მთავარი


იმპორტიორები იყვნენ ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები. 1701 წელს საფრანგეთსა და ინგლისის შორის ომი დაიწყო, რომელიც 13 წელი გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე საფრანგეთმა ვერ შეძლო ღვინის სპირტის ზღვით გადატანა და მწარმოებლები იძულებულნი შეიქნენ, პროდუქცია ღვინის კასრებში შეენახათ. ომის დასრულების შემდეგ, როდესაც მომხმარებლებმა შიგთავსი გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ კასრებში შენახულ ღვინის სპირტს სასიამოვნო სუნი და გემო მიეღო. ამის შემდეგ სპეციალურად დაიწყო ღვინის სპირტის მუხის კასრებში დიდი პარტიებით დაძველება. შარანტის დეპარტამენტიდან გატანილი არაყი დღემდე “კონიაკის” სახელს ატარებს.

1902 წელს დავით სარაჯიშვილს ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისთვის “კომერციის სოვეტნიკის” წოდება მიენიჭა. მანამდე კი მის მიერ სარაჯიშვილის ქარხნებში დამზადებულმა კონიაკებმა 1889 წლიდან 1904 წლამდე რუსეთსა და მსოფლიო გამოფენებზე მოიპოვეს ექვსი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. სულ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, სარაჯიშვილის ფირმის კონიაკებმა 14 სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურეს. აქედან ერთი - სიკვდილის შემდეგ (1913 წელს).

დავით სარაჯიშვილის ფირმას ეკუთვნოდა როგორც სპირტსახდელი ქარხნები: ვლადიკავკავის (დაარსებული 1885 წელს), თბილისის (1885 წელს), ერევნის (1887 წელს), თბილისის არყის ქარხანა (1887 წელს), ასევე თბილისის კონიაკის ქარხანა (1888 წელს), კონიაკის ცენტრალური საწყობი (1886 წელს) და საკონიაკე სპირტსახდელი ქარხნები – ყიზლარის (1889 წელს), ერევნის (1894 წელს), ბესარაბიის (1895 წელს), ბაქოს (1896 წელს), ბარგუშეთის (1901 წელს) და გოგჩის (1901 წელს). სარაჯიშვილის კონიაკები ბაზარზე ცნობილი იყვნენ “კავკასიის ნატურალური კონიაკის” სახელწოდებით, რომლის ეტიკეტს ამშვენებდა კლდეზე შემდგარი ჯიხვის ემბლემა. კომპანია უშვებდა შემდეგი სახის კონიაკებს: ორდინალური 1,2,3,4 – ვარსკვლავიანი, სამარკო “ფინშამპანი”, “გრანდშამპანი” და “OC” (ძალიან ძველი). სარაჯიშვილის ფირმის კონიაკები წარმატებით იყიდებოდა არა მარტო რუსეთის ქალაქებში, არამედ საზღვარგარეთაც: ლონდონში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, სტამბოლში...

სპირტიანი სასმელების წარმოებით დავით სარაჯიშვილი მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაინტერესდა. მან საქმიანობა არყის წარმოებით დაიწყო და ნიადაგი მოსინჯა კონიაკის წარმოების გასავითარებლად. ამ მიზნით მან ააშენა საკონიაკე სპირტის საწყობი, სადაც თავი მოუყარა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთიდან შემოტანილ სპირტებს.

1887 წელს დავით სარაჯიშვილი ერევნის მახლობლად სპირტსახდელ ქარხანას აშენებს. ალექსანდრე სტეფანიშვილი თავის ნაშრომში “დავით სარაჯიშვილი” აღნიშნავს, რომ მართალია, **ბაბრძილაბა დიო გვირდვა**



დავით სარაჯიშვილის გამონათქვამები თანამედროვეთა მოგონებებიდან

“ძნელია ჩვენში ეკონომიურად წინ წაწევა; როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დასდევს და, სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენ...”

“ჩვენ მერმისი არა გვაქვს. ამისათვის საჭიროა სამოქალაქო კულტურა, ჩვენ კი სოფლები ვართ. ჩვენებური წვრილი ვაჭრების მიზანია ორიოდ გრომი იშოვოს, ჩერქეზულად ჩაიცვას, ლეკური და ხანჯალი დაიკიდოს, ”კნიაზი” გახდეს და თავისი მეზობლები ფულის ხარჯვით გააკვირვოს... ცხოვრებისთვის შრომაა საჭირო, შრომა კი არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ. ქართველს მეომრის ტრადიცია აქვს, ის რეკლუციაში ისე მიდის, როგორც წინათ მიდიოდა ომში ან ჯირითში. კულტურას კი მუშაობა ქმნის. თუ ამ მოძრაობამ მუშაობა გვასწავლა – დიდი საქმე იქნება...”

“უსწავლელი კაცი და გამხმარი ხე ერთი და იგივეა. რამდენადაც კაცი ნასწავლია, იმდენად უფრო სასარგებლო საქმეს აკეთებს...”

“ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი. ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი...”

“აი ქართველი კაცი, - ან უსაფუძვლო იმედი ან უკიდურესი სულმოკლეობა და სასონარკვეთულობა. კაცს თუ სატყვიარი აღმოაჩნდა, თავზე ხელი კი არ უნდა აიღოს, წამალი უნდა ექებოს, რომ თავი მოიჩინოს...”

# „ქართველი-ევროპელი“

## ნარკვევები ქართული კომერციის ისტორიიდან

09 გვარდიძას

სარაჯიშვილის ფირმამ დიდ წარმატებებს მიაღწია არყის, ლიქიორის და სხვა სპირტიანი სასმელების პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში, მაგრამ მისი გულისყური მიმართული იყო ახალი პროდუქციის – კონიაკის წარმოებისკენ. მანამდე რუსეთში ამ სასმელს არ ამზადებდნენ.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება შედარებით გვიან, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. მანამდე, მოთხოვნილების ზრდის გამო, სპირტიანი სასმელები, ძირითადად, უცხოეთიდან შემოჰქონდათ. 1873 წლისთვის თბილისში უცხოური სასმელების ორი მაღაზია უკვე არსებობდა. ერთი მათგანი საფრანგეთის ქვეშევრდომს რიშარს ეკუთვნოდა. ის საფრანგეთიდან მიღებული სასმელის ჩამოსხმას ადგილზე ახდენდა. შემდეგ კი სამხრეთ კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც აწარმოებდა. თბილისში ერთი „ვედრო“ ფრანგული კონიაკი 40-დან 120 მანეთამდე ღირდა. ამასთან, უცხოური კონიაკის უმეტესი ნაწილი ფალსიფიცირებული იყო და ხშირად პურის, კარტოფილის სპირტის, კონიაკის ესენციის, შაქრის, ჩაის წყლის ან რაიმე მსგავს ნარევის წარმოადგენდა.

როგორც ავთანდილ იაშვილი თავის ნაშრომში „დავით სარაჯიშვილი და კონიაკის წარმოების ისტორია საქართველო-

ში“ წერს, „სწორედ თბილისი გახდა წამომწყები კონიაკის წარმოებისა რუსეთის იმპერიაში“. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი საქართველოში კონიაკის წარმოების უფრო ადრეულ წლებსაც ასახელებს და მოიხსენიებს ქართველ მწარმეს გიორგი ბოლქვაძეს, რომლის ღვაწლიც სპირტიანი სასმელების ეროვნული წარმოების ისტორიაში სათანადოდ დაფასებული არ არის.

ალექსანდრე სტეფანიშვილი აღნიშნავს, რომ დავით სარაჯიშვილამდე რუსეთის მასშტაბით არავის უცდია, დაედგინა საკონიაკე სპირტის, ღვინო-მასალების აქტიური ბალანსი, მოეხდინა საკონიაკე სპირტების გამოხდა ფრანგული ტექნოლოგიით და მისი დაძველება მუხის კასრებში განეხორციელებინა.

1878-79 წლებში დავით სარაჯიშვილმა საფრანგეთში საფუძვლიანად შეისწავლა მევენახეობა-მეღვინეობის დარგები. მას სწორედ მაშინ დაებადა იდეა საქართველოში არყის, ლიქიორისა და კონიაკის წარმოება დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ სარაჯიშვილი კონიაკის წარმოების დიდი თეორეტიკოსი იყო, მან საფრანგეთიდან სპეციალურად მოიწვია ლიქიორის წარმოების სპეციალისტი ბურდონი და კონიაკის სპეციალისტი ანტონ ჟურდი.

1890 წელს კავკასიის საექციზო სამმართველოს უფროსი აღნიშნავდა, რომ თბილისის გუბერნიაში კონიაკი კარგად დადუ-

ლებული და ღვინისგან განმედილი მიიღება მხოლოდ დავით სარაჯიშვილის ქარხანაში, სადაც კონიაკის წარმოება ფრანგული ტექნოლოგიით ხდება.

სხვათა შორის, რუსეთში კონიაკის წარმოების ტექნოლოგიის დადგენა-დაზუსტების საქმეში გადამწყვეტი როლი სწორედ დავით სარაჯიშვილმა შეასრულა. 1889 წელს მან პეტერბურგის ტექნოლოგიური კომიტეტის სხდომაზე წინადადება შეიტანა საკონიაკე სპირტის სიმავრის შემცირებისა და მასში შაქრისა და დისტილირებული წყლის მიმატების შესახებ. ასე აკეთებდნენ კონიაკს საფრანგეთში.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, სპირტი და სპირტიანი სასმელების ფაბრიკული წარმოება მყარ საფუძველზე დადგა 1884-85 წლებში თბილისში დავით სარაჯიშვილის მიერ არყის სახდელი ქარხნის დაარსებით. მისი წარმოებული პროდუქცია, განსაკუთრებით კი – კონიაკი, გადიოდა არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიც, სადაც მას საკუთარი მაღაზიები ჰქონდა.

### დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეობა

ქართველი მწარმე 1911 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა ნიგნი „დავით სარაჯიშვილის სახსოვრად“, სადაც დაიბეჭდა

მისი თანამედროვეებისა და მეგობრების მოგონებები დავით სარაჯიშვილზე.

მაგალითად, გაზეთი „თემი“ თავის სარედაქციო წერილში წერდა: „ქართული მრეწველობა! სწორედ ძნელი წარმოსადგენი იყო ეს დარგი შეგნებულ ქართველისათვის. არსად არ ჩანდა არც თანხა, არც უნარი, არც შო ამისთანა საქმის მოგვარებისა ჩვენს დროში. მაგრამ უცებ გამოჩნდა კაცი, რომელმაც თავისი ცოდნით, მოხერხებულობითა და უჩვეულო შრომით დაჩრდილა ყველა. სიმდიდრე მისგან შექმნილი არის ნაყოფი დიდი შრომისა.“

„დავით სარაჯიშვილს მამისაგან დარჩა მცირედი თანხა, და მან ეს თანხა თავისი ცოდნით და მხნეობით მილიონებად გადააქცია, თუმცა თავის მომუშავეთ აძლედა იმდენ საფასს, რამდენსაც არცერთი მდიდარი მილიონერი არ იმეტებდა და იმეტებს. და ბოლოს, მთელი თავისი დიდი ქონება, შექმნილი პატიოსანი გზით და უმნიშვნელო მოქმედებით, მან დაუტევა ქვეყანას... იგი რომ ჩვენებურის ბრწყინვალე წოდების წევრი ყოფილიყო, მამისგან დარჩენილ თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გადატაკდებოდა და თვითონაც პირადად გახდებოდა ქველ-მოქმედების ობიექტად, რის მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ახლანდელს დროში, - იგონებდა იაკობ გო-

გებაშვილი. მოგონებები დავით სარაჯიშვილის შესახებ უხვად შემორჩა საქართველოს არქივებს. თუმცა, საკმაოდ უცნაურია, რომ მისი პირადი არქივი შეუსწავლელია...

### დავით სარაჯიშვილი და უინსტონ ჩერჩილი

„დიდი სამეულის“ ერთ-ერთ შეხვედრაზე, შესვენებისას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს კონიაკი მოუსურვებია. ცოტა რომ მოსვა, სასმელის გემო არ მოეწონა და კონიაკის ბოთლი გვერდით გასწია. სტალინის წინადადებით ბოთლი ქართული კონიაკით შეცვალეს. ჩერჩილს ქართული სასმელი მოეწონა და კმაყოფილებით განაცხადა: „ჩინებულა, ჩანს - ფრანგულიაო“. „ფრანგული კი არა, ქართულიაო“, - არ დაუთმო სტალინმა. „მაშინ, ფრანგის ჩამოსხმული იქნებო“, - გაჯიუტდა ჩერჩილიც. „თბილისის კონიაკის ქარხანაში არცერთი უცხოელი არ მუშაობსო“, - აუხსნეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს...

როგორც გაირკვა, კონიაკი დავით სარაჯიშვილის მონაფემ და მიმდევარმა ვახტანგ ციციშვილმა დაამზადა...

მოამზადა გიორგი კალანდაძემ



დავით სარაჯიშვილი და საქართველოს ჭეშმარიტი ნაღები.

# პაჭრები და მხატვრები

ქვემოთ მოყვანილი წერილი არის წინასიტყვაობა რუსეთში ამ ცოტა ხნის წინ გამოცემული მოთხრობების კრებულისა, რომელსაც შემდგენლებმა "malan" უწოდეს. ეს სიტყვა ვლადიმერ დალის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ბედნიერება, წარმატება, მოგება. კრებულში შესულია ოცდაათი მოთხრობა ფულსა და ბედნიერებაზე. წინასიტყვაობის ავტორია ცნობილი თანამედროვე რუსი მწერალი და პუბლიცისტი, ტატიანა ტოლსტაია. იბეჭდება შემოკლებით.

"რუსი ადამიანი ტყუილებ-რალოდ გულის ასარევსაც დაღვებს", - შენიშნავს ვასილ როზანოვი. სხვაგან კი ამბობს: "რუსეთში მთელი საკუთრება შეიქმნა ან "გამოვთხოვედიან", ან "ვიჩუქედიან", ან "წავგლიჯედიან". საკუთრებაში შრომა ძალიან ცოტაა, ამის გამო, არ არის ღონიერი და მას პატივს არ სცემენ". და კიდევ: "დღენი-დაღოცნებებშია და ყოველთვის ერთი აზრი უტრიალებს - როგორ დაეფცქენას სამუშაოს (რუსები)".

ეს დაინერა ოთხმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ, მშვიდობიან დროს, როცა, შეიძლება ითქვას, ყანაც კურდღელაობდა, შრომის მოყვარე მხვენილიც ამრავლებდა დოვლათს, ვაჭარიც ყიდდა ფართულელებსაც და ბლითებსაც, ფაბრიკეც "სდებდა" კვერცხებს არა უზრალეებს - ოქროსას, ათვალეირებ ძველ სურათებს: ღმერთო! სიმდიდრეა როგორი!

მალე დაინთქმება ეს ყოველი-ვე,

კარგად დააკვირდი მას, სანამ ალვის ხე არ მოუჭრიათ და სახლიც არ უყიდიან სხვას.

(მარინა ცვეტაევა)

წუნუნებდნენ რუსი ადამიანის სიზარმაცებზე, მის სიყვარულზე მუქთის მიმართ. ოცნებობდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ. ცხელი ზაფხული სიმღერით გაატარეს და, ის იყო, ომიც კარზე მოადგათ. მალე კი ხტუნვა-ხტუნვით რევოლუციასთან აღმოჩნდნენ, მან პირნიშინდად ამოძირკვა თვის ცნება საკუთრებისა. ძროხის პატრონი ხართ თქვენ, თუ შტანგენციკული-სა, ბრლიანტისაა საყურეები - ჩამოერთვას, ხოლო მესაკუთრე თავისი მოდგმით - ტაიგაში და ბარის გარემო; ყველაფერი ეს რეფერენით: "შრომა იქნება მსოფლიოს მბრძანებელი". ხიშტს გაუთანაბრეს არა მხოლოდ კალამი, არამედ, მაგალითად, საკერავი მანქანა: იმით ხომ შეიძლება რალაც შეიკეროს, შემდეგ კი ღმერთმა ნუ ქნას, შეკერილი გაიყიდოს და, ისევ, ღმერთმა ნუ ქნას, შემოსავალი გაჩნდეს.

შრომა, რომელიც არ ქმნის საკუთრებას, არ ქმნის შენს საკუთარ საკუთრებას, არის პარადოქსი და აბუჩად ადგება. "თავისუფალი შრომა ნებაყოფილებით შეკრებილი ადამიანებისა" მლიქვნელურად ხოტბაშესხმული მიაიკოვსკის მიერ, შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ პარტიული მორის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასათრევად.

უაზრო, არამწარმოებელი



შრომისადმი საბჭოური დამოკიდებულება არ იცვლებოდა.

შრომის, შრომისა, რომელიც მისი შედეგისაგან დამოუკიდებლადაც კი თავისთავად მშვენიერია, აპოლოგეტი იყო დიდი მოხუცი ლევ ტოლსტოი. საინტერესოა, რომ ლიტერატურულ შრომას იგი შრომად არ მიიჩნევდა, თუმცა, მუშაობდა შეუზღუდავად ბევრს და იყო-ტად. მას იზიდავდა ჩექმების კერვა (გამოსდიოდა უხეიროდ), მინის ხვნა (მოსავალზე ნურც იფიქრებთ), თევით ხურავდა გლეხის სახლს. სახურავი შემოდგომამზე წყალს ვერ აკავებდა, გრაფი კმაყოფილი იყო, გლეხი კი ბრაზობდა და ილანდლებოდა.

რუსეთში შრომისა და საკუთრებისადმი უპატივცემლობას ხშირად სამასწლიანი ბატონ-ყმური ურთიერთობით ხსნიდნენ. თუ კი შენ თვითონ ხარ სხვისი საკუთრება, თუ კი შენი ჯამ-ჭურჭელი, მოსავალი, ცოლ-შვილი შენ არ გეკუთვნის, მაშინ რა პატივისცემაზე შეიძლება ლაპარაკი. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა როზანოვი წერდა თავის წიგნებს, სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდებოდა (უკვე გაიზარდა თაო-

ბა, რომელმაც არ იცოდა მონობა), მაგრამ ბოლშევიკუნებმა სამოქალაქო მშვიდობის სათუთი ნაჭუჭი დაამსხვრიეს და მთელმა მეოცე საუკუნემ ჩაიარა რაიმე მატერიალურის ფლობის შიშში. ნამდვილ კომუნისტს ხომ არაფერი უნდა ჰქონდეს, გარდა განყენებულისადმი რწმენისა.

მდინარესთან, გორაკთან მგელი პეტრეს ხრავდა. რალა დარჩა პეტრესგან? პარტიულითი დარჩა!

(სერგეი ნიკოლაევი, 1970 წელი)

აღნიშნავენ, და სამართლიანდაც, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების რუსული საზოგადოებრივი აზრის გადაძახილს მეორედ მოსვლის ადრექრისტიალურ მოლოდინთან, უანგარობასთან, თვითგანწირვასთან და იმით ფანატიზმთან, ვინც პირველ თაობაში ირწმუნა ძეღვთისა. ადამიანი მონაა, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, მონაა ღვთისა და სულ მალე იქნება ნახშირი, მაგრამ ვერ გაძვრება იგი ნემსის ყუნწში თავისი ხაბაკუზუბაკით, და თბილი ჩექმებით, და ჩითილის შეკვრით,

და მავთულის ხვით, და სერვანტით, და ძველი ფოტოებით, და მოხუფული მუჯავე კიტრის ქილებით, და "რონსონის" სანთებელით, და მიკროტალღოვანი ქურით. და მართლაც, იქ მიკროტალღური ქურა არ გამოდგება. არ არის საჭირო ფული, დაარჩევ ქონება, ნუ მოაგროვებ შენთვის საგანძურს. დასაძინებლად დაწევი სუდარაში, სიხარულით: "რადგან თქვენ... თქვენი ქონების იავარყოფასაც სიხარულით შეხვდით, ვინაიდან იცოდით, რომ გაქვთ ცაში საუნჯე უმჯობესი და წარუვალი" (ებრაელთა მიმართ, X, 24). ამიტომ ხომ არ სვამს რუსი ადამიანი გულისასარევს, ხოლო რუსული ლიტერატურა, შეძრწუნებული შესმულის ხარისხითა და რაოდენობით, უარს ამბობს სერიოზულად ილაპარაკოს ადამიანის სააქაო ცხოვრებაზე, ყოფაზე, სარგებელზე, ხეირზე, მოგებაზე, შესყიდვებზე, შექენისა და მშენებლობის სიხარულზე, ფქვებზე და ძვირფას ქსოვილზე.

რუსული ლიტერატურა უფრთხის ფულის თემას და ამავე დროს მონუსხულ მხერას ვერ

აშორებს ტკიცინა ქალაღდებს. სილარიბე საშინელებაა, სილარიბე დამამცირებელია - ამბობს რუსული ლიტერატურა. მაგრამ, სიმდიდრეც საშინელებაა, სიმდიდრეც მანკიერია; აუტანელი შესახედია მაძლარი, მცოხნავი, თვითკმაყოფილი მეპატრონე. სილარიბე - დედაა ყოველი მანკიერებისა. მაგრამ ფულიც მსოფლიო ბოროტებაა, დანაშაულებათა სათავეა. ერთიც და მეორეც ჭეშმარიტებაა. მამ როგორ მოვიქცეთ? ერთი მოქნევით მოვსრათ ყველაფერი? და აღარ იქნებიან არც ვაჭრები და არც მხატვრები. საკუთრივ რუსულმა ლიტერატურამ, "საუნჯის უმჯობესისა და წარუვალის" მომლოდინემ, საერთოდ გვერდი აუარა ფულის პრაქტიკულ სიკეთეს, მის წარმოუდგენელ მოხერხებულობას. იგი ვერ დაინტერესა გონივრული მენეჯმენტის შესაძლებლობებმა, ფინანსების საქმის ცოდნით მართვამ, იგი გულგრილი დარჩა საბანკო სისტემის თავსატეხების მიმართ. ალბათ, ის მართალია, დიდი და სასუკვარი რუსული ლიტერატურა. მაგრამ მე, მაგალითად, წარმომიდგენია როგორ ჩასცხო რასაკოლნიკოვმა ნაჯახი ლიზავეტას. მაგრამ, როგორ მოქმედებდა ბებური მევახზე, საიდან გაუჩნდა მას პროცენტი? რა არის გიროაო, იპოთეკა? რითი განსხვავდება ვერცხლის მანეთი ასიგნაციის მანეთისაგან. არცერთმა რუსმა მწერალმა თავი არ შეინუხა, ჩემთვის ეს გასაგებად აეხსნა. დასავლურმა ლიტერატურამ კი ხალისითა და სიამოვნებით ჩააქსოვა ფულის მინიერი თემა თავის სიუჟეტებში.

ადრე ახალგაზრდობაში ვერ გავუძელი ცდუნებას და წავიკითხე ე. ზოლას რომანი "ქალის ბედნიერება", ბუნებრივად მოველოდი რა სასიყვარულო წერილმანების აღწერას: ასე ვთქვათ - ქალბატონს ცნობისათვის. აღმოჩნდა, რომ წიგნი არ იყო სიყვარულის შესახებ, იგი ეხებოდა უნივერმალს, კაპიტალისტური ვაჭრობის ახალ, პროგრესულ მეთოდს. ბნელ, ცივ ფარდულში ასთაკვანი, საპატიო, დარბაისელი კაცი ძვირი მაუდით ვაჭრობს. მის მეზობლად კი ახალგაზრდა კაცი აშენებს მდიდრულ მალაზია-სასახლეს, მრავალსართულიანს, სარკეებით, კამკაშა განათებით, სახელად "ქალის ბედნიერება". და იმდენ ფულს ჩააქივლებს ყოველგვარ ლიფტებში, ჩუქურთმანაკვეთ მუხის ხეში, რომ ცხადია, მოხუცი-კონკურენტის ფულის გასახარად, ის მალე გაკოტრდება. მოჩვენებითი ფუფუნებაზე განეული დანახარჯების დასაფარად ახალგაზრდა ვაჭარმა თავისი საქონელი ძვირად უნდა გაყიდოს - ასკვნის მოხუცი. ეს კი მას ბოლოს მოუღებდა. მაგრამ იგი საკონელს უფრო იაფად ჰყიდის. ეს ხომ უფუნურებაა. ასე არ შეიძლება - შფოთავს გამოცდილი ვაჭარი. საიდუმლო კი იმაშია, რომ ახალგაზრდა-პროგრესულს დიდი ბრუნვა აქვს. სანამ მოხუცი ერთ თოფ ქსოვილს

ბაბრძილება D12 გვირდვა

# პაქრები და მხატვრები

## DII გვირგვინი

გაპყრდის, ახალგაზრდა ჰყიდის სამს: მალაზიაში ისეთი სილამაზეა, იქ იმდენი ხალხია – დახლოვან ვერც კი მიხვალ – რომ ქსოვილი ფრენა-ფრენით სადღება. მოქნილი ვაჭარი ლიონის ფაბრიკას უკვეთავს სულ ახალ და ახალ პარტიებს და ამასთან, როგორც კარგი კლიენტი, სარგებლობს ფასდაკლებით.


ზოლამ ისე მკაფიოდ და საინტერესოდ ახსნა საბაზრო ეკონომიკის ანაბანა, რომ ამის შემდეგ ჩემმა გონებამ "სოციალიზმის ეკონომიკის" მითის აღქმაზე უარი თქვა.

დასავლური ცნობიერება, რომელიც აირეკლება ნატიფ ხელოვნებაში, საერთოდ აქტიურად ინტერესდება წერილმანებით, დეტალებით. ბურჟუაზიული, ანუ ქალაქური, მოფიქრებული, მოხერხებული, ადამიანისთვის გამიზნული, სხეულს მორგებული, საჭირო, მინიერი, აქაური და ა.შ. – აი სიტყვა-გასაღებები. ჩვენ ვცხოვრობთ ჯერ-ჯერობით აქ და საკუთრება ჩვენი აქაა.

მართლა, ლიონის იმ ფაბრიკის შესახებ ჩვენ სკოლაში გავიარეთ "ლიონელი ფიქრების აჯანყება", უნდა გამოგვეთქვა თანაგრძობა მათთვის. მაგრამ ის კი არ გავივლია, რომ ლიონი ბუნებრივი აბრეშუმის წარმოების უძველესი ევროპული ცენტრია. გამოდის, ჩვენ სკოლაში გვასწავლიდნენ ცუდს: როგორ აარიდო თავი მუშაობას. ხოლო ქსოვილების მუშეუმის შესახებ, ბაზრობების შესახებ – არაფერი. ე.ი. **XV საუკუნიდან** მოყოლებული უწყვეტი შრომა და შემოქმედება ათასობით ადამიანისა – ფუი, და როგორ გავიფიცოთ – ინებეთ, ბატონო, სახელმძღვანელოში. დავინტერესდით – რატომ გაიფიცნენ ფიქრები. იმიტომ, რომ ყოზეფ მარი ჟაკარმა, იგივე ჟაკარდმა, შექმნა საქსოვი დაზგა. ნყაროში ნათქვამია: "ქსოვილების წარმოების ზრდამ და, მაშასადამე, მათმა სიიარაღმ და ხელმისაწვდომობამ გამოიწვია სოციალური აფეთქება". ე.ი. ისინი იქ, დაზგებთან, კი არ გმინავდნენ აუტანელი სამუშაოს გამო, შემოსავლების შემცირებამ აღაშფოთა. მშრომელ ფიქრებში ბორგავდა გააფთრებული ბურჟუა და არა მჭლე ნილოვანა.

ჩვენი რუსი მუჟიკი კი, როცა მუშაობა მოხერხდებოდა, წამოიწყებდა მშობლიურ "დუბინას". სწორედ ამაზე ამბობდა ვ. ვ. როზანოვი: "დღენიდაგ ოცნებაშია, და ყოველთვის ერთი აზრი უტრიალავს – როგორ დაეფცქვნას სამუშაოს".

საერთო სახალხო ლაზღანდრობა თემაზე გვიწინა ვიშუშაოთ ისე, როგორც მონლოლეთში და ვიცხოვროთ ისე, როგორც პარიზში" რალაცნაირად მოგვიჩვენა კიდეც. გამეორებული ხუმრობა უხამსობად იქცევა. რუსეთი ნელ-ნელა, ყველა ბორბლების ჭრილით ტრიალდება ნორმალური ბაზრისაკენ. გინდა, იცხოვრო როგორც პარიზში – იმუშავე როგორც ლიონში მუშაობენ. მაგრამ, ჩვენი სიტყვიერება ძველებურად უგულვებლყოფს ამ მნიშვნე-



ლევ ტოლსტოი



ემილ ზოლია

ლოვან სოციალურ თემას, არ არის ეს სამეფო საქმე. დე ბალზაკებმა ქექონ ავიზოები, ჩვენთვის ეს მიუღებელია. რას იზამ, მიუღებელია და იყოს მიუღებელი, მაგრამ სამაგიეროდ კარგს იზამდნენ, თუ კი დანერდნენ ტრანსცენდენტალურსა და ზემგძნობიარეზე. არა, სულ უფრო მეტად: მენტების სისხლიანი გარჩევები, ქალის ძუძუები და "უჟჟ, როგორ ვიყნოსე". ამასთან ერთად კიდეც ტრადიციული ზიზი "ბელეტრისტიკის", როგორც ლიტერატურული პროდუქციის უმდაბლესი სახეობის მიმართ. ჩვენი კრიტიკა, თანამედროვე რუსული ლიტერატურული კრიტიკა, ჩვენცვლა ადრე რაიკომებთან მძინვარე საზღვარგარეთ გამშვებ კომისიებს. გაბლენძილი უკმაყოფილება მწერლის შრომით, დაბლა დაშვებული პირის კუთხეები, დაბერილი ნესტოები. სად არის შედეგები? შედეგები წარმოგვიდგინეთ! სად არის მარადიული? მარადიული სად არის, მე გეკითხებით? მათთვის სუფიც წყალ-წყალა და მარგალიტიც დამცხრალა.

და აი ჩვენ... ავიღეთ და გამოვაცხადეთ ლიტერატურული კონკურსი თემაზე "საოცარი ისტორიები ფულის შესახებ". კონკურსის პირობები შემდეგი იყო: "რუსულ ბიზნესს ძალიან აკლია საზოგადოების ნდობა. ამავე დროს სამოქალაქო საზოგადოება შეუძლებელია ბაზრისა და მაშასადამე ბიზნესმენების გარეშე. კონკურსზე მიიღება და განიხილება ტექსტები, შეთხზული თავისუფალი სტილით. მთავარია, რომ ისტორიები იყოს საინტერესო, სასაცილო და დაწერილი სიმპათიით მათი გმირების – მენარმეების მიმართ".

როგორც მოველოდით, დიდმა ლიტერატურამ მდუმარედ აღაპყრო მზერა ზეცისაკენ და მწუხარედ გაირინდა. იგი მიუწვდენელია ოქროს წყარუნისათვის. კონკურსზე შემოსული წარმოებების ავტორთა შეხედულება მდიდრული ცხოვრების შესახებ ჭყვიტინივით უბადრუკი იყო. ეს არის "შესტოსტი", "მერსედესი", გაცილებით უფრო იშვიათად კი "აუდი". საათი -

"როლექსი", ჩლუნგად და ვარიანტების გარეშე. ზღვა სასმელებისა, უსაშველოდ ძვირი საჭმელი, თხელი ზამშის პიჯაკი. დანარჩენი კი არამკვეთრად "ნატიფი" ეს და "ძვირფასი" ის. მთლიანობაში კი – ყოველივე, როგორც ჭრილი მასობრივი კულტურისა – საოცრად საინტერესოა.

საიდან იღებენ გმირები ფულს? როზანოვთან ტრიადაა "გამოვთხოვე", "ვიჩუქე" ან "ნავგლიჯე". ჩვენს ავტორებთან, რომლებმაც, ეტყობა, ვარაუდით იციან თანამედროვე რუსული ცხოვრება, ვარიანტები კიდეც უფრო ნაკლებია. "გავძარცვე". გაცილებით უფრო იშვიათად - "ვიპოვნე განძი", "ღმერთმა გამომიგზავნა", "მივიღივარ და უცბად ფეხქვეშ საფულეა". ანუ საწყისი კაპიტალი ციდან ცვივა. რამდენიმე ადამიანმა გამოიყენა მემკვიდრეობა. არის რამდენიმე ჩუქების ინციდენტი, მაგრამ რალაც არაბუნებრივები: მდიდარი ადამიანი ეკლესიაში ხვდება ბავშვიან ქალს "გამხდარსა და გადღლილს" და ვერ გაიგებ, რამ უკბინა, ოქროს ნვიმამი აბანავებს ბავშვს. სამაგიეროდ, "გავძარცვე" ყოველ მეორეშია. ავტორები გეთავაზობენ უამრავ რეცეპტს მოძმის უსინდისოდ გაფცქვნისა: ვაჭრობა ფალსიფიცირებული ან დამპალი საქონლით, არაკეთილსინდისიერი რეკლამა, "გადაგდება", "თოჯინის" შეჩეჩება, თავდასხმა ანუ რეკეტი, კომპანიონის განივრა, "პირამიდები". როგორც ჩანს, ასე ხდება - "არ მოატყუებ, ვერ გაყიდი".

და, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევარჩიეთ ოცდაათი მოთხრობა, მხიარული და ნაღვლიანი, ადამიანებზე, ვაჭრებზე და მხატვრებზე, ფულთან და უფულო ცხოვრებაზე.

### მთარგმნელის ბოლოთქმა

პირველი, რაც ტატიანა ტოლსტაიას წერილის გაცნობის შემდეგ, მკითხველს აზრად მოუვა, ალბათ, იქნება "როგორ ჰგავს ყველაფერი ეს ჩვენსას?" იგივე სიტუაციაა საკუთრებაში შრომის წილის, საწყისი კა-

პიტალის "ციდან ცვენის", უფრო კი "ნავგლიჯე-გავძარცვეს" საქმეში, ბიზნესისა და ბიზნესმენისადმი საზოგადოების ნდობასა და პატივისცემაში, კარგად ცხოვრების მოძალებულ სურვილსა და საამისოდ აუცილებელ შრომისადმი არაადექვატურ დამოკიდებულებას.

ყოველივე ეს საინტერესოა და ესეც კი იკმარება, რომ აღარაფერი ვთქვათ ავტორის ბრწყინვალე პუბლიცისტურ სტილზე და წერის შესანიშნავ მანერაზე, იმისათვის, რომ წერილი გამოგვეთარგმნა და მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა. მაგრამ, ჩვენი აზრით, წერილში, ამის გარდა, არის გაცილებით უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ავტორი ზოგან ცხადად და პირდაპირ, ზოგან კი ფრთხილად და გადაკვრით ეხება განსაკუთრებით აქტიურ თემას, – ურთიერთკავშირს ქვეყნის ეკონომიკურ-მეურნეობრივი მოწყობის თავისებურებასა და მის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას შორის. ცხადაა, ეს თემა უაღრესად დიდი, რთული და ჯერ-ჯერობით ნაკლებად შესწავლილია. დაკვირვებულმა ადამიანებმა, დიდი ხანია, შეამჩნიეს, რომ კერძო საკუთრებისა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის, ცხოვრების სხვადასხვა წესების და განსხვავებული ტრადიციების მქონე ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა წარმატებით მიმდინარეობდა. განსხვავება მილდინა, ადამიანებზე, ვაჭრებზე და მხატვრებზე, ფულთან და უფულო ცხოვრებაზე.

პირველი გაბედული მოსაზრება ამის შესახებ მაქს ვებერმა გამოთქვა თავის ნაშრომში "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალისტური სული". მისი იდეა, რაც წიგნის დასახელებიდანაც კი ცხადად ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმის წარმატებული განვითარების

ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი პროტესტანტული რელიგია და, მაშასადამე, პროტესტანტული ეთიკა იყო. ცხადაა, მ. ვებერს ბევრი მომხრე და კიდევ უფრო მეტი კრიტიკოსი გამოუჩნდა, მაგრამ როცა ვნებები დაცხრა და ვებერის თეორია დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობდა, წარმოიშვა ისეთი ფენომენი, როგორც არის იაპონური კაპიტალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ იაპონური საზოგადოება ძალიან შორს არის პროტესტანტიზმისაგან დღეს იაპონიის მიღწევები მართლაც, რომ შთამბეჭდავია. მამ პროტესტანტიზმი არ ყოფილა ის ერთადერთი და მთავარი, რაც ქვეყნის წარმატებულ განვითარებას განაპირობებს.

ამიტომ, ისევე აქტიურად გახდა კითხვა – რა არის ის, რაც ამა თუ იმ საზოგადოების წინსვლის განმსაზღვრელი ფაქტორია. ამჯერად კითხვაზე პასუხის გაცემას იაპონური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ექსპერტი ფრენსის ფუკუიამა შეეცადა თავის ნაშრომში "ნდობა: სოციალური ზნეობრიობა და კეთილდღეობის შექმნა". "ნდობის" შესახებ ფ. ფუკიამა ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ჩემს წიგნში მე ვამტკიცებ, რომ ბაზარი ვერ იმუშავებს გარკვეული მორალური სტრუქტურის გარეშე. თანამედროვე დაწესებულებები უნდა თანაარსებობდნენ ურთიერთგაგების, ნდობის და მორალური ქცევის ტრადიციულ ფორმებთან.“

ნდობა, ფ. ფუკიამას აზრით, არის ადამიანების უნარი, გაერთიანდნენ სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. წარმატებული ქვეყნები – ამერიკა, გერმანია, იაპონია – ერთმანეთს ჰგვანან სწორედ საზოგადოებრივი ნდობის მაღალი ხარისხით.


ვფიქრობ არ საჭიროებს მტკიცებას ის, რომ დღეს ჩვენ საზოგადოებაში სუფევს ფამი საყოველთაო უნდობლობისა. ხალხი არ ენდობა მთავრობას, პოლიტიკოსებს, სასამართლო ხელისუფლებას, სამართალდამცავებს, ბიზნესმენებს. ბიზნესმენები არ ენდობიან ხელისუფლებას, ისინი არ ენდობიან ერთმანეთს. კორუმპირებული ბიუროკრატია, სწორედ იმიტომ რომ პირწმინდად კორუმპირებულია, ეჭვით უყურებს ყველას და ა.შ. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ერთი რამ ცხადაა – ტოტალური უნდობლობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ერისა და ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველი. უფრო მეტიც, ასეთ პრინციპებზე მყოფ საზოგადოებას მომავალი არა აქვს.

საჭიროა შექმნილი სიტუაციისა და მისი განმპირობებელი ფაქტორების ღრმა ანალიზი. დინჯი, მშვიდი, მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე, სიჯიუტისა და საკუთარი განსაკუთრებულობის უგუნური და უსაფუძვლო განცდის გარეშე, მსჯელობა ყოველივე ამის შესახებ.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა თუ კი ასეთი დისკუსიის ორგანიზებას გაზეთ "24 საათის" რედაქცია ითავებდა.

მთარგმნელი ოთარ კუბატაძე

# საქართველო: სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი?



გინო ჭანდელიერი

*“მისტიური ურთიერთობა სოციალურ პროგრამებთან, რომელიც ‘ენმარება’, შესაძლებელია, გულუბრყვილობებს უთბობს გულს, მაგრამ, რასაც ეს სინამდვილეში ნიშნავს, არის ბიუროკრატიისთვის მეტი ძალაუფლების გადაცემა.”*

თომას სოუელი

დღევანდელ საქართველოში ამ კითხვის დასმა უცნაურადაც უღერს. ორიენტაცია იმისა, თუ საით მივდივართ, ბევრისთვის ცნობილია. საკმაოდ ადვილად “ერკვევიან” მისაღები ცხოვრების გზაში – ზოგი სოციალიზმის მომხრეა, ზოგიც კაპიტალიზმის. თითქოს გასაკვეცივად არაფერია, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ საქართველო არც ბოლომდე სოციალისტურია და არც კაპიტალისტური. ამ წერილის ამოცანაა, დავინახოთ პერსპექტივები იმისა, თუ რა გველოდება სოციალიზმის არჩევის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჩვენში არაერთგზის დეკლარირებული საბაზრო რეფორმებისა, საბაზრო ეკონომიკა ფეხს ძნელად იკიდებს. თუ რაიმე გაკეთებულა, ცალკეული პირების ძალისხმევითა და მათი კომერციული მისწრაფებების შედეგად და არა საზოგადოების რაიმე გააზრებული მოქმედების გამოისობით.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკა იძულებით დამკვიდრდა. იმ დროს, როდესაც რუსეთშიც კი მძლავრად მოიკიდა ფეხი კოოპერაციულმა მოძრაობამ, საქართველო ჯერ კიდევ კომუნისტურ ეიფორიაში იმყოფებოდა და არ სჯეროდათ, რომ ერთხელაც იქნებოდა, ეს “იდილია” დაიმსხვრეოდა. პრივატიზაციის პროცესიც სახელმწიფო ქონების დატაცებად უფრო იქნა აღქმული, ვიდრე არაეფექტური მესაკუთრის ხელიდან ქონების უფრო ეფექტურ ხელში გადაცემის ღონისძიებად.

ამის შედეგად საბაზრო რეფორმები ჩვენთან გაცილებით გვიან დაიწყო და ზოგიერთ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, მთლიანად წარუმატებლად განვითარდა. არ არსებობს თუნდაც ერთი დარგი, სადაც რეფორმამ გაამართლა, როგორც გონივრული გადამწყვეტილებების ერთიანი სამოქმედო სქემის განვითარებამ. კერძო ფინანსური ინსტიტუტების სფეროში შექმნილი მდგომარეობა უფრო მე-

ტად მითიურ ხასიათს ატარებს - აქაც თუ რაიმე გაკეთდა, არა იმიტომ, რომ გენიოსური გეგმა გვექონდა, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი თვითონ მივიდა ცვლილებების საჭიროებამდე.

სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი? ეს კითხვა რიტორიკულს წააგავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს კითხვა უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, შეიქმნება თუ არა რეალურად ახალი ქართული სახელმწიფო, გახდება იგი რეალურად დამოუკიდებელი თუ არა. უამრავი რამ იქნა გამოკვლეული და გაანალიზებული საქართველოს შესახებ და ამ კითხვაზე პასუხს ყველა თავს არიდებს. არადა, სწორედ აქედან იწყება ნამდვილი მშენებლობა. ამაზე დამოკიდებული ყველა სხვა საკითხი: ეკონომიკური ზრდის, კორუფციის დაძლევის, სოციალური, სიღარიბის დაძლევის და ა.შ.

საქართველოში, ქართველმა ერმა უნდა აიღოს ერთი სწორი მიმართულება, რომელზეც აენწყობა სახელმწიფო ფილოსოფია და ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით საკმაო გამოცდილება დაგროვდა საქართველოშიც და, მით უმეტეს, დასავლეთ სამყაროში. ამ შემთხვევაში, ჩვენი პოზიცია საკმაოდ მარტივია. ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს და ამისათვის შეგვიძლია, გამოვიყენოთ მთელი მსოფლიოს დადებითი გამოცდილება, არ დავუშვათ სხვების მიერ უკვე დამუშავებული შეცდომები. არსებობს ძალიან ობიექტური პროცესები, რომლებიც საერთოა ყველასათვის. პრობლემის უფრო თვალნათლივ წარმოსაჩენად, მაგალითისთვის ავიღოთ სოციალური დაცვის პოლიტიკა. აქ თითქოს ყველაფერი ცნობილია: თუ არსებობს დაუცველი, უნდა იქნას დაცული. თქმა არ უნდა, ძალიან მიმზიდველი ფორმულაა. ეს მიმზიდველობა იმდენად მძლავრია, რომ 20-ე საუკუნეში, პრაქტიკულად, არ არსებულა ქვეყანა, სადაც მას რაღაც ხარისხით მაინც არ ემუშავა. ჩვენ ახლა სწორედ იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ შეგვიძლია, არ გავიმეოროთ ფუნდამენტური ხასიათის შეცდომები, რომლებიც სხვა ქვეყნებში იქნა დაშვებული.

ამ სიტყვების შემდეგ, თითქოს, ადვილია ლოზუნგების მოყოლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. სოციალური დაცვის პოლიტიკის დემაგოგიური მუხტი, რომელიც ჩვენს გულში იწვევს, საკმაოდ ძლიერია, რომ ასე ადვილად ჩასაქრობი იყოს. არსებობს შეკრული წრე, რომლის გარღვევა საკმაოდ ძნელია. ეს წრე დაკავშირებულია პოლიტიკასთან და ასე გამოიყურება:

მოსახლეობას არ სჯერა სახელმწიფო ადმინისტრაციისა. ის მას ყველგან ლანძღავს და ცდილობს, თავი აარიდოს ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოშობილია მისგან;

ამავე დროს, მოსახლეობას მტკიცედ სჯერა, რომ ხელი-სუფლება ვალდებულა, მას დაეხმაროს სოციალური პრობლემების გადაჭრაში;

ხელისუფლება, უკეთეს შემ-

თხვევაში, ცდილობს, თავი აარიდოს მისთვის ზედმეტი ფუნქციების დაკისრებას, მით უმეტეს, როდესაც არანაირი უნარი არა აქვს ამ ფუნქციების შესასრულებლად;

უარეს შემთხვევაში, ადმინისტრაცია მაინც თავის თავზე იღებს სოციალურ ვალდებულებებს, თუნდაც იმ “მიზნით”, რომ არ მიატოვოს ღარიბები. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ადმინისტრაცია ჩვეული “ეფექტურობით” ასრულებს ამ ფუნქციას და შედეგიც არ აყოვნებს – ყველა უკმაყოფილოა;

ადმინისტრირების გამკაცრება უფრო ართულებს სიტუაციას და მთავრობა იძულებული ხდება, ლიბერალიზაციასე წავიდეს, მათ შორის, სოციალური სექტორის პრივატიზებაზეც – მაშინვე იძვრებიან ადგილიდან “სოციალური უკმაყოფილების” ძალები;

შემდეგ იწყება ისევ თავიდან...

რაც სახელმწიფო ადმინისტრაციას ესმის, არის ის, რომ მას რესურსი არა აქვს. რაც არ ესმის, ის გახლავთ, რომ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ექსპლუზიური უფლების ხელიდან გაშვება საჭირო და მას ეს არ უნდა. ხელისუფლება, ბოლოსდაბოლოს. მისთვის ნებისმიერი სოციალური პროგრამა წარმოადგენს არამართვარსებობის ნიშანს, არამედ სხვებზე თავისი ძალაუფლების გავრცელების საშუალებას.

ე.წ. სოციალური სფეროს რეგულირება არის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულება. ამის გარეშე პოლიტიკოსებს საქმეც შემოუღევათ. ამიტომ სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის სოციალური სფეროს “მართვის” პერფორმაციის დაკარგვა მძიმედ გადასატანია. ამავე დროს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს სოციალური გარანტიები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მათ გაუჭირდებათ.

ადმინისტრაცია, ამ შემთხვევაში, მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი. როგორც აღვწერეთ, უკეთეს ვარიანტშიც კი, თუ ადმინისტრაცია თავს დაანებებს სოციალური მართვის პოლიტიკას, მოსახლეობა ამას აუცილებლად გააკრიტიკებს. ყოველ შემთხვევაში, უამრავი პოლიტიკოსი აღმოჩნდება, რომელიც ამაზე ითამაშებს. მთავრობა მართლმდებარე ურთულეს პოზიციაში. ამ დროს, პრაქტიკულად, გამორიცხული იქნება საერთაშორისო დახმარებებიც.

აქედან გამომდინარე, იმი-სათვის, რომ ესა თუ ის ყველაზე კარგი მთავრობაც კი კრიტიკის ქარცეცხლში არ აღმოჩნდეს, მას დასჭირდება პოპულისტური და დემაგოგიური სოციალური დაცვის პოლიტიკის წარმოება. გავთვალთ, რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოში სოციალური პოლიტიკის აღზევებას:

მთავრობისადმი უნდობლობა ძნელად თუ უზრუნველყოფს საჭირო სახსრებს. ის, ვინც იხდის, იხდის ყველასთვის და ყველას მაგიერ. მოტივაცია, პრაქტიკულად, არ არსებობს;

თუ ფული მაინც შეიკრიბება, არ არსებობს გარანტია, რომ სწორად დაიხარჯება;

შეკრებილი ფული მოხვდება არაეფექტურ ხელში, იმის ნაცვლად, რომ კერძო სექტორში ყველაზე ეფექტიან პროექტებში ჩაიდოს. ზარალი ცხადია;

მიღებული სახსრები კორუფციულად განანიღდება და სოციალურად რეალურად დასაცველი მათ ვერ მიიღებს;

სოციალური დაცვის იმედად, ადამიანების ერთი ნაწილი ამჯობინებს იზარმაცოს (სხვების ხარჯზე), რაც დაბლა დასწევს კონკურენტუნარიანობას, თანაც ყველასა ერთად - ზარმაცების, მეჯობებისა და, საზოგადოდ, ჩვენი სახელმწიფოსა;

სოციალური დაცვის ღონისძიებებზე დახარჯული სახსრების დიდი ნაწილი მოხმარდება ისეთ მოქმედებას, რომელიც დაბლა სცემს ეფექტიანობას, ბაზრის განვითარებას, დეზორიენტაციას უკეთეს რეფორმას და დისკრედიტაციას - კაპიტალიზმის იდეას.

ჩაკეტილი წრეა, რომელზეც მთავრობა დადის და ივლის, მანამდე, სანამ მოსახლეობა თვითონ არ შეიცვლის პოზიციას, სანამ ხალხი არ დაინახავს, რომ ფული უქმად იხარჯება. ყველამ უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. სინამდვილეში ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში სოციალური დაცვის საუკეთესო ფორმები დიდი ხანია არსებობს – ოჯახური, ნათესაური, მეზობლური ტრადიციები, რომელიც სოციალიზმის მომგონ ქვეყნებში საერთოდ არ მუშაობს. მაგრამ სოციალური დაცვის სოციალისტური სისტემა არის თავისი სხვების ღონისძიება, რომლის მიზანია, არსებობდეს ისეთი სისტემა, რომელიც, ადრე თუ გვიან, ჩვენც მოგვცემს სოციალისტურ სარგებელს, ხელს მიგვანდენინებს სხვის მიერ ნაშრომ რესურსებზე.

მთავრობის მიერ ორგანიზებული სოციალური დაცვის ნებისმიერი ღონისძიება კრახისთვის, ეკონომიკური კრიზისისა და უზარმაზარი სახსრების გაფლანგვისთვის არის განწირული. ღირს კი ამის კეთება? ყველა ხვდება, რომ არა. მაგრამ პოლიტიკოსების ერთი ნაწილი აუცილებლად შეეცდება ამ არგუმენტების “გაბათილებას,” მოსახლეობის სავალალო მდგომარეობაზე აპელირებით. მათ ერთ ნაწილს, უბრალოდ, არ უნდათ, გაიგონ, რომ ზემოთ აღწერილი პრობლემები უფრო ობიექტურია, ვიდრე სუბიექტური. ყველაზე უკეთესი მთავრობაც კი საბოლოოდ კრახით დამთავრებს სოციალური დაცვის პროგრამას. სხვა პოლიტიკოსებისათვის კი ეს არის ერთადერთი საშუალება იარსებონ – ხეზე მჯდომი იმ ტოტს ხომ არ მოჭრის, რომელზეც ზის?

ადამიანები და, მაშასადამე, პოლიტიკოსები, რომლებიც შეეცდებიან, შეცვალონ ეს მდგომარეობა, უმცირესობაში აღმოჩნდებიან. მოსახლეობა მზად არ არის იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს გაბედულ ნაბიჯებს

## Internet-ში თაღლითობა ყვავის

Internet-ში “მოღვაწე” თაღლითების უმრავლესობა აშშ-ში, რუმინეთში, ნიგერიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ტოგოში, ინდონეზიაში, ავსტრალიასა და რუსეთში ცხოვრობს.

სწორედ ამ ქვეყნებშია განსაკუთრებით პოპულარული მოპარული და ყალბი საკრედიტო ბარათების გამოყენება. შედეგად, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, ინდონეზია და რუმინეთი იმ ქვეყნების არაოფიციალურ “შავ სიაში” შევიდნენ, სადაც ზოგიერთი ცნობილი Internet-აუქციონი, მაგალითად e-bay, უარს აცხადებენ შეკვეთილი საქონლის ჩატანაზე. კვლევითი ფირმა Gartner-ის გამოკვლევის თანახმად, შარშან სექტემბერში ამერიკელი ელექტრონული ვაჭრების 12 პროცენტმა უარი განაცხადა შეკვეთილი საქონლის საზღვარგარეთ მიწოდებაზე.



ახარტული შაკერი.

ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება 2000 წლის მაჩვენებელს. ამერიკელი და ევროპელი ელექტრონული კომერსანტების უმრავლესობა არ ენდობა უცხოელი კლიენტების საკრედიტო ბარათებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ემიტირებულია ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ. გამოკვლევა 100 პროცენტში ან წინასწარ გადახდას ამჯობინებენ და მხოლოდ ამის შემდეგ თანხმდებიან საქონლის გადაგზავნაზე.

საკონსულტაციო კომპანია Ernst&Young-მა 500 უმსხვილესი ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელი გამოკითხა იმის თაობაზე, თუ რამდენად არიან ისინი მზად კომპიუტერულ დამნაშავეობასთან ბრძოლისთვის. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე დიდ ძალისხმევას კიბერდამნაშავეობის აღსაკვეთად სატელეკომუნიკაციო კომპანიები იჩენენ. მეორე ადგილზე ფინანსური მომსახურების დაკავებული, ხოლო მესამეზე – სამედიცინო კომპანიები. კომპიუტერულ დამნაშავეობას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ენერგეტიკული კომპანიები აქცევენ. გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ განსაკუთრებით იცავენ მონაცემთა ბაზებს, ხოლო ელექტრონული ფოსტის სისტემები ყველაზე სუსტადაა დაცული.

ბაბრძილა D14 გვირდვა

### მთავარი სტორია ჩიხები



ნაკლებად ცნობილი კომპანია Bsquare უნიკალური ჯიბის კომპიუტერის Power Handheld-ის შექმნის შესახებ განაცხადა. ეს სიახლე იმ მომხმარებელს დააინტერესებს, რომელსაც ისეთი მონაცემების შექმნა სურს, რომელიც მცირე ზომისაა და, ამავე დროს, ნოუთბუქით მოხერხებულია მოხმარებაში. ეს ჯიბის კომპიუტერი აღჭურვილია სტანდარტული ზომის კლავიატურით, რომელიც სენსორული თხევადკრისტალური ოთხდუმიანი დისპლეის ქვემოთაა ინერჯა. ამასთანავე, ამ დისპლეის განსაკუთრებით დიდი 640x480-ზე resolution აქვს ფერის 16-ბიტის სიღრმის პირობები.

ახალი კომპიუტერის განსაკუთრებულ ინსტრუმენტს გამოსახულებს ორჯერ გადიდების შესაძლებლობა წარმოადგენს, რაც მეტად სასარგებლო შეიძლება იყოს მცირე ზომის შრიფტებთან და სურათებთან მუშაობისას. Power Handheld კომპანია Intel-ის მიკროპროცესორ Xscale PXA250-ზეა დაფუძნებული, რომლის ტექტური სისხშირე 400 მეგაჰერცია. გარდა ამისა, ჯიბის კომპიუტერი აღჭურვილია 64 მეგაბაიტიანი ოპერატიული და 32 მეგაბაიტიანი "ფლეშ" მეხსიერებით. მომხმარებელს, საჭიროების მიხედვით შეუძლია შეიძინოს Power Handheld ორდიაპაზონიანი (900/1800 მეგაჰერცი) GSM და GPRS Multislot 8 Class B მოდულებით. ამ შემთხვევაში კომპიუტერთან ერთად კომპლექტში შევა საყურისები, მიკროფონი და დისტანციური მართვის პულტი.

ოპერაციული სისტემის სახით კომპიუტერში გამოყენებულია Microsoft Windows CE.NET 4.1-ის წარმოების OC. დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს: Pocket Calendar, Pocket Word, Pocket Contacts და ელექტრონული ცხრილების რედაქტირების პროგრამას Spreadsheet. ასევე ჩართულია Internet Explorer 5.5, Windows Media Player, Macromedia Flash, Insignia Java JVM და PDF ფაილების ბრაუზერი.

Power Handheld-ის ზომებია: 140x87x19.5 მმ, მასა კი - 280 გრამი.



## საქართველო: სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი?

მის გვარდინა

სოციალური დაცვის კერძო სექტორში გადატანის მიმართულებით. ობიექტურად, გადასახადების გადამხდლების გარდა, ეს პროცესი არც არავის არ ედარდება, რადგანაც მხოლოდ სწორედ მათი ფულის გაფლანგვაა მოსალოდნელი. დანარჩენები კი მხარს დაუჭერენ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ბევრს დაპირდებიან, თანაც სწორედ ზემოთ აღნიშნული გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე. ცხადია, აქედან კიდევ ერთი დასკვნა: მთავრობას ხელს არ აძლევს, ყველა იხდიდეს - მაშინ ხომ ყველა მოითხოვს გადასახადებისა და მთავრობის ხარჯების შემცირებას, ისინიც კი, ვინც დღეს არ იხდიან.

ესაა სოციალიზმის ნამდვილი სახე. ბევრი იტყვის, კრიტიკა ადვილია, თუმცა არც თუ ისე. ასე რომ არ იყოს, მეტი ადამიანი გააკრიტიკებდა მთავრობის სურვილს, მართოს, რაც შეიძლება, მეტი ქონება და ფულადი სახსრები. პირიქით, ბევრი მაგალითი გვაქვს: აკრიტიკებენ სახელმწიფო ქონების მართვის არსებულ პრინციპებს - ცოტას და გაუბედავად საუბრობენ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საერთოდ არ უნდა იყოს ქონების მესაკუთრე, რადგანაც უკიდურესად არაეფექტურია და არამომჭირნე.

აკრიტიკებენ ენერგეტიკული რესურსების არსებულ ტარიფებს - არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია არ უნდა ეროვნულ ტარიფს დადგინოს საქმეში. ამ სფეროში ნებისმიერი ადმინისტრაციული რეგულირება ქმნის ტარიფის გაზრდის აუცილებლობას, რადგანაც, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაცია თავისი ხელყოფილი ჩარევით აიძულებს ყველას - მწარმოებელს, მომწოდებელსა და მომხმარებელს, იყოს არაბუნებრივად მფლანგველი და უგუნური მეურნე. სარგებელი აქედან, ცხადია, ვისცა.

ლანძღავენ მთავრობას და არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ამ ტიპის სტიმულებისა და მოტივაციის პირობებში, შეუძლებელია, რაიმე ორგანიზაცია მუშობდეს მონესრიგებულად. ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, რომელიმე ყველაზე მაღალკონკურენტული ბიზნესი იმავე მოტივაციით რომ ქირაობდეს პერსონალს, რაც ჩვენთან სამთავრობო დაწესებულებებშია - ერთ კვირაში მიინდინა ალიგვებოდა.

მაშ, რატომ გვგონია, რომ ამგვარი სოციალისტური იდეებით წინ წავალთ? შეიძლება, ეს საკითხი ორდაც გავყოთ: რა უნდათ პოლიტიკოსებს და რა - უბრალო მოსახლეობას? მოსახლეობის მაგივრად წინასწარვე შეგვიძლია ვუპასუხოთ: მათ უნდათ, იყვნენ პოლიტიკოსები. ეს ბადებს ახალ კითხვას: რატომ? იმიტომ, რომ ასე ცხოვრება უფრო ადვილია.

რთული პროფესიაა პოლიტიკოსობა, მაგრამ არაუმეტეს ვიდრე ჩვეულებრივი ბიზნესმენობა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჩვენთან ვინმე რაიმე სერიოზული საქმე თუ დაიწყო,

ყველა ცდილობს, ან თვითონ გახდეს პარლამენტის წევრი, ან ახლოს იყოს მათთან - ამაში საკვირველი არც არაფერია. სანამ ეკონომიკის ბედ-იღბალს წყვეტენ პოლიტიკოსები, მანამდე ასეც იქნება. მთავარი არგუმენტი ამ მდგომარეობის საწინააღმდეგოდ არის ერთი: სახეზეა, რომ ეს არ ამართლებს, არ მუშაობს - ცუდად ვცხოვრობთ და წინ ვერ მივდივართ.

ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველის, ო'რურკის (P.J. O'Rourke) აზრით: "როდესაც ყიდვა-გაყიდვა რეგულირდება კანონებით, პირველ რიგში რაც უნდა იყოს, ეს არის თვითონ კანონმდებელი". ჩვენი მოსახლეობა (იმის ნაცვლად, რომ შეეცადოს, გაერკვიოს მთავრობის ნამდვილ და საჭირო ფუნქციებში) იმ იმედით, რომ მთავრობის ფულიდან მასაც რაიმე შეხვედება, რთავს მთავრობას ნებას, წაართვას სხვებს ეს ფული და გადაანაწილოს.

პოლიტიკოსებისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ისინი მათთვის არსებობენ და მათ ინტერესებს ემსახურებიან; რომ მთელ დღეებს იმაზე ხარჯავენ, მათთვის სოციალური დაცვის საუკეთესო საშუალებებს მიღწიონ. ვის სჯერა ამის? არავის. სამაგიეროდ იმისი სჯერათ, რომ ეს პოლიტიკოსები არაფერს ამბობენ საშუალებას, მათი პირადი კონტროლის გარეშე გამდიდრდნენ.

რესურსები, რომელიც კერძო პირებმა, შეიძლება, გაცილებით უფრო ყაირათიანად დახარჯონ, მიედინება მთავრობის ხარჯებში, გაურკვეველი მიმართულებითა და დანიშნულებით; ხოლო ის რესურსები, რომლებიც კერძო სექტორს მანაც რჩება, არასაკმარისია ფეხზე დასადგომად და/ან გადაღების მთლიანად არალეგალურ სექტორში, დეზორიენტირებულია და ეფექტს ვერ იძლევა.

მკაფიო მაგალითია შემდეგი: რამდენიმე წელიწადია, საქართველოში მძიმე ენერგეტიკული სიტუაციაა. ეს არც ახალია და არც არავის უკვირს. ჩვენს ენერგეტიკას პრობლემას წარმოადგენს არგადამხდლებიც უქმნიან. მათ მიერ მოხმარებული ენერჯის საფასური დევს ტარიფში და, წარმოიდგინეთ, ასევე ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში, ანუ ჩვენს მიერ გადახდილ გადასახადებში. მოსახლეობის ერთი ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა დაფაროს წარმოშობილი ვალეები, ოღონდ ვის ხარჯზე? გადასახადების გადამხდლების? სახელმწიფოს ადმინისტრაციის ჩარევა ამ სფეროში აშკარად ზრდის წესიერი ხალხის ხარჯებს, მათ ხარჯებს, რომლებიც დენის ფულსაც იხდიან და სახელმწიფო გადასახადებსაც. ცხადია, ამასაც სოციალიზმის სუნი ადის - ვიღაც ცდილობს სხვის ხარჯზე ცხოვრებას და ამას მთავრობა ყოველნაირად უწყობს ხელს. ამას ყველა ენაზე სოციალიზმი ჰქვია.

ძნელი დასაჯერებელია, რომელიმე ნორმალურ ადამიანს ეს მოსწონდეს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, უმ-

რავლესობა სოციალური დემოგოგის ისეთ მახეში ხვდება, რომ ყველაფერი ავიწყდება. ასე მაგალითად, როდესაც ენერჯის ტარიფის დაწევას უკიჟინებენ მთავრობას, იმას გულისხმობენ, რომ მთავრობამ აიღოს ხელში ამ საკითხის რეგულირების მთლიანი უფლება (ეს ასეც არის). ეს იმ დროს, როდესაც თვითონ ამ რესურსის გამყიდველს, სინამდვილეში, არც აწყობს ტარიფის გაზრდა და ერთადერთ იმედად არეული სიტუაცია ეგულება, რომელსაც მთავრობა ქმნის. აქაც ცხადია, ენერგეტიკული რესურსების მართვა სახელმწიფო ადმინისტრაციას აძლევს უზარმაზარ ძალაუფლებას, რასაც ვერ მიალენვდა ვერცერთი კერძო პირი, რადგანაც მას კონკურენტები არ მოასვენებდნენ. სახელმწიფო კი მონოპოლისტია, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავს.

ენერჯის გამყიდველს ფასის გაზრდა არ აწყობს, მაშინაც კი, როდესაც იგი მონოპოლისტია - ამ შემთხვევაში ორი რამ მუშაობს მის წინააღმდეგ - პირველი, მყიდველები და აღმრიცხველები ერთმანეთს "ეკვრიებიან" და დანაკარგები იზრდება; და მეორე, მყიდველები ამცირებენ მოხმარებას. ამ ვარიანტში, გამყიდველს პარტნიორად, ცხადია, მთავრობა ჰყავს, რომელიც დაუფარავს "ურჩი" გადამხდლების ვალეებს. ხოლო თუ ეს ასე იქნება, მაშინ ტარიფის გაზრდაც შეიძლება. საოცრად მარტივია, გააკეთო ასეთი არჩევანი: დაუთმო ტარიფის საკითხი გამყიდველს და მისცე "ურჩი" გადამხდლების გამორთვის საშუალება, წაახლისო კარგი გადამხდლები და ა.შ. ფაქტია, რომ გაჭირვებული ადამიანების (ანუ "სოციალურად დაუცველების") სახელით ეს სისტემა მუშაობს ზუსტად მათ ხარჯზე, რადგანაც მათ იმის საშუალებაც კი არა აქვთ, მოიპარონ ენერჯია ან სხვა რამ; ისინი გადასახადებსაც უფრო დისტანციურად ულა იხდიან.

სოციალისტური აზროვნების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია მთავრობის ურთიერთობა საერთაშორისო დონორებთან. მთავრობა და საზოგადოებაც ერთხმად უჭერენ მხარს კრედიტების მოზიდვის პოლიტიკას. ყოველი თანხის მიღებისას ისეთი აუიოტაჟი ტყდება, რომ ყველას ავიწყდება, გაარკვიოს, ამ სესხის გამსტუმრებლები რამდენად ვართ, ვარგა თუ არა ჩვენი ბიზნესგეგმა. ამაზე, ეტყობა, დიდად არც მეორე მხარე დარდობს, თორემ ჩვენისთანა მოვალეს სესხს ვინ მისცემდა. თუ ეს ასე არ არის, რატომ ვსესხულობთ მაინცადამაინც მსოფლიო ბანკიდან, სხვა ბანკებში ფული არ არის? ცხადია, რატომაც - არ გვასესხებენ. რამდენად მოსალოდნელია, ასეთი სესხების აღება წარმატებული იყოს? პრაქტიკულად, არანაირად. მაგრამ ისევ და ისევ სოციალისტური აზროვნების ტყვეობის ქვეშ მყოფი ჩვენი გონება ერთს გვკარნახობს: თუ ფული გვასესხეს, ყოველთვის კარგია. მთავრობაც მაშინ გვეჩვენება

საუკეთესოდ, თუ ფული იმოვნა. ასე შოულობდა საქართველოს სსრ მთავრობაც ფულს და სადამდეც მივდიოდა, სახეზეა.

ჩვეულებრივი ადამიანი შემდეგი წესით აზროვნებს: იმას რა ჯობს, მთავრობა სხვის ხარჯზე თუ მაცხოვრებს, ეს უფრო ადვილი არ არის? თუმცა, ისიც თვალნათელია: ჩვენი გადასახადის გადამხდლები გულუბრყვილობით არ გამოირჩევიან. არც არავის უნდა, ზედმეტი ტვირთი აიკიდოს და თუ მაინც გაბრიყვდა, მალევე კოტრდება.

ყველა, ვისთვისაც მისაღება კაპიტალიზმი, ხვდება ერთ მარტივ უპირატესობას, რაც ამ სისტემას გააჩნია - კონკურენცია. სწორედ იგი აიძულებს ადამიანს, იზრუნოს მაქსიმალური სარგებლიანობისათვის, რაც შეუძლებელია ეფექტიანობის ამაღლების გარეშე. სწორედ ეს განაპირობებს განვითარებას.

სოციალისტური დოქტრინა გპატიობს ჩავარდნებს ეფექტურობის თვალსაზრისით, რაც აფერხებს პროგრესს. სოციალისტურად მოაზროვნეები, ამავე დროს, მზად არიან, თავი დახუტონ მათი დოქტრინის კიდევ ერთ სუსტ მხარეზე - ადამიანის გაზარდაცვაზე. მას არანაირი სტიმული არ გააჩნია, დასძლიოს თავისი სიზარმაცე. ურჩევნია, იჯდეს მთელი დღე და ლანძღოს მთავრობა თუ წარმატებული ბიზნესმენები, ვიდრე ხელი და ჭკუა გაანძრიოს. ის, ვინც სოციალიზმს ემხრობა, ემხრობა ასეთი ადამიანების განებივრებას უფრო წარმატებულების ხარჯზე. ეს თავისი ბუნებით იმდენად არასამართლიანია, რომ არ მუშაობს - შედეგად იძლევა მხოლოდ რესურსების გაფლანგვას და მოტივაციის შემცირებას, იმათთვისაც კი, ვინც მანამდე მუშაობდა.

ქართველი კაცი უკიდურესად ინდივიდუალისტია, რაც გამოიწვევს ისეთი კოლექტიური იდეოლოგიის მხარდაჭერას, როგორცაა სოციალიზმი. პირიქით, კაპიტალიზმი მისთვის საუკეთესო მოდელია, უბრალოდ, ჩვენ ჯერ არ გვირჩენია მისი უპირატესობა, ეს მხოლოდ გამოცდილებით მოდის. სარგებლის მიღების ამ წესის დანერგვის შემთხვევაში, იგი დიდ უპირატესობას მოგვცემდა უცხოურ ბაზრებზეც, მთავარი, არ აყვევთ სოციალისტურ ცდუნებას - "გავიოლოთ" ცხოვრება სხვის ხარჯზე - ეს არ მუშაობს.

მთავარი: "...სოციალიზმი ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ქმნილებაა, - წერდა ლუდვიგ ფონ მიხესი ("სოციალიზმი," 1920), - თუ გვინდა გადავარჩინოთ მსოფლიო ბარბაროსობისაგან, უნდა დავამარცხოთ იგი." ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავზე დავიჭებთ ამ იდეის მთელი უბედურება. ამის გამეორების საჭიროება აღარ არსებობს. სახეზეა, რომ იგი არ მუშაობს და პროგრესს ხელს არ უწყობს. კარგი იქნებოდა, თუ უარყოფდით ყოველგვარ სოციალისტურ მისწრაფებებს და დავადგებოდით კაპიტალიზმის სწორ გზას.

# ქართული WINDOWS მზად არის

ბვანსა კვინიკაძე

Microsoft Office-ის პროგრამების, მათ შორის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ოპერაციული სისტემა "Windows"-ის გაქართულებული ვერსიები უკვე მზად არის. გადმოქართულებული ტერმინოლოგიის პაკეტი, დაახლოებით ათი ათასამდე ტერმინია შესული, რომელთა ინგლისურ ანალოგებთან შესაბამისობაზე ენათმეცნიერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები ერთად მუშაობდნენ. თუ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დაპირებული 550 ათასი ლარი მართლაც გათვალისწინებული იქნება, კომპიუტერული პროგრამების გაქართულებაზე მომუშავე ჯგუფის წევრთა ვარაუდით, კომპიუტერის ქართველი მომხმარებელი Microsoft Office-ის პროგრამებთან ქართულ ენაზე მუშაობას გაისადგვ, წლის ბოლოსთვის შეძლებს.

სერიოზული მუშაობა Microsoft Office-ის პროგრამების გაქართულებაზე 1997 წლიდან დაიწყო, თუმცა ამ საქმის მოთავეებს სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელთა მხარდაჭერა აუცილებელი იყო, დიდი ენთუზიზმით არ ხვდებოდნენ. ამჟამად უკვე არსებული გაქართულებული პაკეტი ენის სახელმ-

წიფო პალატისა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ეს პროექტი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, "სოროსის ფონდის" დაფინანსებით გახორციელდა. ენის სახელმწიფო პალატის მთავარი კონსულტანტის, კახა გაბუნიას განცხადებით, ყველაზე პოპულარული კომპიუტერული პროგრამების გაქართულებას გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კომპიუტერთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროები ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც სწრაფად ფართოვდება. ამის გათვალისწინებით, პროგრამების გაქართულებით, ქართული ენა მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების ენის ფარგლებს სცილდება და სამუშაო ენაც ხდება. ამჟამად, ამ ფუნქციას ძირითადად, ინგლისური ასრულებს.

Microsoft-ისგან მისი საოფისე პროგრამების ქართულად ამოქმედების ნებართვის მიღებისთვის წამოყენებულ ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მისთვის გაქართულებული ტერმინოლოგიის სრული პაკეტის წარდგენა იყო, რაც უკვე დაკმაყოფილდა. თუმცა, ჯერჯერობით შესასრულებელი რჩება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც საქართველოს მიერ Microsoft-თვის

სოლიდური საჯარიმო თანხის გადახდას გულისხმობს. გაბუნია ინფორმაციით, Microsoft-თან დაკავშირების მცდელობები რამდენიმე წლის წინათაც არსებობდა, თუმცა ისინი უშედეგოდ დასრულდა. ამერიკული გიგანტის პასიურობას, სპეციალისტები საქართველოს ბაზრის მეკობრული პროგრამული უზრუნველყოფით გაჯერებულობით ხსნიან, რამაც Microsoft-ს ქვეყანასთან თანამშრომლობის სურვილი დაუკარგა.

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასათვალისწინებელი 550 ათასი ლარიდან 200 ათასი დოლარი (400 ათას ლარზე მეტი) სწორედ მეკობრული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის საქართველოს მიერ Microsoft-ისთვის გადასახდელ ჯარიმას წარმოადგენს. ინფორმატიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის, დავით თარხან-მოურავის განცხადებით, აღნიშნული საჯარიმო თანხა აბსოლუტურად სიმბოლური ხასიათისაა, მით უმეტეს იმ ჯარიმების ოდენობის გათვალისწინებით, რაც Microsoft-მა ანალოგიური მიზეზით სხვა ქვეყნებს გადაახდევინა. მაგალითად, ესპანეთის პროვინცია ბასკეთს Microsoft-ის თვალში იგივე "დანაშაულის" გამოსყიდვა სამი მილიონი დოლარი დაუჯდა. მნიშვნელოვანია რომ პროგრამების გაქართულების გარდა, დასრულებუ-

ლია, ორი ძირითადი ქართული შრიფტის სტანდარტიზაციის პროცესიც.

Microsoft-ის ჯარიმის გადახდის შემდეგ დარჩენილი, დაახლოებით 100 ათასი ლარი იმ მუშა ჯგუფს უნდა მოხმარდეს, რომელიც გაქართულებულ პაკეტს საბოლოო სახეს მისცემს. გაბუნიას თქმით, ამჟამად გაქართულებულია Microsoft Office-ის 1998 წლის ვერსია. ამ პაკეტის სრულყოფის სამუშაოების მოცულობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ საოფისე პროგრამების რომელი წლის ლია ვერსიას გადმოსცემს Microsoft საქართველოს.

გარდა საოფისე პროგრამების გაქართულებისა, "სოროსის ფონდმა" ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონის, "ფარნავაზის" შექმნის პროექტიც დააფინანსა, (იხ. [www.Wanex.net/text](http://www.Wanex.net/text)). კახა გაბუნია, რომელიც ლექსიკონის ერთ-ერთი ავტორია, "ფარნავაზის" ამჟამინდელი ბაზის (80 ათასი სიტყვა) მილიონამდე გაზრდას გეგმავს. მისი თქმით, "ფარნავაზი" შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ტექსტის სათარგმნი პირველი პროგრამისა, რომლის შექმნაზეც მას მუშაობა ასევე დაწყებული აქვს. თუმცა, სამუშაოების დიდი მოცულობის გამო, სპონსორის გარეშე მათი გახორციელება შეუძლებელი იქნება.


## Apple იწყებს ორპროცესორიანი Power Mac G4-ის ბაზირებას



ამერიკულმა კომპანია Apple-მ ორპროცესორიანი კომპიუტერის Power Mac G4 გამოშვების დაწყების შესახებ განაცხადა. კომპიუტერს თითოეული PowerPC პროცესორის ტაქტური სიხშირე 1.25 გიგაჰერცს შეადგენს. ახალი კომპიუტერების ოპერატიული მეხსიერება ორი გიგაბაიტის ტოლი იქნება. გარდა ამისა, კომპიუტერი აღიჭურვება ATI Radeon 9000 ვიდეოკარტით და 500 გიგაბაიტის ხისტი დისკებით.

ყველა ორპროცესორიანი კომპიუტერი Power Mac G4 წინასწარ დაყენებული ოპერაციული სისტემა Mac OS X 10.2 "Jaguar"-ით გაიყიდება. Apple-ს წარმომადგენლის მტკიცებით, ამ ოპერაციული სისტემისა და PowerPC-ის ახალი პროცესორების წყალობით ახალი კომპიუტერის მწარმოებლურობა 90 პროცენტით აღემატება 2.53 გიგაჰერცის Intel Pentium 4-ის მწარმოებლურობას ციფრული გამოსახულების დამუშავებისას, ვიდეოს MPEG 2 ფორმატში კოდირებისას 43 პროცენტით, ხოლო სამეცნიერო გათვლების გახორციელებისას - 440 პროცენტით. ამ კომპიუტერის სავარაუდო ფასი აშშ-ში 3299 დოლარს შეადგენს.

## Intel-მა ოფიციალურად წარადგინა 2.0 გიგაჰერცის Celeron




ამერიკულმა კომპანია Intel-მა 18 სექტემბერს ოფიციალურად წარადგინა 2.0 გიგაჰერცის ტაქტური სიხშირის პროცესორი Celeron.

ახალი პროცესორი 0.13 მიკრონული ტექნოლოგიით Northwood-ის ბირთვზე ინარჩუნება, აქვს 128 კილობაიტის "ქეშ" მეხსიერება და System bus, რომელიც 400 მგჰერც სიხშირეზე მუშაობს. პროცესორი განკუთვნილია Socket 478-ზე გამოსაყენებლად.

ამ ახალი პროცესორის შექმნამდე, Celeron-ის ოჯახის ყველაზე სწრაფი მიკროპროცესორი იყო Willamette-ს ბირთვზე აგებული 1.8 გიგაჰერცის ტაქტური სიხშირის მოდელი.

Celeron 2.0-ის გაყიდვა უკვე დაწყებულია. საბითუმო პარტიის მყიდველთათვის, მიკროსქემის ლირებულება 103 დოლარს შეადგენს.



Microsoft®  
**Windows®xp**  
 Professional

please wait...

# რატომ იქცა „მაცუმიტა“ ამერიკაში „პანასონიკად“

თორნიკა შარაშენიძე



რა არის მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის? პასუხი თითქოსდა უმარტივესია – ხარისხი. თუკი მომხმარებელს კომპანია „იქსის“ მიერ წარმოებული უხარისხო პროდუქცია შეხვდა, ჩათვალთ, რომ ეს მომხმარებელი კომპანია „იქსისათვის“ დაკარგულია. მოკლედ, რაღა ვილაპარაკოთ და ხარისხი აუცილებელია, მაგრამ საკმარისი ნამდვილად არაა. ბიზნესისა და მენეჯმენტის სამყაროში არსებობს კიდევ ერთი ასეთი მეტად მნიშვნელოვანი ცნება – „პირველი შთაბეჭდილება.“ ხარისხს ამ უკანასკნელთანაც აქვს მჭიდრო კავშირი - რამ უნდა დატოვოს კარგი შთაბეჭდილება, თუ არა ხარისხმა. მაგრამ ეს რომ მოხდეს, მომხმარებელი რაღაცით უნდა დაინტერესოს ამა თუ იმ პროდუქციამ. პროდუქციამ იგი უნდა მიიზიდოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, არ უნდა დააფრთხოს. ცხადია, ამას ემსახურება ისეთი რამ, როგორც რეკლამაა. მაგრამ რაც უნდა მაღალი იყოს პროდუქციის ხარისხი და რაც უნდა კარგი რეკლამა უკეთედობდეს, ყველაფერი შეიძლება წყალში ჩაიყაროს, თუკი მომხმარებელს სახელი არ მოეწონა.

მსოფლიოს უდიდეს ავტომწარმოებელ „ჯენერალ მტორზს“ არასოდეს დაავიწყდება ის მწარე გაკვეთილი, რომელიც მან ლათინური ამერიკის ბაზარზე იწვინა. კომპანიის ერთ-ერთმა შტომ „შევროლემ“ უდიდესი დრო და თანხები დაახარჯა „ნოვას“ მოდელზე მუშაობას, რომელიც ლათინოამერიკელის გემოვნებაზე, იქაურ თავისებურებებზე იყო გათვლილი. არ დარჩენილა თითქმის არაფერი, რაც არ გაუთვალისწინებიათ „ნოვას“ შემქმნელებს – კლიმატი, გზების საერთო მდგომარეობა, პოტენციური კლიენტის საშუალო შემოსავალი... მაგრამ შედეგი? „ნოვა“ სამარცხვინოდ ჩავარდა, მანქანით, რომელსაც უზარმაზარი რეკლამა გაუკეთდა, პრაქტიკულად არავინ ინტერესდებოდა. „შევროლესა“ და მთლი-

ანად „ჯენერალ მტორზის“ ხელმძღვანელობა საგონებელში ჩავარდა: ასეთი რამ არავის ახსოვდა, მანქანას, რომელიც ყველა გამოკვლევის თანახმად ლათინოამერიკელის ოცნებად უნდა ქცეულიყო, არავინ ეკარებოდა, რაში იყო საქმე?

მიზეზი მეტად მარტივი გახლდათ. „ნოვა“ ესპანურად ნიშნავს „ვერსად წავა.“ ეს მარტივი შეცდომა „ჯენერალ მტორზს“ რამდენიმე ასეული მილიონი დაუჯდა.

ამერიკაში თუ ბრიტანეთში არასოდეს გაიყიდება ჩვენში ერთობ პოპულარული სარეცხი ფხვნილი „ბარფი.“ მიზეზი იგივეა: „ბარფი“ ინგლისურად ნარწყევს ნიშნავს. ამერიკელები ვერაფრით იჯერებენ, რომ ასეთი სარეცხი ფხვნილი საერთოდ არსებობს, სანამ მას ჩვენს მაღაზიებში საკუთარი თვალით არ ნახავენ. მათთვის წარმოუდგენელია, რომ რაიმე ნაწარმი შეიძლება ასეთ სახელს ატარებდეს – „ინგლისური ნახევარმა მსოფლიომ იცის და ასეთი სახელი რამდენს დააფრთხობს.“ ვერაფერს იტყვი, მშვენიერი არგუმენტია მათთვის, თუმცა ჩვენთან ასეთ რაღაცეებს დიდ მნიშვნელობას ისინიც არ ანიჭებენ, ვინც ინგლისური კარგად იცის.

სამაგიეროდ ეს ყოველივე მშვენივრად ესმით იგივე იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყანა ძირითადად ექსპორტზე მუშაობს და იქაურმა ბიზნესმენებმა კარგად უწყინ, რომ, პირველ რიგში, იმაზე უნდა იზრუნონ, თუ რა მოეწონება მათ უდიდეს და უმდიდრეს კლიენტს, ამერიკას. იაპონური საქონელი კი უმაღლესი ხარისხისაა, მაგრამ ეს იაპონური ენა ცოტა უცნაურია და ამერიკელს რაღაც-რაღაცეები შეიძლება ცუდად მოხედეს ყურში. ცხადია, ეს ყველა სახელს არ ეხება. მაგალითად, „კასიო“ დიდებულია, „ნისანიც“ მშვენივრად ფლერს. მაგრამ აი, „მაცუმიტამ“ კარგა ხანს ვერ დაიპყრო ამერიკელთა გული და მხოლოდ მაშინ სძლია „ნოვას“ სინდრომს, როცა „პანასონიკის“ მარკით დაიწყო მოღვაწეობა. ეს ხომ სულ სხვანაირად ფლერს. არც იაპონურობა დაუკარგავს ბოლომდე (რაც მაღალი ხარისხის მაჩვენებელია) და ამერიკელსაც კარგად ხვდება ყურში. „სონიკ“ - ეს ბგერის ასოციაციას აღძრავს. აბა ვნახოთ, ხარისხი მშვენიერია. სადღაც უკან „მაცუმიტა კომპანი“ აწერია. უყურე შენ, რა უცნაური სახელია, მაგრამ ამას აღარ აქვს მნიშვნელობა – მომხმარებელმა პროდუქცია უკვე გასინჯა და ყიდვა გადაწყვიტა.

როცა ადამიანი უნდა გაგაცნონ, პირველ რიგში, იგებთ, მას რა ჰქვია. პირველ შთაბეჭდილებას სახელი ქმნის, რომელსაც ადამიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგივე ხდება ყიდვა-გაყიდვის დროსაც, მითუმეტეს, რომ ასეთ დროს ფულს ვიხდით.

